

118
1971/3



სახკმთა სამართალი

საქართველოს კვ. ტანჯაღური კომიზავის ბაჟომბაღოგა

1971

5



საბჭოთა სამართალი

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1971 წელი

გამოცემის XVII წელი

საქართველოს სსრ იუსტიციის საინსტიტუტოს, პროკურატურისა და
შეიქმნა სსსრ სამართლის ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

გ. ყორანაშვილი — ფრიდრიხ ენგელსი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა გზის შესახებ	3
ა. ხოჭოლავა — წარმომადგენლობის რეანიმაციის პირობები სამოქალაქო საქმეებზე	12
რ. ცინცაძე — მხარეთა პასუხისმგებლობა საავტომობილო გადაზიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის	28
გ. დევდარიანი — კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო	35
ნ. ერქომაიშვილი — სასამართლო პრაქტიკის განზოგადების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი	39
მ. ქურდაძე — წინასწარი გამოძიების დამამთავრებელი სტადიის ზოგიერთი საკითხის შესახებ	44
ე. რეხვიაშვილი, მ. მაისურაძე — მამადცნობის საკითხისათვის	50
ოფიციალური მასალა	52

იურიდიული კონსულტაცია მოსახლეობას

შემოსავლის სახეები, რომლებიდანაც ხდება ალიმენტის დაკავება	85
არბიტრაჟის პრაქტიკა	88
ინფორმაცია	91

11904





СОДЕРЖАНИЕ

Г. Коранашвили—Фридрих Энгельс о путях происхождения классов и государства	3
А. Хочолава — Условия реанимации представительства по гражданским делам	12
Р. Цинцадзе — Ответственность сторон за невыполнение договора автомобильной перевозки	28
Г. Девдариани — Пересмотр решений, определений и постановлений, вступивших в законную силу по вновь открывшимся обстоятельствам	35
Н. Еркомайшвили — Усовершенствовать обобщение судебной практики	39
М. Курдадзе — Некоторые вопросы завершающей стадии предварительного следствия	44
Е. Рехвиашвили, М. Майсурадзе — Установление отцовства	50
Официальный материал	52

ЮРИДИЧЕСКАЯ КОНСУЛЬТАЦИЯ НАСЕЛЕНИЮ

Виды доходов, с которых удерживаются алименты	35
Арбитражная практика	88
Информация	91

სარედაქციო კოლეგია

შპვ. № 4425
ტირაჟი 21.150
შე 01708

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, თ. დადიანი, გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე, მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ზ. რატიანი, ა. ტაკიძე, ს. ქაჯაია, ვ. ქვაჩახია, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი — 99-09-62.

გადაეცა წარმოებას 25/VII-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7/1-72 წ. ქალაქის № 70×1081/16; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი, 6, პირობითი საბეჭდი ფურცელი 8,4, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფრიდრიხ ენგელსი კლასიკისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა გზის შესახებ

ბ. შორანაშვილი

ჩვენში გაბატონებულია თვალსაზრისი, რომლის თანახმად პირველყოფილი კომუნისტური საზოგადოების დაშლის შემდეგ წარმოიშვა მონათმფლობელთა და მონათა კლასი, ხოლო ასეთმა დაყოფამ გამოიწვია სახელმწიფოს წარმოშობა. ამ ახალი სოციალური ფენომენის ძირითადი აზრი მდგომარეობდა მონათა კლასის დამორჩილებაში. მაგრამ ეს თვალსაზრისი მთელ რიგ შესიტყვებებს იწვევს. **პირველი.** მართალია, მონობა გაჩნდა ყველა ასე თუ ისე, განვითარებულ საზოგადოებაში, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იგი სპორადულ მოვლენად რჩებოდა. ასე რომ ზედმეტია აქ მონათმფლობელურ საზოგადოებაზე ვილაპარაკოთ. **მეორე.** კლასობრივ საზოგადოებაზე გადასვლა ხდებოდა სხვადასხვა პირობებში. სხვადასხვანაირი იყო მატერიალური კულტურის დონე, გეოგრაფიული პირობები, საზოგადოების გარემომცველი ისტორიული ვითარება და ა. შ. ამისდა მიხედვით კერძო საკუთრების ინსტიტუტი ერთნაირი ტემპით როდი ვითარდებოდა. წარმოდგენა, რომლის თანახმად ხდებოდა წარმოების საშუალებათა კონცენტრაცია საზოგადოების მცირე ნაწილის ხელში და ამ საფუძველზე მონობის ფართოდ გავრცელება, ასახავს ანტიკურ სინამდვილეს. **მესამე.** კლასების ასე თუ ისე ჩამოყალიბება მოითხოვდა რამდენიმე საუკუნეს მაინც და ამ ხნის განმავლობაში საზოგადოებას, სადაც დაშლილი იყო გვაროვნული სტრუქტურა, ნუთუ არა ჰქონდა ახალი სახის ორგანიზაციის ჩანასახები მაინც?

ყოველივე ამ შეუსაბამობამ ასახვა პპოვა უცხოელი მარქსისტი და საბჭოთა ავტორების შრომებში¹, სადაც სავსებით კანონზომიერად მოცემულია აღნიშნულ საკითხზე ტრადიციული თვალსაზრისის კრიტიკა, ცდა გაიაზრონ სხვადასხვა ქვეყნებში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის თავისებური გზები.

ცნობილია, რომ ჩვენში ასე ფართოდ გავრცელებული აზრი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობაზე ეყდრნობოდა ფრიდრიხ ენგელსის შრომას — „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა“.

კითხვა ისმის: მეცნიერების განვითარების დღევანდელ დონეზე ხომ არ მოძველდა ენგელსის თვალსაზრისი ამ საკითხზე? მეცნიერებაში დაგროვილი ახალი ფაქტები ძველ აზიაში, აფრიკაში, ოკეანიაში, ამერიკის კლასობრივი საზოგადოებების წარმოშობის შესახებ ხომ არ მოითხოვენ ენგელსის აზრის გადასინჯვას? სრულებითაც არა! საქმე იმაშია, რომ ენგელსს—ისტორიის მატერიალისტური გაგების ერთ-ერთ ფუძემდებელს არ უჩვენებია გვაროვნული საზოგადოების კლასობრივად შეცვლის ერთადერთი გზა. „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობაში“ ფრიდრიხ ენგელსი შემოიფარგლა ძველი ბერ-

¹ იხ.: უ. შენოს, მ. გოდელიეს, ი. სემიონოვის, ნ. ტერ-აკოფიანის, გ. მელიქიშვილის, ლ. ვასილიევის, ი. სტუჩევესკის და სხვათა შრომები.

ძნების, რომაელებისა და გერმანელების მაგალითით. მან უჩვენა ის სოციალურ-ეკონომიური პირობები, რომელთაც ძველ საბრძნეთსა და რომში გამოიწვიეს მონათმფლობელური საზოგადოების ჩამოყალიბება, შესაბამისი სახელმწიფოს ტიპის შექმნა. ენგელსმა იქვე დაასაბუთა, რომ იგივე გზა არ გაუვლია გერმანელებს. ამ ხალხში სხვანაირმა ეკონომიურმა და სოციალურმა ვითარებამ სხვანაირი სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურა წარმოშვა.

კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ასევე სხვადასხვაგვარი გზა აქვს ნაჩვენები ფრიდრიხ ენგელსს „ანტი-დიურინგში“, რასაც ქვემოთ ვუჩვენებთ. ყოველივე ამით ნათელი ხდება ამ დიდი მთაზროვნის შეხედულებათა სისწორე კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში. დავიწყით ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან.

ლაპარაკობდა რა კლასების გაჩენაზე, ფრიდრიხ ენგელსი ამას არ თვლიდა მხოლოდ შიშველი ძალადობის ან ისტორიის „ბრმა“ შეცდომად. ამ მოვლენას მისი აზრით ჰქონდა ღრმა გამართლება. იგი წერდა: „სანამ ნამდვილად მშრომელი მოსახლეობა იმდენად დატვირთული იყო თავისი აუცილებელი შრომით, რომ ღრო არ რჩებოდა საერთო მნიშვნელობის მქონე საზოგადოებრივი საქმეებისათვის — სამუშაოთა ხელმძღვანელობისათვის, სახელმწიფო საქმეებისათვის, მართლმსაჯულების საწარმოებლად, ხელოვნებისა და მეცნიერებისათვის და სხვ., მანამდე უნდა არსებულიყო განსაკუთრებული კლასი, რომელიც განთავისუფლებული იყო ნამდვილი შრომისაგან და ამ საქმეებს უძღვებოდა; ამავე ღროს ეს კლასი არასოდეს ხელიდან შემთხვევას არ უშვებდა მშრომელი მასები უფრო და უფრო მეტი შრომით დაეტვირთა თავის სასარგებლოდ“². „ანტი-დიურინგში“ ნაჩვენებია ორი გზა, თუ როგორ ყალიბდებიან კლასები და სახელმწიფო.

სამიწათმოქმედო თემის განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოებას უჩნდება მთელი რიგი საერთო ფუნქციები, რომლებიც სისტემატურ შესრულებას მოითხოვენ — ირიგაცია, თავდაცვა, რელიგიური კულტი, მართლმსაჯულება. გლეხების შრომის მწარმოებლურობა უკვე იმ დონეს აღწევს, რომ თემს შესაძლებლობა აქვს შეინახოს ამ საერთო ფუნქციების შესრულებული თანამდებობების პირნი. იმისდა მიხედვით თუ როგორი იყო თემის კომლთა რაოდენობა, მმართველობის სირთულე, არსებობდა თანამდებობათა რაოდენობაც³. თავდაპირველად ყველაფერი ეს ხდებოდა პირველყოფილი დემოკრატიის ფარგლებში. თანამდებობათა პირებს ირჩევდა თემის მოსახლეობა, საჭიროების შემთხვევაში უკანასკნელს შეეძლო მათი გადაყენება. თავდაცვა, კომუნიკაციები და ირიგაცია — აღმოსავლეთის ქვეყნებში, მოითხოვდა მეზობელი თემების გაერთიანებას, რაც თავის მხრივ აჩენდა ახალ თანამდებობებს. კიდევ უფრო ფართო გაერთიანება შესაბამისად ამრავლებდა თანამდებობის პირებს. ენგელსი წერდა: „მაგრამ განაწილებაში მომხდარ განსხვავებასთან ერთად თავს იჩენენ კლასობრივი განსხვავებანიც. საზოგადოება ნაწილდება პრივილეგიებით აღჭურვილ და დაზარალებულ, ექსპლოატატორულ და ექსპლოატირებულ, გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებად და სახელმწიფო, რომელიც განვითარდა მონათესავე ტომთა თემების ბუნებრივად აღმოცენებული ჯგუფებიდან, თავდაპირ-

² ანტი-დიურინგი. 1951 წ. გვ. 215.

³ ინდოეთის სამიწათმოქმედო თემებში არსებულ თანამდებობათა შესახებ იხ. კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I. 1954. გვ. 454—455.

ველად მხოლოდ იმ მიზნით, რომ თავიანთი საერთო ინტერესები დაეკმაყოფილებინათ (მაგალითად აღმოსავლეთში — მორწყვა) და აგრეთვე მტრებისაგან თავი დაეცვათ (ხაზგასმა ჩვენია—გ. ყ.), ამიერიდან ახალ მიზანს ისახავს, სახელდობრ ძალმომრეობის საშუალებით დაიცვას მმართველი კლასის ცხოვრებისა და ბატონობის პირობები ჩაგრული კლასის წინააღმდეგ⁴.

სამიწათმოქმედო თემების სიდიდე, მით უფრო თემთა უფრო ფართო გაერთიანებანი იწვევდნენ რა მმართველობის გართულებას, ამით განაპირობებდნენ უშუალო მწარმოებელთა მხრივ ძალაუფლების დაკარგვას თავიანთი ცხოვრების მართვაზე. განსაკუთრებით თემის ფარგლებს გარეთ ახალი ფუნქციების წარმოქმნა და შესრულება ხდებოდა სტიქიურად, საზოგადოების მიერ მისი შეცნობის გარეშე. სტიქიურადვე ხდებოდა შემდეგში ამ თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა. ეს ზედაფენა ყალიბდება გარკვეულ კლასად საერთო ინტერესებით, პრივილეგიებით და უპირისპირდება უშუალო მწარმოებელ მოსახლეობას. უკანასკნელის ექსპლოატაცია იზრდება მეფეთა და მდიდართა სამარხების ასაგებად, საგარეო ომების საწარმოებლად. ამრიგად, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს კლასი, საზოგადოების მსახურიდან იქცევა საზოგადოების ბატონად, რომელიც შეზრდილია სახელმწიფო აპარატთან. უკანასკნელი ძალიან სწრაფად ყალიბდება თავისი სამი ძირითადი ნიშნით.

იმავე ნაწარმოებში ფრიდრიხ ენგელსს ნაჩვენები აქვს საზოგადოებრივი კლასების ფორმირების მეორე გზა, რაც შემდგომში მდგომარეობდა: შრომის მწარმოებლურობის გარკვეულ დონეზე, რაც უკავშირდებოდა მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლას, ცალკეული ოჯახი შრომის დანაწილების პირობებში ქმნიდა უფრო მეტ პროდუქტს, ვიდრე ეს მისი წევრების შესანახად იყო საჭირო. წარმოების მოცულობის გაფართოებამ, განსაკუთრებით მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგის გაჩენის შემდეგ, ჭარბი პროდუქციის გაჩენამ ოჯახში მიზანშეწონილი გახადა ახალი სამუშაო ძალის მიზიდვა. გაჩნდა მონობის ეკონომიური საფუძველი. ხოლო რაც შეეხება, ამ სოციალური ინსტიტუტის, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ საფუძველს, იგი ისევე ძველი იყო, როგორც ადამიანური კოლექტივების მეზობლად არსებობა მათ შორის განუწყვეტელი ომებით. შექმნილ ეკონომიურ ვითარებაში სამხედრო ტყვეებმა ღირებულება მოიპოვეს — ისინი სასარგებლონი აღმოჩნდნენ გამარჯვებულთა მეურნეობაში დასასაქმებლად.

ასეთ პირობებში ჩაისახა მონობა. იგი გაჩნდა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებშიც. და ბევრად უფრო ადრე ვიდრე სხვა მიწათმოქმედ ხალხებში, რადგან თოხური მიწათმოქმედების პირობებში აზიის ცხელი ზონის დიდ მდინარეთა ხეობებში ნიადაგისა და კლიმატის წყალობით ადრე გახდა შესაძლებელი ჭარბი პროდუქტების წარმოების შესაძლებლობა. მაგრამ მონობა ამ ქვეყნებში უმნიშვნელო სახის სოციალ-ეკონომიურ ფაქტორად რჩებოდა. მიწის კონცენტრაციის, ხელოსნობისა და ვაჭრობის შედარებით უმნიშვნელოდ განვითარების პირობებში შეუძლებელი იყო მონათმფლობელთა და მონათა კლასების გაჩენა,

⁴ ანტი-დიუთინგი, გვ. 215. ძველი ინდური სახელმწიფოს არსებობის საფუძვლის შესახებ კ. მარქსი წერდა: „წყალმომარაგების რეგულირება ერთ-ერთი მატერიალური საფუძველი იყო სახელმწიფო ხელისუფლებისა, რომელიც ვრცელდებოდა ინდოეთის წვრილ და ერთმანეთთან დაუკავშირებელ საწარმო ორგანიზმებზე“. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 648.

მონური შრომის მიერ მეთემე გლახთა მეტი ნაწილის გამოდევნა წარმოებიდან⁵. ძველ აღმოსავლეთში გაიმარჯვა კლასების წარმოშობის პირველმა გზამ, რაც დაკავშირებული იყო შრომის დანაწილებასთან უშუალო მწარმოებლებსა და განსაზღვრული საზოგადოებრივი ფუნქციების შემსრულებელ ზედაფენებს შორის⁶. ზედაფენა არც საჭიროებდა სხვა ქვეყნებიდან მონათა შემოზიდვას თავისი უშუალო ცხოვრებისათვის. თუ ამას მაინც ადგილი ჰქონდა, უფრო საერთო სახელმწიფოებრივი საქმეებისათვის — დაესახლებინათ ქვეყნის შიგნით ახალი მიწები, გაემარებინათ საზღვრები და ა. შ. ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან ძველი აღმოსავლეთის მმართველი ზედაფენის განკარგულებაში იყო საკმაოდ მრავალრიცხოვანი სამუშაო ძალა ადგილობრივი მოსახლეობის სახით. მათგან შემოსული გადასახადები და გაწეული ბეგარა საკმარისი იყო ამ ზედაფენის ინტერესებისათვის.

ერთი სიტყვით, ასეთი იყო ძველ აღმოსავლეთში კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების გზა, რაც ნაჩვენებია აქვს ფრ. ენგელსს უკვე „ანტიკური ინგვი“⁷. საკითხის ასეთი გააზრება საფუძველს გვაძლევს დავინახოთ ძველი აღმოსავლური კლასობრივი საზოგადოების რადიკალური განსხვავება ანტიკური მონათმფლობელური საზოგადოებისაგან⁷. ამდენად, ჩვენის აზრით, მცდარია როგორც ვ. ვ. სტრუვეს და მისი მიმდევრების თეორია ძველ აღმოსავლეთში მონობის ე. წ. ანტიკური ფორმით არსებობის შესახებ, ისე ა. ი. ტიუმენევის, ი. პ. დიაკონოვის და სხვათა აზრი აქ მონათმფლობელობის აღმოსავლური ვარიანტის განვითარების შესახებ.

ისევე როგორც არ არსებობს საფუძველი ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური ქვეყნების საზოგადოებათა ერთ სოციალ-ეკონომიურ ფორმაციად გაერთიანებისათვის, ასევე უსაფუძვლოა აქ არსებულ სახელმწიფოთა მიჩნევა ერთი ტიპის, სახელდობრ მონათმფლობელურ სახელმწიფოდ. ჩვეულებრივად, როდესაც ლაპარაკობენ მონათმფლობელურ საზოგადოებაზე, მონათმფლობელურ სახელმწიფოზე და ა. შ. იმდენად სჯერდება უზოგადეს მოსაზრებებს, რომ ძნელია მათზე კონკრეტული წარმოდგენა ვიქონიოთ. თუ ამ საზოგადოების მოდელად ანტიკურობას ავიღებთ, რაც სავსებით ბუნებრივია, შეუძლებელია მისი მსგავსი ვეძებთ ძველ აღმოსავლეთში. ასევე ითქმის ამ ქვეყნების სახელმწიფოთა მიმართაც.

ფრიდრიხ ენგელსი, ისევე როგორც კარლ მარქსი ახასიათებდა რა აზი-აში არსებულ სახელმწიფოებრივ ფორმას, მას განსაზღვრავდა როგორც დესპოტიას. სახელმწიფოს ამ ფორმის დახასიათებისას ისინი სავსებით ეთან-

⁵ დაწვრილებით ამაზე ჩვენ ვწერდით სტატიაში «О причинах неразвитости рабства на Древнем Востоке», Вопросы истории, 1969, № 9.

⁶ ვ. ი. ლენინი კლასთა არსებობის პირობად, როგორც ცნობილია, წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების გარდა თვლიდა მათ როლს საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, საზოგადოების სიმდიდრის მიღების წესსა და სიდიდეს. ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 29, გვ. 491;

აღნიშნული სახის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბაზაზე კლასების წარმოქმნის შესახებ იხ. გ. მელიქიშვილის სტატია „ძველი საქართველოს სოციალ-ეკონომიური წყობილების საკითხი“, მაცნე, 1966, № 1. А. Я. Гуревич. «Общий закон и конкретная закономерность в истории... В. И. 1965, № 8; ჩვენი წერილი „ვ. ი. ლენინი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ“. მნათობი, 1969, № 12.

⁷ ანალოგიურად ძველი აღმოსავლეთის საზოგადოებების კლასობრივი სტრატეფიკაციისა, ზღვდება აზიის ბევრი შემდგომი ხანის საზოგადოების განვითარებაც; ასევე ოკეანეთის, აფრიკის, ამერიკის მოწინავე საზოგადოებათა ევოლუცია ჩვენი წელთაღრიცხვის დამდეგის შემდეგ.

ხმებოდნენ წინმავალ ევროპელ მოაზროვნეებს. ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლები მიუთითებდნენ დესპოტიური სახელმწიფოს ფუნქციებზეც: ფინანსებზე (ძარცვა ქვეყნის შიგნით), ომზე (ძარცვა ქვეყნის შიგნით და უცხო ქვეყნებისა) და საზოგადოებრივ სამუშაოებზე (ზრუნვა რეპროდუქციისათვის)⁸. „ანტი-დიუტინგში“ კვითხულობთ „რამდენი დესპოტიები გაჩენილა და დაღუპულა სპარსეთსა და ინდოეთში და თვითეულმა მათგანმა ძლიერ კარგად იცოდა, რომ იგი, უწინარეს ყოვლისა, მდინარეების ხეობათა მორწყვის ერთობლივი მომწესრიგებელი იყო“⁹.

ამრიგად, აზიის დესპოტიურ სახელმწიფოს თავისი არსებობის გამართლება ჰქონდა, ასრულებდა რა მთელი საზოგადოებისათვის აუცილებელ ფუნქციებს. თავისი ისტორიული გამართლება ჰქონდა იმასაც, თუ რატომ იყო აზიის ქვეყნებში ასეთი უხეში სახელმწიფო. რომელიც თავისი მოქალაქეების მიმართ თავისუფალი იყო¹⁰. ამას ადგილი ჰქონდა იმიტომ, რომ აზიის ქვეყნების მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენდნენ მეთემე — გლეხები, რომ ქალაქები აქ მცირერიცხოვანი იყო. ამ მეთემე — გლეხებს ჰქონდათ ბევრი ერთნაირი, მაგრამ ძალიან ცოტა საერთო ინტერესი. პოლიტიკურად აქტიური სოციალური ფენების არარსებობისას მოხდა სახელმწიფოს „გაუცხოება“ საზოგადოებისაგან და ძველი აზიის მცხოვრებთა „საყოველთაო მონობა“ (კ. მარქსი). ამით დესპოტიური სახელმწიფო თვისობრივად განსხვავდებოდა სახელმწიფოს აბსოლუტური მონარქიის ფორმისაგან.

ანტიკურ საზოგადოებაში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის ტენდენცია ჩაისახა ბევრად უფრო გვიან, ვიდრე ძველ აღმოსავლეთში. ეს გასაგებიცაა, რადგან ძველი აღმოსავლეთის დიდ მდინარეთა ველებთან შედარებით ანტიკური ქვეყნების ბუნება ბევრად უფრო მკაცრი იყო. კერძოდ აქ არსებობდა მაგარი და შედარებით ნაკლებად ნაყოფიერი ნიადაგები, უფრო მკაცრი იყო ჰავა, მეტი პროდუქტი იყო საჭირო უშუალო მწარმოებლების აუცილებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. მხოლოდ რკინის მეტალურგიისა და გუთნური მიწათმოქმედების ფართოდ გავრცელების პირობებში გახდა შესაძლებელი ანტიკურ სინამდვილეში ზედმეტი პროდუქტის წარმოება. თავის მხრივ, ეს შესაძლებლობა საფუძვლად დაედო კლასობრივი სტრატეფიკაციის ზემოაღნიშნული ორი ტენდენციის გაჩენას. მაგრამ განსხვავებით ძველი აღმოსავლეთისა, ანტიკურ ხალხებთან დომინირებული გახდა მონური შრომის ექსპლოატაცია. ამის მიზეზად ხშირად ასახელებენ ომებს, შრომის იარაღების განუფითარებლობას იმ საფეხურამდე, რომ შესაძლებელი გამხდარიყო ყმა-გლეხთა შრომის ექსპლოატაცია. რაც არ უნდა გავრცელებული იყოს მოვლენის ასეთი ახსნა, იგი ძალზე უსუსურია.

⁸ კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული წერილები. 1949. გვ. 75, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 386.

⁹ იქვე, გვ. 212.

¹⁰ იხ. ფრ. ენგელსის წერილი კ. ბებელისადმი К. Маркс, Фр. Энгельс. Сочинения, ტ. 34, გვ. 103.

საბჭოთა ლიტერატურაში შეინიშნება ტენდენცია დესპოტიის გაიგივებისა აბსოლუტურ მონარქიასთან, ძველ აღმოსავლეთში ანტიკური ტიპის ქალაქი — სახელმწიფოების არსებობის მტკიცებისა. ამის ერთ-ერთი გამოხატულებაა გ. ნადარეიშვილის სტატია „კარლ ვიტფოგელი და მისი „აღმოსავლეთის დესპოტიზმი“. საბჭოთა სამართალი, 1970, № 2.

ამ შეხედულებას ჩვენ არ ვიზიარებთ.

საკითხის სწორი გააზრება მოცემული ჰქონდა ფრ. ენგელსს. იგი წერდა: „ძველი, კერძოდ ბერძნული მსოფლიოს ისტორიულ წანამძღვართა პირობებში წინსვლა კლასობრივ წინააღმდეგობებზე დაფუძნებული საზოგადოებისაკენ შეიძლება მონობის ფორმით მომხდარიყო“¹¹. ყველაზე მთავარი წანამძღვარი უკვე მოვიხსენიეთ. იგი მდგომარეობდა რკინის შრომითი იარაღების ფართოდ გავრცელებაში. წარმოების განვითარებისათვის ხელსაყრელი იყო ანტიკური საზოგადოების გეოგრაფიული გარემო, წარმოდგენდა რა დიფერენცირებულ პირობებს — სხვადასხვაგვარი ნიადაგები, რელიეფი, კლიმატი, ტყეები, სასარგებლო წიაღისეული, საძოვრები, ზღვა და ა. შ. — საწინააღმდეგოდ ძველი აღმოსავლეთისა. ხელსაყრელი იყო საზოგადოების ისტორიული გარემოც, რაც გამოიხატა ერთის მხრივ განვითარებული ხალხების არსებობაში, საიდანაც ანტიკურმა ხალხმა შეითვისა მთელი რიგი მატერიალური და სულიერი ხასიათის მიღწევები, მეორეს მხრივ ჩამორჩენილი ხალხების არსებობაში, რამაც გაადვილა მონების მოზიდვა. მოსახლეობის სწრაფმა ზრდამ შედარებით შეზღუდულ ტერიტორიებზე იმპულსი მისცა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციას, ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარებას, კოლონიზაციას და ამით შრომის დანაწილებას მეტროპოლიებსა და კოლონიებს შორის. ქალაქების მნიშვნელოვან განვითარებას შედეგად მოჰყვა ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა გავრცელება სასოფლო თემებში, მიწის გადაქცევა კერძო საკუთრებად და საქონლად. ხდებოდა მიწების ნაწილის კონცენტრაცია გვაროვნული არისტოკრატების ხელში, მოსახლეობის ნაწილის დაკაბალება დავალიანების გამო. ქალაქების, წარმოებისა და გაცვლის, მსხვილი, — როგორც უძრავი, ისე მოძრავი, საკუთრების ფართოდ გავრცელების პირობებში ფართოდ გავრცელდა მონათა შრომა.

ენგელსი კლასიკური მონობის განვითარების შესახებ ასე წერდა: „მაშასადამე, სანამ მონობა შესაძლებელი გახდებოდა, საჭიროა ერთგვარი საფეხურის მიღწევა წარმოების განვითარებაში და უთანასწორობის ერთგვარი დონის დამყარება დანაწილებაში. ხოლო, რათა მონური შრომა წარმოების გაბატონებული წესი გახდეს მთელს საზოგადოებაში, საჭიროა, რომ წარმოება, ვაჭრობა და სიმდიდრის დაგროვება ბევრად უფრო მაღალ დონეზე ავიდეს. პირველყოფილ ბუნებრივად აღმოცენებულ თემებში, სადაც საერთო მიწათმფლობელობა იყო გაბატონებული, მონობა ან სულ არ არსებობდა ან ფრიად დაქვემდებარებულ როლს ასრულებდა. იგივე ითქმის პირველყოფილ გლეხურ ქალაქ რომზე: როცა, პირიქით, რომი „მსოფლიო ქალაქი“ გახდა, ხოლო იტალიის მიწათმფლობელობა არაჩვეულებრივად მდიდარი მესაკუთრეების მცირერიცხოვანი კლასის ხელში დაგროვდა, გლეხთა მოსახლეობა მონათა მოსახლეობამ განდევნა. თუ სპარსელთა ომების დროს მონების რიცხვი კორინთოში 460.000-მდე ავიდა, ხოლო ეგინაში 470.000-მდე, ისე რომ თავისუფალი მოსახლეობის თვითეულ სულზე ათი მონა მოდიოდა, ამისათვის კიდევ უფრო მეტი რამ იყო საჭირო, ვიდრე „ძალმომრეობა“, სახელდობრ, მაღალგანვითარებული მხატვრული და ხელოსნური მრეწველობა და ფართო ვაჭრობა“¹².

ანტიკური საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ ევოლუციაში ადგილი ჰქონდა ეკონომიური პირობებით გამოწვეულ შესაბამის ცვლილებებს. გვა-

¹¹ ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 214—215.

¹² ფ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი“, გვ. 189—190.

როგნული წყობილების რღვევისას საზოგადოებას გამოეყოფოდა თანამდებობათა პირები, რომლებიც ასრულებდნენ განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფუნქციებს (ადმინისტრაცია, სამხედრო საქმე, მართლმსაჯულება, რელიგიური კულტი). თემთა გაერთიანების სათავეში აღმოჩნდნენ მეფე და გვაროვნული არისტოკრატია, რომლებიც ერთმანეთს ებრძოდნენ უმაღლესი ხელისუფლებისათვის. მაგრამ როგორც სახელმწიფოს, ისე მმართველი ზედაფენის განვითარების ბედი სხვანაირად წარიმართა.

შეცვლილი სოციალ-ეკონომიური პირობები აისახა პოლიტიკურ განვითარებაზეც. ხელოსნები, ვაჭრები, უცხოელები, სავაჭარეულო არისტოკრატისა და გლეხების ნაწილი აქტიურად გამოვიდა საზოგადოების ზედაფენის წინააღმდეგ. მის შედეგად არისტოკრატისა ან სამეფო ხელისუფლებას ბოლო მოეღო, შეიქმნა რესპუბლიკები, სადაც უმაღლესი ძალაუფლება თვით ხალხს ეკუთვნოდა. ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოების საპირისპიროდ ანტიკური სახელმწიფოები ფუნქციონირებდნენ მრავალრიცხოვანი ბიუროკრატის, პროფესიული არმიისა და უზარმაზარი გადასახადების გარეშე. ამ ტიპის სახელმწიფო იმის ერთ-ერთი ფაქტორი გახდა, რომ ექსპლოატაციის განვითარებას ბოლო მოეღო საზოგადოების შიგნით, რომ იგი წარიმართა სხვა ხალხების ხარჯზე, — რა თქმა უნდა, არა უშუალოდ ომიანობის საფუძველზე. ამის შესაბამისად სახელმწიფო იქცა არა გაერთიანებად მცირერიცხოვანი ზედაფენისა საზოგადოების წევრების უმრავლესობის წინააღმდეგ, არამედ თავისუფალი მოქალაქეებისა მონების წინააღმდეგ.

სახელმწიფოს ჩამოყალიბება ანტიკურ ქვეყნებში, ფრიდრიხ ენგელსის მიხედვით, დიდი ხნის განმავლობაში ხდებოდა. ასე მაგალითად, ათენის სახელმწიფო ჩანასახის სახით გაჩნდა ჯერ კიდევ ე. წ. „თეზეოსის სინოიკიზმის“ დროს და საბოლოოდ დასრულდა როგორც ასეთი ძვ. წ. VI ს-ის ბოლოს „კლისთენეს რევოლუციის“ დროს. ამასთანავე ეს პროცესი აქ ვითარდებოდა წმინდა სახით გარედან დაპყრობის გარეშე. თვით რომში სახელმწიფო უფრო სწრაფად ჩამოყალიბდა. დამპყრობელი *Populus Romanus*-ის გვაროვნული ორგანიზაცია შეუფერებელი აღმოჩნდა პოლიტიკურად აქტიური პლებისსათვის. უკანასკნელის პოლიტიკური აქტივობის გამო უკვე სერვიუს ტულიუსის დროს (ძვ. წ. VI ს. მეორე ნახევარში) რომში გვაროვნული წყობილება სახელმწიფომ შესცვალა.

დროთა განმავლობაში, განსაკუთრებით რომის იმპერიის ხანაში, ანტიკური, დემოკრატიული ტიპის სახელმწიფო გადაიზარდა თავის დაპირისპირებულობაში. ფრიდრიხ ენგელსმა შესანიშნავად უჩვენა რომის იმპერიის ხანის სახელმწიფოს ხასიათი, აგრეთვე ის სოციალ-ეკონომიური მიზეზები, რამაც ასეთი ფორმის სახელმწიფოს შექმნა განაპირობა¹³. მისი აზრით, გერმანელებმა ითამაშეს დიდი როლი როგორც ანტიკური საზოგადოების ფეოდალურით შეცვლაში, ისე დასავლეთ ნაწილში რომის სახელმწიფოს მოსპობაში.

სანამ გერმანელ ხალხებში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობას გავაშუქებდეთ, შევჩერდებით ერთ გარემოებაზე. რომელიმე კონკრეტული საზოგადოების განვითარება იზოლირებული როდია სხვა საზოგადოებებისაგან. ამა თუ იმ საზოგადოებაში შინაგანი კლასობრივი ევოლუცია

¹³ ამის შესახებ იხ. ჩვენი წერილი „ანტიკური სახელმწიფოს განვითარების საკითხისათვის“. საბჭოთა სამართალი, 1969, № 6.

რთულდებოდა დაპყრობებით. ასე მაგალითად, რომაელთა დაპყრობებმა ხელი შეუწყვეს მათ საზოგადოებაში მონათმფლობელობის სწრაფ განვითარებას. თუ ეს საზოგადოება თვითონ გახდებოდა დაპყრობის ობიექტი, დაპყრობილი ხალხი იქცეოდა საზოგადოების ექსპლოატირებულ ნაწილად, განაგრძობდა რა ცხოვრებას უწინდელის მსგავს პირობებში ღალის გადახდის პირობით. ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ორი ხალხის სიმბიოზს და ჩქარდებოდა კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. ასეთი შესაძლებლობა არსებობს და მართლაც ბევრი შემთხვევაა, როცა იგი განხორციელებულა. ეს არაერთხელ აღუნიშნავს ენგელსს. ძველ სპარტაში ჰილოტების მდგომარეობას იგი განსაზღვრავდა როგორც ყმა-გლეხობას¹⁴. სხვა ადგილას ენგელსი წერდა:

«Несомненно, крепостное отношение не является специфической средневеково-феодальной формой, мы встречаем его всюду, где завоеватели заставляют старых жителей обрабатывать землю: как было например, в Фессалии в очень раннее время»¹⁵.

მაგრამ ენგელსის შეხედულება ამ საკითხზე ძალზე განსხვავდება ლ. გუმპლოვიჩის თეორიისაგან. ჯერ ერთი, ბატონობა — დამორჩილება უშუალოდ ადამიანთა რასების თვისებებიდან კი არ აიხსნება და არც უბრალო ძალადობით, არამედ დაკავშირებულია საწარმოო ძალების განვითარების გარკვეულ დონესთან, როდესაც ადამიანის შრომის მწარმოებლურობა ჰკარბ პროდუქტს იძლევა. ამის გარეშე არც ერთ ავსტრალიელ აბორიჯენტა გაერთიანებას არ მოუხდენია სხვა გაერთიანების სისტემატური ექსპლოატაცია. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სანამ რაიმეს მითვისება გახდებოდეს შესაძლებელი თუნდაც ძალადობით, საჭიროა ამ „რაიმეს“ წარმოება. და მეორე, სულაც არ იყო აუცილებელი ყველა შემთხვევაში დაპყრობების გზით მომხდარიყო კლასებად დაყოფა და სახელმწიფოს წარმოქმნა¹⁶.

გერმანელი ხალხების ნაწილში (ოსტგუთები, ვესტგუთები, ბურგუნდები, ფრანკები და სხვ.) ვიდრე კლასობრივი სტრუქტურის ჩამოყალიბება მოხდებოდა, ადგილი ჰქონდა ჯერ სახელმწიფოს განვითარებას. ამ სახელმწიფოს მთავარი ფუნქცია ჯერჯერობით, რასაკვირველია, საირიგაციო სამუშაოები არა ყოფილა, არამედ — დაპყრობილ დასავლეთ რომის იმპერიაზე ბატონობა. თუ ძველ სპარტაში გვაროვნული ორგანოები — სახალხო კრება, უხუცესთა საბჭო — ძალაში დარჩნენ ჰილოტების დაყმევების შემდეგ, გერმანელ ხალხებში ეს შეუძლებელი გახდა. მთავარი მიზეზი ის იყო, რომ დაპყრობილი ტერიტორიების აიდიდის გამო სახალხო კრებისა და გვარების უხუცესთა კრების ფუნქციონირება შეუძლებელი აღმოჩნდა. გერმანელთა გვაროვნული წყობის ორგანოები მალე გადაგვარდნენ. სამაგიეროდ გაძლიერდა მეფის ხელისუფლება, მხედართმთავართა საბჭო. ლათინური დამწერლობისა და კანონმდებლობის ცოდნის წყალობით შეიქმნა ბიუროკრატია. შემდგომ საუკუნეებში ძალზე დაქვეითდა სახალხო ლაშქარიც. მისი ადგილი დაიკავა მსხვილ და შედარებით მსხვილ მიწათმფლობელთაგან შემდგარმა ლაშქარმა. ამ აზრით ჩამოყალიბდა სახელმწიფო ძირითადი ნიშნებით.

¹⁴ ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა. 1953. გვ. 84.

¹⁵ К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 35, стр. 112.

¹⁶ კ. კაუცკის „ორიგინალური“ თვალსაზრისი მოცემულ საკითხზე და ფრ. ენგელსის აზრის კრიტიკა (წიგნში „ისტორიის მატერიალისტური გაგება“) ძალიან უსუსურია.

ფეოდალთა და ყმა-გლეხთა კლასები ჩამოყალიბდნენ შემდეგნაირად: დაპყრობების გზით მეფეებს დაუგროვდათ მიწის დიდი ფონდი, რაც მათ ბენეფიციების სახით გადასცეს მსახურეულ ზედაფენას. მეორე მხრივ, სახელმწიფოს სისუსტისა და გადატაკების პირობებში თავისუფალი გლეხები იძულებული ხდებოდნენ კუთვნილ მიწაზე კერძო საკუთრების უფლება გადაეცათ საერო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის. ესენი პირველთა მიმართ ასრულებდნენ გარკვეულ ფუნქციებს (თავდაცვა, მართლმსაჯულება, რელიგიური კულტი და სხვ.). მიწა კვლავ რჩებოდა გლეხთა მფლობელობაში, მაგრამ ღალისა და ბეგარის გადახდის პირობით. ფაქტიურად, ცენტრალიზებული სახელმწიფოს სისუსტისა და გაქრობის გამო ყოველი საფეოდალო წარმოადგენდა პატარა სახელმწიფოს (ციხით, დამსჯელი რაზმითა და სხვ.).

გერმანელი ხალხების ნაწილში, საკუთრივ გერმანიის, სკანდინავიის ტერიტორიაზე და ა. შ. კლასებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში დაპყრობის მომენტი ან მცირე იყო, ანდა უმნიშვნელო როლს ასრულებდა. აქ ძირითადი იყო შინაგანი პროცესები.

ასეთია ძალიან მოკლედ ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებანი კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობის სხვადასხვა ვზის შესახებ.

ნაკომოდენლოვის რანონასიის პირობები სამოქალაქო საქმეებზე

ა. სოფოლავა

შეჯიბრებითობის პრინციპი სისხლის და სამოქალაქო სამართალწარმოების ფუძემდებელი საწყისია. თუ ამ პრინციპს საერთოდ სამართალწარმოებაში ან კერძოდ ამა თუ იმ საქმეზე დეკორატიული აქსესუარის დანიშნულება ექნება, მაშინ საქმე გვაქვს შენიღბულ ადმინისტრაციულ მიხედულობასთან. შეჯიბრებითობის პრინციპის ქმედითობა სამოქალაქო საქმეებზე ყველაზე გარკვევით ჩანს წარმომადგენლობის მდგომარეობიდან, კერძოდ პროფესიული წარმომადგენლობის (ადვოკატურის) მდგომარეობიდან, რადგან თვით მხარე შეიძლება ვერ ერკვეოდეს შექმნილ სიტუაციაში.

წარმომადგენლობა არ არის დაშვებული სამოქალაქო საქმეებზე, რომლებიც განიხილება ადმინისტრაციული წესით.

ამავე წესით განიხილება მთელი რიგი დავები, რომლებიც სამოქალაქო სამართლებრივი ბუნებისაა. ასეთი დავების ჯგუფში შედის შემდეგი შემთხვევები:

1. უპროექტო სახლზე საკუთრების ან მფლობელობის უფლების დადგენა, როდესაც სახლი უსაფუძვლოდ მიკუთვნებულია უპროექტო სახლების ჯგუფისადმი;
2. სახლის მესაკუთრის პრეტენზია სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის თაობაზე იმ შემთხვევაში, როდესაც ჩამოსართმევ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა არ არის გათვალისწინებული დასახლებული პუნქტის დაგეგმარების დეტალური პროექტით, რომელიც მუშავდება უახლოესი 3—5 წლისათვის ან სხვა სავალდებულო გეგმით;
3. ავარიული სახლიდან ადმინისტრაციული წესით გამოსახლებისას სასარჩელო წესით ბინის მოთხოვნა, თუ შეძლებული ბინა არ აკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს (Бюллетень Верховного Суда СССР, 1968, № 1, стр. 17);
4. კომუნალური სახლის კაპიტალური რემონტის დროს მობინადრის უფლება მოითხოვოს სასარჩელო წესით მისი ბინის იზოლაცია, თუ ამის ტექნიკური შესაძლებლობა არსებობს (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 807 დადგენილების თანახმად, ძველ სახლებში კაპიტალური რემონტის ჩატარებისას კომუნალური ორგანოები ვალდებული არიან, ტექნიკური შესაძლებლობების გამოყენებით, მოახდინონ ბინების იზოლაცია);
5. იმის უფლება, რომ აღებული სახლის და მიწის ნაკვეთზე არსებული ნარგავების ღირებულების შეფასება გასაჩივრდეს სასამართლო წესით;
6. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის სოფლად ასაღები სახლის მესაკუთრის ან საკოლმეურნეო კომლის უფლება აუნაზღაურდეს მიწის ნაკვეთის განოყიერებაზე, გაწყლიერებაზე, ამოშრობაზე, ჭების გაკეთებაზე გაწეული ხარჯები, აუნაზღაურდეს ეზოს შეღობვის და აგრეთვე უნაყოფო ხეებისა და ნარგავების

ბის ღირებულება¹; 7. მოითხოვოს ნორმატიული ან ადმინისტრაციული აქტით გათვალისწინებული დაპირების შესრულება სასარჩელო წესით, როდესაც დაპირება არ სრულდება (მაგ., მმართველობის აპარატის გათავისუფლებასთან დაკავშირებით, 1970 წლის თებერვლიდან სხვა რაიონებში გადაყვანილ გამოთავისუფლებულ მუშაკს უფლება აქვს მიიღოს ბინები საუწყებო სახლებში დაქვემდებარების მიუხედავად, მაგრამ ეს უფლება არ არის დაცული სასარჩელო წესით); 8. საგამომცემლო ორგანოსათვის სასარჩელო წესით იმის დაკისრება, რომ ავტორის ხარჯით და ავტორის რისკით გამოსცეს ნაწარმოები, რომელიც აკმაყოფილებს ასეთ ნაწარმოებზე წარდგენილ მოთხოვნებს. როგორც ცნობილია, მშრომელთა შემოქმედების შეუზღუდველობა საჯარო ვალდებულების სახით საბჭოთა კულტურის ძირითად საწყისს წარმოადგენს; 9. შრომისუნარიანობის გარკვეული პროცენტით დაკარგვის ანაზღაურება, თუ ვნება დაკავშირებული არ არის მატერიალურ ზარალთან. ფიზიკური ვნება შრომის ინტენსიურობით იფარება, რაც დამატებით უნდა იქნას ანაზღაურებული; 10. დავები სასარჩელო წესით მშრომელის მაღალ საკვალიფიკაციო თანრიგში გადაყვანაზე ნორმის ზევით მომსახურების ვალდებულების მიღების შემდეგ ნორმის გადიდებისა და განაკვეთის შემცირების შესახებ, ახალი ეკონომიური რეფორმის პირობებში შემოღებული პრემიების ოდენობის შესახებ; 11. თანამდებობის პირის ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში ჩადენილი არასწორი ადმინისტრაციული აქტის სასარჩელო წესით გასაჩივრება დამოუკიდებლად მიყენებული მატერიალური ზარალისა. ასეთი სარჩელის წარდგენა არ შეიძლება იმ შემთხვევებშიც, თუ დაზარალებულს მიყენებული აქვს მორალური ზიანი ან როდესაც აქტის უსწორობის აღიარება პირს სჭირდება პრეიუდიციალური გარემოების დადგენის მიზნით; 12. მოქალაქის პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების გავრცელებისათვის მასიური ინფორმაციის ორგანოებისადმი ყოველდღიურად მზარდი საურავის (ჯარიმის) დაკისრება ამ ცნობების ფაქტიურად უარყოფამდე. ამჟამად ამ ორგანოებს შესაძლებლობა აქვთ მცირე ჯარიმით გამოისყიდონ თავიანთი დარღვევა და უარყოფის გარეშე დატოვონ გამოქვეყნებული არასწორი ინფორმაცია. ასეთი მდგომარეობა მოგვაგონებს რომის სამართლის ერთ დებულებას — *lex minus quat perfecta*, როდესაც აკრძალვას მოსდევდა მხოლოდ ჯარიმა, მაგრამ გარიგება ძალაში რჩებოდა. ამის გამო ასეთი დავები იშვიათია; 13. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წესით შესყიდვიდან გამომდინარე ზოგიერთი დავა ჩაბარებული საქონლის კონდიციის განსაზღვრის, ჩაბარების ვადების და ოდენობის ნაწილში²; 14. საქმეები, რომლებიც შეეხება კრედიტით შექმნილი საქონლის ან საყო-

¹ 1963 წელს სოფლის მეურნეობა შეადგენდა მოსახლეობის 48 პროცენტს, 1967 წელს — 45 პროცენტს. არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ქალაქში მიგრაციის პროცესი იფარება სოფლად შობადობის მაღალი ხარისხით. მართალია, მოსახლეობის გადასვლა ქალაქად ყოველთვის არ იწვევს კომლთა შემცირებას, მაგრამ გარკვეული ოდენობით ამ მოვლენასაც აქვს ადგილი. თუ მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის შემთხვევაში სოფლის მცხოვრებლებს არ უნაზღაურდებათ ეს ხარჯები, შეძლებს თუ არა იგივე სოფლად მცხოვრები პირი ნამდვილი ღირებულებით მიჰყიდოს ქონება სხვას ქალაქში გადასვლის შემთხვევაში?

² 1937 წელს სოფლის მოსახლეობამ კოლმეურნეობათა ჩათვლით სახელმწიფო და კოლპერატულ ორგანოებს მიყიდეს 26 278 მილიარდი ღირებულების საქონელი (Сборник ЦСУ за 1967 г., стр. 338. ამ სახის საქონლის მოძრაობა წარმოებს ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების გამოყენების გარეშე.

ფაცხოვრებო შეკვეთის შედეგად ჩატარებული რემონტის ხარისხს. სასამართლოს უფლება არა აქვს გადაამოწმოს გამყიდველის ან მოიჯარადრის დასკვნა ხარისხზე სასამართლო ექსპერტიზის საშუალებით³; 15. არ გასაჩივრდება გარკვეული კატეგორიის მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა. საწარმოების, დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობების, სამქროების უფროსების რიცხვი, რომელთა დათხოვნის საქმე სასამართლოებს არ ექვემდებარება, 1937 წელს უდრიდა 1.751 ათას კაცს⁴.

1967 წელს აპარატის მუშაკთა რაოდენობა 1.651 ათას კაცს შეადგენდა. მათი უმრავლესობის სამუშაოზე აღდგენა სასამართლოს არ ექვემდებარებოდა. ამავე წლისათვის მეცნიერმუშაკთა რიცხვი 2.850 ათას კაცს უდრიდა⁵. მათ უმრავლესობასაც არა აქვს უფლება აღდგენის საკითხზე მიმართოს სასამართლოს.

სასამართლოს არ ექვემდებარება საქმეები იმ მუშაკების აღდგენისა სამუშაოზე, რომელთა შრომის პირობები წესრიგდება დისციპლინური წესდებით (რკინიგზის, საჰაერო ავიაციის, საზღვაო სავაჭრო ფლოტის და სხვ.), კოლმეურნეობიდან გარიცხული წევრების⁶.

ვლახარაკობთ რა საქმეთა სასამართლო ორგანოებისადმი ქვემდებარებაზე, ჩვენ არ ვგულისხმობთ სასამართლოებს არსებული სახით. მრავალ შემთხვევაში დასაშვებია სამოქალაქო საქმის ერთპიროვნულად განხილვაც შედარებით გამარტივებული პროცედურის პირობებში, ხოლო რთული საქმეები, რომლებიც მნიშვნელოვან ინტერესებს ეხება, უნდა განხილულ იქნას ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით (შერეული სასამართლო), ან გაზრდილი შემადგენლობის მქონე სასამართლოს მიერ.

წარმომადგენლობის მდგომარეობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის მოწესრიგებული მფლობელობის და უფლების სუბიექტის საკითხები. ამის თაობაზე ჩვენ მიერ აღრე გამოთქმული მოსაზრებების⁷ დამატებით უნდა ითქვას შემდეგი:

1. მ ფ ლ ო ბ ე ლ ო ბ ა. მართალია, სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობა არ ხმარობს ტერმინს — საოჯახო საკუთრებას პირადი საკუთრების, საკოლმეურნეო საკუთრების, საერთო საკუთრების გვერდით, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი საკუთრება იურიდიული ფორმირების პროცესშია. ზოგიერთ ურთიერთობაში (სფეროში) კი მან უკვე შთანთქა ოჯახში გაერთიანებული პირების ქონებრივი განკერძოებულობა.

გარდაუვალ მოვლენად უნდა ჩაითვალოს სოფლის მოსახლეობის მიგრაცია ქალაქებში, სოფელ ადგილების დაბეზად გადაქცევა და დიდ ქალაქებს ახლო მდებარე სოფლების თანამგზავრ ქალაქებში შეყვანის პროცესი; პერსპექტიული სოფლის ტერიტორია გაიმიჯნება სხვა მიწებისაგან და დაემორჩილება დაგეგმარების და განაშენიანების გეგმებს. თვით სოფლის ყოფა უნდა დაუახლოვდეს ქალაქის კეთილმოწყობილ ყოფას (მიწის კანონმდებლობის საფუძვე-

³ საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1965 წ. № 4—5, გვ. 120—121.

⁴ Курс экономической статистики, под редакцией проф. Петрова, 1954 г., стр. 165.

⁵ Народное хозяйство, 1967 г., стр. 649.

⁶ 1967 წლისათვის კოლმეურნეთა საშუალო რიცხვი 18,2 მილიონ კაცს უდრიდა (იგივე კრებული, გვ. 466).

⁷ იხ. საბჭოთა სამართალი, 1963, № 4, გვ. 39—47, იგივე, 1965, № 1, გვ. 42—48.

ლების 36-ე მუხლი და СПП СССР 1968 წ. № 18, გვ. 121). ქალაქში, დაბაში შეყვანილი ან დაგეგმარების პროცესს დაქვემდებარებული სოფლის საკოლმეურნეო (ერთპიროვნული) კომლის ქონება, კომლის ლიკვიდაციის შემდეგაც, ხანდაზმულობის მიუხედავად, სანამ დარჩენილი ქონება არსებობს, იყოფა საკოლმეურნეო კომლის გაყოფისათვის დადგენილი წესით (რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 133 მუხლი და საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 129 მუხლი). ეს ძლიერი ნაკადი, შეჭრილი ქალაქისა და ქალაქთან გათანაბრებული დაბის ყოფაში, ავრცელებს ქალაქებში საოჯახო საკუთრების იდეას, მაშინაც კი, როდესაც ქონება არ უნდა გაიყოს კომლისათვის დადგენილი წესით.

მართალია, მეტ წილ სოფელ ადგილებში კანალიზაცია, წყალსადენი ჯერ გაყვანილი არ არის და ზოგან არ არსებობს ქალაქისათვის აუცილებელი სხვა საყოფაცხოვრებო პირობა, მაგრამ გეგმიანი განაშენიანების პროცესმა უკვე მოიცვა სოფლის ცხოვრება.


სოფლის მცხოვრებს შეუძლია აავოს სახლი ტიპური პროექტის მიხედვით, დადგას სახლი მიწის ნაკვეთის მიჩენილ ადგილზე, ე. ი. სოფლად შემოდის გეგმიანი სახლის ცნება თავისი შედეგებით: აღებულ ან კონფისკებულ უნდა იქნას არაგეგმიანი (უნებარე) სახლი, სახლის საცხოვრებელი ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 60 კვ მ., ხოლო დამხმარე ფართობებისა 40 კვ. მ. და სხვ.

ასეთ ვითარებაში საკარმიდამო ნაკვეთის ადგილს დაიკავენს დაბებში არსებული ნორმის კვალობაზე სელიტებური მიწის ნაკვეთი, რადგან ყოველი განაშენიანების გეგმა მოითხოვს დასახლების სიმჭიდროვეს და საყოფაცხოვრებო და კულტურული მომსახურების ცენტრალიზაციას. ეს პროცესი მძიმე პროცესია, მისი იურიდიული შედეგები ჯერ საკმაოდ არ არის გათვალისწინებული. არ უნდა დაგავიწყდეს, რომ დამხმარე მეურნეობებში დახარჯული დრო შეადგენს მთლიანად სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებაზე დახარჯული დროის 33 პროცენტს, ხოლო მეურნეობის ამ სფეროში შექმნილი სასაქონლო პროდუქცია, რეალიზებულ სახელმწიფოზე და საკოლმეურნეო ბაზრებზე, შეადგენს სასოფლო-სამეურნეო მთლიანი პროდუქციის 24 პროცენტს⁸.

თავისთავად ცხადია, რომ ერთი ან რამდენიმე მესაკუთრის სახელზე აგებული სახლი სოფლად, დავის შემთხვევაში, გაიყოფა არა ყოველ ოჯახის წევრზე, როგორც ეს ამჟამად საკოლმეურნეო კომლისათვის არის დადგენილი, არამედ სრულწლოვან ოჯახის წევრებზე, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სახლის აგებაში. ამგვარად, საკოლმეურნეო კომლის საკუთრება საოჯახო საკუთრების ანუ საოჯახო მფლობელობის ფორმას იღებს.

მიწის კანონმდებლობის საფუძვლების მიხედვით მიწის ნაკვეთი შეუნარჩუნდება მხოლოდ სოფლად მცხოვრებ ოჯახს (პირებს). ეს ნაწილობრივ დაბრკოლებს კაპიტალური და კეთილმოწყობილი სახლების მშენებლობას, ვინაიდან ბევრი შეიკავებს თავს არასამეკვიდრეო სახლის მშენებლობაზე. როგორც ცნობილია, მიწის ნაკვეთზე უფლების დაკავრვა აუფასურებს ან სპობს სახლზე საკუთრების უფლებას.

⁸ С. В. Рогачев. Планомерность и элементы стихийности в условиях социалистического производства, «Методологические проблемы экономической науки», изд. «Мысль», М., 1967 г., стр. 195.



ლება დადასტურებულ იქნას მოწმეთა ჩვენებებით: ოჯახის წევრის უფლებით შემოყვანილი პირი (მაგ., რძალი) არ მოიპოვებს უფლებას საცხოვრებელ ფარფობზე, თუ არ არის მისი ჩასახლების შესახებ ოჯახის სრულწლოვან წევრთა წერილობითი თანხმობა.

რით უნდა აიხსნას ასეთი განსხვავებული დამოკიდებულება დასახელებული მოვლენებისადმი?

პასუხის გაცემა არ არის ძნელი, თუ გავითვალისწინებთ შემდეგს: იმ შემთხვევაში, როდესაც ვალდებულებითი საწყისის საფუძველზე ოჯახის წევრი იძენს საკუთრების უფლებას სახლზე „გაუბრალოებული“ წესით (მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე), საქმე ეხება ინდივიდუალური საკუთრების, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაოჯახებას, ქონება არ გადის ოჯახის მფლობელობიდან, რაც რომის სამართლის მემკვიდრეობის ერთ ფორმას — ფიდეიკომისს მოგვაგონებს.

ოციან და ოცდაათიან წლებში, პირიქით, უცხო პირის შესახლება ოჯახში, უბრალო საბაბითაც კი, გადავიღებული საქმე იყო. სასამართლო პრაქტიკა უმობლად არღვევდა ოჯახის მთლიანობას და მყუდროებას, ფაქტიური ზედსიძეების, რძლების, ყოფილი მოსამსახურეების, სოფლიდან ჩამოსული სტუმრების და სხვა შემთხვევითი პირების ბინაში შესახლების ან ბინიდან „ხვედრი ფართობის“ გამოყოფის საშუალებით.

საკმარისი იყო ფაქტიურ ცოლქმრულ ურთიერთობაზე მითითება ოჯახის რომელიმე წევრთან, დროებით ცხოვრება ბინაზე ან სხვაგვარი პრეტენზია მასზე, თუ იგი ამავე დროს დაამტკიცებდა ბინის უქონლობას, რომ ბინის მამძიბელი დაკმაყოფილებოდა.

არქიტექტურაშიც ჰპოვა აღნიშნულმა აზროვნებამ გამოვლინება. ვულგარული ტენდენციების ზეგავლენით, ამბობს არქიტექტორი ა. რიბუშინი, ოციან წლებში მუშავდებოდა საცხოვრებელი კომბინატების პროექტები საცხოვრებელი ყოფის განზოგადებით, ოჯახებისათვის ბინებისა და სამზარეულოების გაუთვალისწინებლად.

ინდივიდუალური ყოფის სფერო განისაზღვრებოდა კაბინებით, რომელთა დაუსრულებელი რიგი იყოფოდა დერეფნებით¹¹.

ამჟამად ეს იდეები არქიტექტურაში უარყოფილია, და ორიენტაცია იზოლირებული ბინების მშენებლობაზეა გადატანილი, რაც სამართლის სფეროში ოჯახის ფექტიმიზაციას უდრის. იურიდიული საშუალებებით დაცულ იქნა ოჯახის არსებობის უმნიშვნელოვანესი პირობა — საცხოვრებელი ბინა გაყოფისაგან და ოჯახისათვის უცხო პირების უსაფუძვლო ხელყოფისაგან.

თუ რამდენად რიგორისტული ფორმა მიიღო ოჯახზე წარმოდგენამ, ჩანს შემდეგიდან: ერთ ბინაში დამოუკიდებელი ქირავნობის ხელშეკრულებით ერთ ოჯახად მცხოვრებ მოქალაქეებს უფლება არა აქვთ ერთიანი ქირავნობის ხელშეკრულებით გააერთიანონ ბინები, თუ ისინი ნათესავეები არ არიან. ხანგრძლივად ერთად ცხოვრებას, ზნეობრივ, მატერიალურ და სულიერ ერთიანობას მნიშვნელობა არა აქვს. უპირატესობა ეძლევა ნათესაობას, რომლის ხარისხი სხვადასხვაგვარად ისაზღვრება საოჯახო, სამემკვიდრეო და საბინაო სამართალში. თანდათან იზღუდება პირადი საკუთრების გავრცელების რადიუსი შენო-

¹¹ А. Рябушин. Соседские связи и развитие жилища. «Жилищное строительство», 1970 г., № 12, стр. 10.

11904

ბებზე და ფართოვდება მფლობელობა და სარგებლობა, როგორც საკუთრებისაგან დამოკიდებული სანიგო უფლებები. ეს გარემოება მოძრავი ნივთების მიმართ არასოდეს არ იყო საეჭვო, რამდენადაც საკუთრება ამ ნივთებზე, როგორც წესი, მფლობელობის (გადაცემის) საშუალებით წარმოიშობა. რკინიგზის მუშაკთა მიერ აგებული სახლები რკინიგზის ზოლის ფარგლებში არ შეიძლება გასხვისებულ იქნას მესაკუთრე-რკინიგზელის მიერ. ტყის მრეწველობის და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები გარკვეულ პირობებში კარგავენ უფლებას მიწის ნაკვეთზე და შეუძლიათ განასხვისონ სახლები ადმინისტრაციის ნებართვით¹².

სახლში უნებართვოდ ცვლილებების შეტანა, თუნდაც მისი გაბარიტების გაუფართოებლად და ფასადის მხარეზე ცვლილებების შეუტანლად იწვევს გეგმიანი სახლის უგეგმო (უნებართვო) სახლების ჯგუფში გადაყვანას.

სახლის მფლობელობამ, როგორც საკუთრებისაგან დამოუკიდებელმა უფლებამ, იურიდიული აღიარება ჰპოვა სასამართლო და კომუნალური ორგანოების პრაქტიკაში, თუ სახლს აქვს უნებართვო მიშენება და ამის გამო სახლი არაგეგმიან ნაგებობად ითვლება, სახლის მყიდველი იძენს უფლებას სახლის გეგმიან ნაწილზე უფლების დამდგენი დოკუმენტის მიხედვით — მიშენება ხელშეკრულებაში არ აღინიშნება, მაგრამ, როგორც განუყოფელი ნაწილი, გადადის მყიდველზე ფაქტიური მდგომარეობით¹³.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილებით დაშვებულია სახლის თვითნებური მიშენების გაყოფა მხარეთა შორის, ოღონდ არასაკუთრების უფლებით, არამედ სარგებლობის უფლებით (Бюллетень Верховного Суда СССР, 1969, № 1, стр. 23).

ქალაქების რეკონსტრუქციამ გამოიწვია პირადი საკუთრების სახლების მასიურად აღება, მათ შორის ინგრევა სახლები, რომლებზეც სახელმწიფო სესხი გაუსტუმრებელია¹⁴.

ასაღები სახლების სია უნდა დგებოდეს გენერალური გეგმის საფუძველზე დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტის შედგენის დროს, ე. ი. უახლესი 3—5 წლისათვის (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1966, № 2, მ. 26). ასეთივე წესი არსებობს სხვა რესპუბლიკაშიც. ცხადია, რომ ეს სახლებიც, ფაქტიურად, მფლობელობით სახლებს წარმოადგენენ, ვინაიდან მათი გასხვისება გაძნელებულია. ქალაქებში სახლის მესაკუთრეს შეუძლია ჩაატაროს სახლის აღდგენითი რემონტი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახლი მდებარეობს ისეთ რაიონში, რომელსაც უახლოესი ათი წლის განმავლობაში გეგმის მიხედვით არ ელის რეკონსტრუქცია¹⁵. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამის გამო სახლი, როგორც საკუთრების საგანი, უფასურდება, ხოლო ქალაქის (რაიონის) რეკონსტრუქციის გეგმა მუდმივ ცვალებადობას განიცდის, გასაგები გახდება, თუ რა შედეგი მოსდევს პირადი საკუთრების სახლების მფლობელობით სახლებად გადაქცევას. მაგრამ სამოქალაქო ბრუნვამ, მფლობელობის ფაქტივ ეკონომიური ღირებულების ხარისხამდე აიყვანა.

¹² Законодательные и ведомственные акты по с/хозяйству, 1957 г., т. I, стр. 794, 797.

¹³ სანოტარო პრაქტიკა ამ საკითხში წინათ მერყეობდა და საერთოდ არ ამოწმებდა უნებართვო სახლის გასხვისებას «Советская юстиция», 1963, № 4, გვ. 31.

¹⁴ М. Вершинин, Судьба жилого дома. «Известия», 1970 г., 1/IV, № 77.

¹⁵ საბინაო კანონმდებლობა, ქართულ ენაზე, 1965, გვ. 147.

ამჟამად სახლის ღირებულება განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა სიდიდის საცხოვრებელ ფართობს მიიღებს მრავალი სულისაგან შემდგარი მყიდველის ოჯახი ასაღები სახლის სამავიეროდ მომავალში, თუ მან დაძლია დაბრკოლება სახლის შექმნის აკრძალვის შესახებ რეკონსტრუქციის ზონაში. მაგრამ ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება ასაღები სახლში ბინის დამქირავებელიც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მისი ოჯახი მრავალი სულისაგან შედგება და მას მცირე ფართობი უჭირავს. კომუნალურ სახლში ბინის დამქირავებელი სარგებლობს ბინაზე მფლობელობითი სანივთო უფლებით. ეს უფლება არა ჰგავს უკვე ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ხასიათის მოთხოვნას.

კლასიკური სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით ბინის დამქირავებელს და იჯარადარს უფლება ჰქონდათ წარედგინათ მოთხოვნა მათთან შეთანხმებით შესულ დამქირავებლის უფლებისმონაცვლეთა წინააღმდეგ ყოველგვარი მოქმედების გამო, რომლის ვალდებულება ნაკისრი ჰქონდა დამქირავებელს მესაკუთრესთან დადებული ხელშეკრულებით. მაგრამ არც იჯარადარს და არც დამქირავებელს უფლება არ ჰქონდათ მოეთხოვათ უფლების დარღვევის აღიარება მესამე პირისაგან, თუ ის იჭრებოდა დამქირავებლის ან იჯარის მიმცემი პირის სფეროში იმ საფუძველით, რომ ის ხელს უშლის ან ზღუდავს დამქირავებელს. ეს მხოლოდ მესაკუთრის ნებაზე იყო დამოკიდებული.

კომუნალური სახლის დამქირავებელს უფლება აქვს მოითხოვოს ბინის გადაგემარება. მას უფლება აქვს დაიცვას მფლობელობა ყველა პირის ხელყოფისაგან, მათ შორის მესაკუთრის ხელყოფისაგანაც. დამქირავებლის ოჯახის წევრს შეუძლია მოითხოვოს მისი ხვედრი ფართობის გამოყოფა ბინაში ტექნიკური ცვლილებების შეტანის გზით გარკვეულ პირობებში (Бюллетень Верховного Суда СССР, 1970, № 2, стр. 25).

დამქირავებელს სანივთო უფლება აქვს განახორციელოს მფლობელობა განთვისყოფლებულ მომიჯნავე არაიზოლირებულ ოთახზე და გარკვეულ პირობებში იმავე ბინაში გათავისუფლებულ ოთახზე და ბოლოს მას შეუძლია გაცვალოს ბინა დამქირავებლის თანხმობის მიუღებლად. კომუნალურ ორგანოს უფლება არა აქვს მოითხოვოს ზედმეტი ფართობის ჩამორთმევა, თუ არა იზოლირებულ ოთახის სახით (ზედმეტი ფართობის ჩამორთმევა შეიძლება მესაკუთრისაგანაც). მას (კომუნალურ ორგანოს) უფლება არა აქვს მოითხოვოს დამქირავებლის უფრო მცირე ბინაში გადაყვანა. კაპიტალური რემონტის ჩატარების შემდეგ დამქირავებელს უნდა დაუბრუნდეს თავისი ბინა, თუნდაც იგი გადიდებულიყო სამზარეულოს ხარჯზე (Советская юстиция, 1961, стр. 22). დამქირავებელს უბრუნდება ბინა კაპიტალური რემონტის შემდეგ იმ შემთხვევაშიც, თუ საერთო საცხოვრებელი ფართობი, რომელიც მას ეჭირა, იზოლირებულ ოთახად გადაიქცა (Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1964, № 3, стр. 30). თუ რემონტის შემდეგ საცხოვრებელი ფართობი გადიდა მისი დანიშნულების შეუცვლელად, ეს გარემოება ვერ გავხდება ქირავნობის ხელშეკრულების მოშლის საფუძველი (Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1969, № 5, стр. 4). რემონტის შედეგად ბინის კეთილმოწყობა და საერთო ფართობის საცხოვრებელ ბინად გადაქცევა არ ცვლის ქირავნობის ობიექტს (Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1956, № 4, стр. 2). რემონტის შედეგად ბინის არამნიშვნელოვნად შემცირება არ იძლევა საფუძველს, რომ დამქირავებ-

ბელმა ახალი ბინა მოითხოვოს (Социалистическая законность, 1962, № 5, стр. 90). ბინის მფლობელობის აღნიშნული ნიშნების სქემატური ჩამოთვლიდანაც ჩანს, რომ ბინის ქირავნობა ჩვენში დამოუკიდებელ სანივთო უფლებას — მფლობელობას ანიჭებს დამქირავებელს და უძრავი ქონების საკუთრებისაგან მას განასხვავებს მხოლოდ განკარგვის ნიშნის უქონლობა¹⁶. მაგრამ, როგორც ზემოთ ვნახეთ, ეს ნიშანი უფრო ხშირად საკუთრების უფლებასაც არა აქვს. ფაქტიური მფლობელობით მიღებული სამემკვიდრეო სახლები მემკვიდრის საკუთრებას წარმოადგენს დღიდან სამკვიდროს დამტოვებლის გარდაცვალებისა (უკუქცევითი ძალით), მაგრამ მემკვიდრეობის მოწმობის მიღებამდე მემკვიდრეს არა აქვს სახლის გასხვისების უფლება. მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს ქონება საკუთრების ობიექტი არ იყოს მასზე ტიტულის გაფორმებამდე? ისტორიულადაც ხშირად მიწის მფლობელობა და სარგებლობა მეტს ნიშნავდა, ვიდრე მასზე საკუთრება. სამეურნეო თვალსაზრისითაც მნიშვნელობა აქვს სარგებლობის ოდენობას ფაქტიური მფლობელობისათვის, განურჩევლად იმისა, თუ ვინ ითვლება ნივთის მესაკუთრედ. ბინის მფლობელი შეიძლება არ იყოს ბინის მოსარგებლე. მაგ., ქირავნობის დროს, იმ შემთხვევაში, როდესაც საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრის დაცილებული მეუღლე, რომელსაც პაის შექმნაში მონაწილეობა არ მიუღია, განაგრძობს გაუყოფელ ბინაში ცხოვრებას, ჩვენ საქმე გვაქვს სარგებლობასთან მფლობელობის გარეშე (Бюллетень Верховного Суда РСФСР, 1970, № 5).

მოგირავნეს (მფლობელს), როგორც წესი, უფლება არა აქვს დაგირავებული ნივთით სარგებლობისა (რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 198 მუხლი, საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 196 მუხლი). საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრის გარდაცვალებული ოჯახის წევრი, რომელიც არ შედის მემკვიდრეთა წრეში, ინარჩუნებს დაკავებული საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის უფლებას ბინის გაცვლის და გამოყოფის უფლების გარეშე. სარგებლობა, ხშირად quasi საკუთრების ფუნქციას ასრულებს. მაგ., ეგრეთწოდებულ უფევმო სახლებში, რომლებიც აღებას არ ექვემდებარება, ფართობი იყოფა ოჯახის სულადობის მიხედვით. საკოლმეურნეო კომლის სახლის გაყოფაც კომლის წევრთა შორის ხდება გასაყოფ მხარეთა სულადობის გათვალისწინებით. სოციალისტური ორგანიზაციის მიერ სახლის წილის გასხვისების შემთხვევაში შესყიდვის უპირატესი უფლება აქვს ბინის დამქირავებელს და ამ უკანასკნელის საკუთრების წილი განისაზღვრება გასასხვისებელ სახლში იმ ფართობის ოდენობით, რომელიც მას უჭირავს (Сборник жилищного законодательства, 1963, стр. 98).

ბოლოს, ჩვენი სამოქალაქო სამართლის კოდექსი იცნობს სამუდამო სარგებლობას, როგორც დამოუკიდებელ ინსტიტუტს (საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 247 მუხლი). თავისთავად ცხადია, რომ სამუდამო სარგებლობა იგივე საკუთრება არის განკარგვის შეზღუდვით.

საუწყებო სახლის ბინის დამქირავებელი, გარდა იმ პირებისა, რომელთაც შრომითი ურთიერთობის გამო არა აქვთ მიღებული ბინები, სოციალისტური ორგანიზაციის სახლებში არ სარგებლობს ზემოაღნიშნული სანივთო უფლე-

¹⁶ ჩვენ ვუბრუნდებით „უძრავ“ და „მოძრავ“ ტერმინების ხმარებას. პირველყოფლისა სიმოკლისათვის და მეორე მხრივ ამ ტერმინების უგულებელყოფამ სამოქალაქო სამართლის თეორიას არაფერი შესძინა.

ბებით. საუწყებო სახლების ასეთი განსაკუთრებული რეჟიმი განპირობებულია შრომითი ურთიერთობის სტაბილობის შენარჩუნების მიზნით. საუწყებო საცხოვრებელი ფონდი შეადგენს საბჭოთა კავშირის საქალაქო განზოგადებული ფონდის 60 პროცენტს და ამ ფონდის განცალკევებულობის ლიკვიდაცია შემცირებს სახლებზე საექსპლოატაციო ხარჯებს 200 მილიონი მანეთით¹⁷. შემოსავლის მიხედვითაც კომუნალური საცხოვრებელი ფონდის შემოსავლიანობა, გაანგარიშებული ერთ კვ. მეტრზე, ერთი მეოთხედით აღემატება საუწყებო სახლის შესაბამისი ფართობიდან შემოსავალს¹⁸.

ამგვარად, ეკონომიური თვალსაზრისით ამ ფონდის და გამჭირავებლის დისკრეციული უფლებამოსილების არსებობას გამართლება არა აქვს.

ერთ-ერთი საფუძველი ამ ფონდის არსებობისა ადმინისტრაციულ არქაიზში უნდა ვეძიოთ, როდესაც მუშაკის იძულებითი მიმავრება წარმოებაზე დადებით საქმედ იყო მიჩნეული.

ამგვარად, საბჭოთა სამართლებრივ სინამდვილეში ქირავნობით მფლობელობამ და პირადი საკუთრების უფლებამ სახლზე გაუზიარეს ერთმანეთს თავისი ნიშნები: პირველი ამაღლდა საკუთრების ხარისხამდე და მეორე დაეშვა დამოუკიდებელ მფლობელობამდე.

რაკი ეს ტენდენცია უფრო გაღრმავდება, პარადოქსად არ უნდა იქნას მიჩნეული ისეთი ღონისძიების გატარება, როგორც არის დამჭირავებელ-მფლობელისათვის საცხოვრებელი ფართობის გასხვისების შესაძლებლობის მიცემა ოჯახის წევრთა თანხმობით და სხვა იურიდიული პირობების დაცვით. ასეთი შესაძლებლობა უნდა მიეცეთ განსაკუთრებით იმ დამჭირავებლებს, რომელთაც სურთ შორეული ჩრდილოეთის და ციმბირის რაიონებში გადასვლა. როგორც ამას წინათ მწერალი ლ. შინკარევი წერდა „იზვესტიაში“, ამ რაიონებში ხელფასის დანამატი არ უზრუნველყოფს გადასული მუშაკის საყოფაცხოვრებო პირობებს, მომსახურების და განსაკუთრებით ბინის უკმარისობა აქ მეტად საგრძნობია. ბევრი მათგანი ტოვებს ამ ადგილებს და ბრუნდება ძველ დასახლებების ადგილებზე¹⁹. მფლობელობის გასხვისების შესაძლებლობა გაზრდის სამოქალაქო ბრუნვას. თავისუფალი თანხები მიქცეული იქნება ინდივიდუალურ და კოლექტიურ ბინათმშენებლობაზე, შედარებით განიტვირთება ქალაქება და დაბები, სადაც ბინის მიცემის შეუსრულებელი ვალდებულებები დღითიდღე იზრდება — ამ ვალდებულებების გაზრდა სხვა მიზეზებთან ერთად იმითაც არის გამოწვეული, რომ დროთა განმავლობაში ბინის კეთილმოწყობის შინაარსი განიცდის ცვლილებას. 1954 წლამდე მოქმედი სამშენებლო ნორმისა და წესების მიხედვით, 1, 2, 3 კლიმატურ ზონაში ოთახების სიმაღლე უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 3,0 მეტრისა, მე-4 ზონაში — 3,3 მეტრისა, ხოლო ზოგიერთ ზონაში — არა ნაკლებ 3,5 მეტრისა (СНИП, ч. II, 1954, стр. 227). 1964 წელს ყველა ზონებისათვის ოთახის სიმაღლე განისაზღვრა 2,5 მეტრით²⁰.

¹⁷ В. Колотилкина. Вопросы жилищного строительства. «Жилищное строительство», 1969 г., № 8, стр. 7.

¹⁸ Ф. А. Шевелев. Наука служит народу. «Жилищное и кооперативное хозяйство», 1970 г., № 10, стр. 6—8.

¹⁹ Л. Шинкарев. Сибирская надбавка. «Известия», 19 мая, 1971 г., № 116.

²⁰ ფორმალურად ეს ნორმა არ გაუქმებულა, მაგრამ დიდბანელებიანი სახლებისათვის საქარხნო წესით უშვებენ 2,7 მ. სიმაღლის კედლებს (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული, 1966, № 2, მ. 38).

ამჟამად ბინებში ჩასახლების ნორმების მიხედვით 3-ოთახიანი ბინა 36—38 მ² ფართობით განსაზღვრულია 4 სულისათვის, სულზე 9,5 კვ. მ. ნორმის მიხედვით, შემდეგ ეტაპზე ასეთი ბინა მიეცემა 3 სულისაგან შემდგარ ოჯახს 12,125 მ² კვალობაზე, პერსპექტივაში კი ორ სულს 18—19 კვ. მ.²¹

თავისთავად ცხადია, რომ ბინის კეთილმოწყობაზე წარმოდგენის ცვალებადობასთან ერთად პერმანენტულად იქნება ბინის შეფარდებითი უკმარისობა. მაგრამ მთავარი ხარვეზი ამ სფეროში მაინც მშენებლობის გაჭინურებაა. საქართველოს სსრ-ში სახლის მშენებლობა საშუალოდ 5—6 წლამდე ჭიანჭურდება²². საბჭოთა კავშირისათვის საშუალოდ ეს დრო უფრო ნაკლებია იმ გიგანტური და გამალებული მშენებლობის გამო, რომელიც მოსკოვზე მოდის.

დიდხანელიანი კედლით, 2 სართულიანი 3 ათას კვ. მ. მოცულობის სახლის მშენებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს, 8 სართულიანი 20—25 ათასი კვ. მ. მოცულობის სახლისა — 9-10 თვეს და ასე შემდეგ. იურიდიულ პრაქტიკაში ჯერ არ დამდგარა საკითხი, რომ ამ ვადების დარღვევისათვის, გარკვეული პირობების არსებობისას, ზარალის ანაზღაურება დაეკისროს დაზარალებულ მოქალაქეთა სასარგებლოდ, გარკვეულ იურიდიულ პირებს.

2. უ ფ ლ ე ბ ი ს ს უ ბ ი ე ქ ტ ი. წარმოდგენა სახელმწიფო ორგანიზაციაზე, როგორც ფუნქციითა ერთიანობაზე, რაც ცნობიერებაში რეფრაქციის საშუალებით ობიექტური იურიდიული პირის სახით გვევლინება, ყოველდღიურ დადასტურებას პოულობს. სამოქალაქო სამართლის სუბიექტის ანუ სუბიექტური პირის მნიშვნელობით იგი იშვიათად მონაწილეობს ბრუნვაში და ამ სახით იგი გვევლინება მაშინ, როდესაც ფუნქციის უბრალო ამსრულებლობიდან, იმანენტური გეგმიანობის ნიადაგზე, ახდენს მოქმედების არჩევას კომპეტენციის ფარგლებში.

ტექნიკურ საშუალებათა გამოძებნა ან შერჩევა ფუნქციითა შესრულების საქმეში არ ანიჭებს ობიექტურ პირს სუბიექტური პირის თვისებას, თუ ეს მისი იურიდიული კომპეტენციის თავისუფალ არჩევანს არ წარმოადგენს; ჩვეულებრივად ტექნიკურ საშუალებათა უკეთ გამოყენება შედის ასეთი ობიექტურად მოქმედი მექანიზმის ფუნქციათა ნუსხაში.

ცნობილია, რომ *servisa*-აც შეეძლო გაეუმჯობესებინა შრომის პროცესი, მაგრამ ასეთი თვითმოქმედება არ ხდიდა მას სამართლის სუბიექტად.

ქონებრივი განკერძოებულობა, როგორც იურიდიული პირის არსებობის გამაპირობებელი თვისება, პირობითი გამოდგა. ვერც ეკონომიური და ვერც იურიდიული თვალსაზრისით ამჟამად ეს თვისება ვერ ასაბუთებს იურიდიული პირის თეორიას. ამ საკითხზე დამატებით გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი ფაქტები: სახელმწიფო იურიდიული პირისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისაგან მოვალე შეიძლება გათავისუფლებულ იქნას შეწყალების წესით (Бюллетень Верховного Суда СССР, 1968, № 2, стр. 35).

სამომხმარებლო კოოპერაციის საოლქო კავშირს თურმე უფლება არა ჰქონია ჩამოაწეროს თავის თანამშრომელს საქონლის გაფუჭებისაგან მიყენებული ზარალი 882 მან. 31 კაპ. მხოლოდ იმის გამო, რომ ამ თანხის გადახდევინების შესახებ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება (Социалисти-

²¹ **Б. Рубаненко, Е. Федоров.** Важный этап решения жилищной проблемы. «Жилищное строительство», 1971 г., № 3, стр. 4.

²² **ო. ციციშვილი,** საბინაო მშენებლობის განვითარების საკითხები საბჭოთა საქართველოში. საქართველოს სახალხო მეურნეობა, 1971, № 3, გვ. 8, 12.

ческая законность, 1970, № 9, стр. 89). როგორც ცნობილია, კრედიტორს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ აღმასრულებელი ფურცლის სისრულეში მოყვანაზე, მაგრამ ამ დებულებას არ ავრცელებენ იურიდიულ პირზე.

დასაშვებია საბინაო სამშენებლო კოოპერატივის წევრების პასუხისმგებლობა კოოპერატივის დავალიანებისათვის. ამ დროს მათზე არ ვრცელდება სამოქალაქო სამართლის კოდექსის 36 მუხლი (საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1971 წ. № 1 ბიულეტენი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმე № 03—43—71).

ზემო აღნიშნული მაგალითები უარყოფენ იურიდიულ პირს, როგორც სუბიექტურ პიროვნებას.

იურიდიული პირის უფრო საიმედო განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს მისთვის დადგენილი სტაბილური ხელფასის ფონდი და ხელფასის დანახარჯების ნორმატივები რეალიზებული პროდუქციის მიმართ, როგორც ეს დამუშავებულია მუშაკთა დაინტერესების, შრომის ნაყოფიერების გაზრდისა და შრომაში დაკავებული პერსონალის რიცხვის შემცირების ღონისძიებათა განზორციელების პირობებში (Бюллетень Госкомитета труда, 1971, № 3). ამ პირობების მიხედვით სატარიფო განაკვეთის 30 პროცენტამდე ხელფასის ეკონომიიდან, დანამატის სახით, ეძლევათ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, მოსამსახურეებს, რომელთაც შეითავსეს პროფესიები (თანამდებობები), გააფართოეს მომსახურეობის ზონა, ან მუშაკთა რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით გაზარდეს შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა; ხოლო ხელფასის 30 პროცენტამდე დანამატი ეძლევათ საამქროს უფროსებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ოსტატებს და სხვა მუშაკებს, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ საამქროებში და ორგანიზაციულ ტექნიკურ ღონისძიებათა გატარების საფუძველზე უზრუნველყვენ შრომის ნაყოფიერების გაზრდა და მუშაკთა შემცირება.

წარმოებაში მომუშავე მუშაკებისათვის უპირატესობის მიცემა, სხვა მუშაკებთან შედარებით, მოძველებული შეხედულების რეციდივია.

დიდ სირთულეს წარმოადგენს იმ საკითხის ვარკვევა, ეკონომიის მომცემი ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი ზემდგომი ორგანოების ინიციატივით არის განხორციელებული თუ თვით საწარმოში მომწიფდა. პირველ შემთხვევაში საწარმოს პრემია ეკონომიიდან არ ეძლევა.

ამ სისტემის დროს ყველაფერი გათვალისწინებულია წინასწარ: რეალიზებული პროდუქციის ოდენობა და გაზრდა, შრომის ნაყოფიერების ზრდა, წახალისების ფონდის ოდენობა, საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის თანაფარდობა და სხვ. (Бюллетень Госкомитета труда, 1971, № 1, стр. 4). გაურკვეველი რჩება მხოლოდ ერთი რამ: ასეთი პროგრამირებული სტიმულირება დაინტერესების იმპულსის გამოწვევის შედეგად წარმოიშობა მუშაკში თუ იმის გამო, რომ ეს პროგრამა ჩვეულებრივ საგეგმო დავალეზად (ფუნქციად) გადაიქცევა და, მამსახადამე, სავალდებულო ხდება მუშაკისათვის, როგორც სხვა შემთხვევაში.

განსაკუთრებულ სირთულეს კიდევ ის წარმოადგენს, რომ არ არის დადგენილი მარტივი მასშტაბი პრემიის გამოსაანგარიშებლად საწარმოში და მისი მოთხოვნისათვის სასარჩელო წესით.

საწარმოს სამეურნეო ანგარიშვანობის სფეროში ჩარევისათვის გაერთიანე-

ბას (ზემდგომ ორგანოს) ორი უძლიერესი ბერკეტი რჩება: ა) წლიური ანგარიშის საფუძველზე ჩამოართვას საწარმოს ნორმატივზე ზევით არსებული საბრუნავი სახსრები, შეუცვალოს საწარმოს საბრუნავი სახსრების ნორმატივი საწარმოო გეგმასთან დაკავშირებით; ბ) გადაანაწილოს საწარმოთა შორის მოგება და საამორტიზაციო ანარიცხები განკუთვნილი ძირითადი ფონდების აღდგენისათვის (СПП РСФСР, 1971, № 8, ст. 53). პრაქტიკოსებმა იციან, თუ ფაქტიურად რას ნიშნავს ან რას იწვევს ასეთი უფლებამოსილება.

„სამწუხაროდ, აღნიშნავს აკადემიკოსი ა. რუმიანცევი, — ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული ისეთი ქმედითი ეკონომიური მექანიზმი, რომელიც სახელმწიფო გეგმის ბაზაზე და მის შესაბამისად გამოიწვევს საწარმოების ეკონომიურ დაინტერესებას, იმდაგვარად, რომ საწარმოები ეკონომიურად თვითონ იქნებიან იძულებული დანერგონ ახალი ტექნიკა“²³.

საწარმოს ეკონომიური დაინტერესების გაღრმავების საქმეში არ დაუკარგავს მნიშვნელობა შეხედულებას პროდუქციის მოძრაობის იურიდიულ ფორმების ნაწილობრივ ცვალებადობაზე გადასვლის შესახებ²⁴. ზეგვემითი პროდუქცია გასაღებულ უნდა იქნას არა მიწოდების ხელშეკრულებებით, არამედ სოციალისტურ ორგანიზაციათა შორის დადებული ყიდვა-გაყიდვის გარიგებების საფუძველზე, შეთანხმებით მიღწეული ფასების კვალობაზე²⁵. ყოველგვარი ეჭვის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წესრიგი თვითრეგულირების პროცესის შედეგად, მართალია მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, სხვადასხვა ზომით, მაგრამ რეალურად და მუშაკებისათვის ხელშესახებად, დამგვემავი ორგანოების და თანამდებობის პირების შეუწუხებლად შექმნის სტიმულირების დამოუკიდებელ ფონდს და მისი განაწილების საშუალებასაც გამოიხატავს.

საფიქრებელი იყო, რომ სოფლის მეურნეობის ორგანიზაციებისათვის საწარმოებისა და რეწვის უფლების გაფართოების შემდეგ გაიზრდებოდა წვრილი საწარმოების რიცხვი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასამუშავებლად, სამშენებლო მასალის დასამზადებლად და სხვა ნაკეთობათა საწარმოებლად; უფრო მეტი მასშტაბით განვითარდებოდა პროფესიული რეწვის სახეობანი, რაც საერთოდ დადებითად იმოქმედებდა მოქალაქეთა უფლებაუნარიანობის გაშლაზე სახალხო მეურნეობის და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროში.

კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების სამრეწველო სამქროებმა 1970 წელს შექმნეს 7,4 მილიარდის პროდუქცია, გამოიმუშავეს 250 მილიონი კაცდღე და ხსვ.²⁶

მიღწევები უფრო საგრძნობი იქნებოდა, რომ ამ დამხმარე საწარმოების არსებობისათვის გამოიხატულიყო სათანადო იურიდიული ფორმა პასუხისმგებლობისა და თვითმოქმედების გასამიჯნავად იმ ორგანიზაციებისაგან, რომლებთანაც ისინი არსებობენ, როგორც ნაწილები და დარგები, თუნდაც დამოუკიდებელ

²³ Акад. А. Румянцев. Вопросы научно-технического прогресса. Вопросы экономики, 1971 г., № 1, стр. 11.

²⁴ იხ. ჩვენი სტატია, საბჭოთა სამართალი, 1965, № 1, გვ. 48.

²⁵ უკვე განასხვავებენ ზეგვემითი საქონლის მიწოდების ზოგიერთ პირობას, მაგალითად, კონტრაქტაციის ვალდებულებით ნაკისრი ზეგვემითი საქონლის ჩაუბარებლობისათვის არ შეიძლება ჯარიმის დაკისრება ჩამბარებელზე («Социалистическая законность», 1970, № 6, стр. 9).

²⁶ П. Ивашов. Подсобные отрасли сельского хозяйства. «Известия», 1971 г., № 241.

ბალანსზე. უკანასკნელი არ არის საკმარისი სამეურნეო უფლებაუნარიანობის უზრუნველსაყოფად. არაფრით არ არის დადგენილი, რომ სოფლის მეურნეობის ორგანიზაციების სამრეწველო საამქროების მუშაობის ეფექტურობა დამოკიდებული არ იყოს მთლიანად ორგანიზაციისაგან და მათ შორის სახსრების პირობით განსხვავებულობაზე.

იმანენტური დაგეგმვის საფუძვლით მოქმედი იურიდიული გაერთიანებების საერთოდ მოსპობამ, სხვადასხვა სახის ამხანაგობების და საწარმოო და ინვალიდთა კოოპერაციის არტელების სახით, გამოიწვია კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან ასეთი ორგანიზაციების შექმნის შეუძლებლობა. სამოქალაქო სამართლიდან ამოგდეს ტერმინი ამხანაგობა და შესაბამისი იურიდიული ურთიერთობა. ეს თვითმოქმედების და სოლიდარობის მაჩვენებელი ინსტიტუტი საეჭვოდ იქნა მიჩნეული. ამხანაგობის მაგიერ შემოტანილ იქნა ტერმინი საერთო საქმიანობა, რომელიც სრულიად მარტივ დამოკიდებულებას, უმთავრესად კი ოჯახურ საქმიანობას გამოხატავს, ორსაწოლიანი ლოგინისა და სხვა ამგვარი საგნების შექმნის მისწრაფებით ამოიწურება. თავისთავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობის თვითმოქმედი რეწვა არ განვითარდებოდა.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ბათილობის საჩქეცის გამოუყენებლობის ღირსად ცნო კოლმეურნეობის მიერ დადებული გარიგება, რომელიც მის მიზანს არ შეესაბამებოდა და მიმართულია კოლმეურნეობის წარმოების საზიანოდ (Бюллетень Верховного Суда СССР, 1970, № 6). მართალია, სათანადო ძირითად ნორმატიულ აქტში, რომლითაც პლენუმი ხელმძღვანელობდა (1966 წ. 14 აპრილი), კოლმეურნეობის წარმოებისათვის ზარალის მიუყენებლობა ერთ-ერთი პირობაა დამხმარე წარმოების არსებობისათვის, მაგრამ ეს პირობა ეხება კოლმეურნეობის მუშაობას მთლიანად ამ სფეროში და არა მის ცალკეულ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება აღმოჩნდეს საზარალო ცალკეულ შემთხვევებში, როგორც ეს ხდება ყოველ სამეურნეო საქმიანობაში. პროკურატურის ორგანოებიც თავის მხრივ ხშირად არ ეთანხმებიან კოლმეურნეობების საერთო კრების დადგენილებებს ზარალის ჩამოწერის საკითხში და თვით წარადგენენ სარჩელებს მოვალეების მიმართ მაშინაც კი, როდესაც სარჩელი სისხლის სამართლის დანაშაულიდან არ გამოდინარეობს. ასეთი პრაქტიკა იწვევს მეურნეობის საქმეების ხშირ გასინჯვას და მათზე წვრილ მეურვეობას, რაც ახშობს მათს თვითმოქმედებას.

პატარა და საშუალო საწარმოები ახლაც ეფექტურად მუშაობენ სახელმწიფო მეურნეობაში²⁷.

შეერთებულ შტატებში მმართველობის პერსონალისათვის კურსის ავტორები ამ საკითხის შესახებ შემდეგს წერენ: „წვრილი სერიული წარმოება თანდათან ავტომატიზებული გახდება,—ავტომატები, მანქანები პროგრამირებული პერფორაციებისა და ლენტების საშუალებით უფრო მეტად იქნება გამოყენებული მომავალ წლებში წვრილ საწარმოებში.

ერთპიროვნული ავტომატიზებული საწარმო, შეკვეთის სისტემაზე გადა-

²⁷ ა. ვაბისონია, სამრეწველო საწარმოს ეკონომიის ზოგიერთი საკითხი სამეურნეო რეფორმის პირობებში, თბილისი, 1970, გვ. 48.

სულო, შეიძლება გახდეს ჩვენი სამრეწველო მომავლის მნიშვნელოვანი ფაქტორი²⁸.

მაგალითად, საქართველოს სსრ-ში შრომითი რესურსების ბალანსი აქტიურია²⁹ და არსებობს ყველა პირობა წვრილი კოოპერირებული და არაკოოპერირებული წარმოებისა და რეწვის განვითარებისათვის სათანადო ხელსაყრელი იურიდიული პირობების არსებობის პირობებში. და, ბოლოს პროცესუალური უფლებათუნარიანობის ერთ შემზღვეველ გარემოებაზედაც უნდა მივუთითოთ. გამოითქვა აზრი, რომ სამოქალაქო საქმეთა შემცირება, კერძოდ შრომის საქმეების, მაჩვენებელია კანონიერების განმტკიცებისა³⁰.

ასეთ შეხედულებას საფუძვლად უდევს წარმოდგენა, რომლის მიხედვით სამოქალაქო საქმეების დიდი უმრავლესობა წარმოიშობა ბრალეული მოქმედების შედეგად, რომლებიც მხოლოდ საშიშროების ხარისხით განსხვავდებიან დანაშაულისაგან. რაც ნაკლებია სამოქალაქო დავა, თითქოს მით უფრო სწორად არის დაყენებული კანონიერების შესრულების საქმე.

ასეთ ფსიქოლოგიაზე აღზრდილი მოსამართლეები ხელოვნურად ამცირებენ სამოქალაქო საქმეების რიცხვს მხარისათვის, საამხანაგო სასამართლოსათვის ან ადმინისტრაციულ ორგანოსათვის მიმართვის რჩევის მიცემის გზით.

ასეთი წარმოდგენა ხელს უწყობს იმას, რომ მხარეს და მის წარმომადგენელს არასათანადო ღირსებით ეპყრობიან საქმის განხილვისას. მხარეები საშიშროების წინაშე დგანან, პროცესში მათი მონაწილეობა შეიძლება დამთავრდეს ორივე მხარის საწინააღმდეგოდ და მათი რეპუტაციის გაფუჭებითაც მათ მიმართ კერძო განჩინების გამოტანის შედეგად.

იურიდიულ ჟურნალებში სერიოზულად და გულმოდგინედ განიხილავენ საკითხს, თუ როგორი საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები უნდა იქნას მიღებული დავაში მონაწილე „ამორალური“, „ანტისაზოგადოებრივი“ და სხვა უპირობებო დაჯილდოებული პირების მიმართ, რომელთაც ასეთად აღიარებენ.

სამოქალაქო საქმეებს საჩვენებელი პროცესის სახით ხშირად განიხილავენ ისეთ საწარმოში, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს განსახილველ საქმეებთან, განურჩეველ და თითქმის მთვლემარე საზოგადოების წინაშე, სადაც მოსამართლის მორალურ დიდაქტიკურ სენტენციებს უმთავრესი ადგილი უჭირავს. ზემდგომი სათანადო სასამართლოები, ხშირად რამდენიმე წლის შემდეგ, იძულებულნი არიან გადასინჯონ გადაწყვეტილებები დახურულ კარებში, ეგრეთწოდებულ პრეზიდენტის სხდომაზე.

რასაკვირველია, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ სამოქალაქო სამართლებრივი დავა მეტწილად ბრალეული მოქმედებით არ იყოს გამოწვეული. უკვე რომის სამოქალაქო სამართალი ფაქიზად განასხვავებდა ბრალეული მოქმედების სახეებს და ხარისხს, მაგრამ ბრალის ცნება გაგებული იყო სამოქალაქო ურთიერთობისადმი შეფარდებით.

ამ სტატიაში ჩვენ ვერ განვიხილავთ ბრალის საკითხს რამდენადმე მაინც სრულად, მაგრამ უნდა ითქვას შემდეგ: სამოქალაქო სამართლის პასუხისმგებ-

²⁸ Курс для высшего Управленческого персонала, под ред. В. И. Терещенко, 1971 г., стр. 424.

²⁹ ირ. მიქელაძე, დარგობრივი და ტერიტორიული დავეგმვის სრულყოფისათვის, საქართველოს სახალხო მეურნეობა, თბილისი, 1968, გვ. 25.

³⁰ В. Паниюгин. Рассмотрению гражданских дел больше внимания, «Социалистическая законность», 1971 г., № 12, стр. 10.

ლობისათვის სრულიად არ არის საჭირო ბრალის ფსიქოლოგიური თვისებების, ბრალეული მოქმედების მოტივების და სოციალური საშიშროების დადგენა, სამოქალაქო სამართალში კანონით დადგენილი პასუხისმგებლობის საბაზი ბრალად არის მიჩნეული. ასეთი საბაზი შეიძლება მართლაც სისხლის სამართლის დანაშაულსაც წარმომადგენდეს, მაგრამ ამით მოქმედება სამოქალაქო პასუხისმგებლობას თუმცა გამოიწვევს, მაგრამ ვერ გაზრდის და ვერც შეამცირებს მას და ამდენად ეს საბაზი არ განსხვავდება პასუხისმგებლობის გამომწვევი სხვა პირობებისაგან.

ორტოდოქსალური მოსაზრება, რომლის მიხედვით სამოქალაქო დავები „სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების“ ბრალეული დარღვევის, ან სხვაგვარი დანაშაულის შედეგია, ფაქტიურად მოქალაქეთა სუბიექტური უფლებების დაცვის საქმეს უგულებელყოფს, სამართლის მძიებელ მოქალაქეებს სურვილს უკარგავს მიმართონ სასამართლოებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 8 და 89 მუხლების გამოყენებას.

სუბიექტური უფლება შეიძლება არ იყოს გათვალისწინებული კანონით, მაგრამ გამომდინარეობდეს სამართლის აზრიდან. ასეთი უფლების განხორციელების მოთხოვნა სასარჩლო წესით არ არის დაფუძნებული საერთო ცხოვრების წესების დარღვევაზე. ასეთი საქმეები ამდირებენ საზოგადოებრივ ცხოვრებას.

რაც შეეხება შრომის საქმეების შემცირებას, ნაწილობრივ ეს გამოწვეული უნდა იყოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ცნობილი მითითებით, რომლის მიხედვით ადმინისტრაციას ხელმეორედ შეუძლია დააყენოს საკითხი მუშაკის დათხოვნის შესახებ პროფესიული კავშირის პირველად ორგანოში, რომლის ნებადაურთველადაც გათავისუფლებული მუშაკი აღდგენილი იყო სასამართლოს მიერ. უკვე დადგენილად უნდა იქნას აღიარებული ის გარემოება, რომ უფლებამოსილი მოქალაქენი იძულებული არიან თავი შეიკავონ სასამართლოსათვის მიმართვისაგან.

შრომის საქმეების შემცირებას ხელს უწყობს აგრეთვე მუშაკების შემცირების შესაძლებლობა საწარმო-ტექნიკური და ორგანიზაციული გაუმჯობესების შედეგად. ასეთი აქციების კონტროლი სასამართლოს არ შეუძლია. შრომის კანონმდებლობის განმტკიცების მაჩვენებელი იქნება არა მუშაკების მიერ აღძრულ საქმეთა რაოდენობის შემცირება, არამედ ის, როდესაც გახშირდება ადმინისტრაციის საჩივრები შრომის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უარყოფაზე.

ჩვენი აზრით, ზოგიერთი კატეგორიის საქმეთა გამოკლებით, სამოქალაქო სამართლის საქმეთა სიმრავლე მაჩვენებელი იქნება ბრუნვის ტევადობის გაფართოებისა, საზოგადოების თვითმოქმედების გაშლისა და სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისა.

მხარეთა პასუხისმგებლობა საავტომობილო გადაზიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის

რ. ცინცაძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სახელშეკრულებო ურთიერთობათა მიზანია სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება, მოქალაქეთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ხელშეკრულების დარღვევა ეწინააღმდეგება მთელი სოციალისტური საზოგადოების ინტერესებს.

ვალდებულების დამრღვევის მიმართ სამოქალაქო სამართლებრივი სანქციების გამოყენება გამოიხატება კრედიტორისათვის მიყენებული ზარალის კომპენსაციაში და ვალდებულების რეალური შესრულებისათვის სტიმულის მიცემაში. რასაც დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობაც აქვს. ეს განსაკუთრებით საგრძნობი გახდა მრეწველობის მართვის ახალ სისტემაზე გადასვლის შემდეგ. ამჟამად სოციალისტური ორგანიზაციის მიერ გადახდილი ჯარიმისა და საურავის ყოველი მანეთი გავლენას ახდენს წამახალისებელი ფონდის ოდენობაზე, წარმოების გაფართოებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის შესაძლებლობებზე¹.

სამოქალაქო კანონმდებლობით ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის (ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის) მოვალემ კრედიტორს უნდა აუნაზღაუროს მიყენებული ზარალი. ზარალში იგულისხმება კრედიტორის მიერ გაწეული ხარჯები, მისი ქონების დაკარგვა ან გაფუჭება და აგრეთვე შემოსავალი, რომელსაც მიიღებდა, თუ კი მოვალე ვალდებულებას შეასრულებდა.²

ამ წესისაგან განსხვავებით ავტოგადაზიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების დროს ვალდებულ მხარეს შეზღუდული პასუხისმგებლობა ეკისრება. ეს გარკვევით ჩანს ავტოსატრანსპორტო ურთიერთობების მომწესრიგებელი სპეციალური აქტიდან.³ ასე მაგალითად, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია პასუხს აგებს: ა) ტვირთის დაზიანების ან გაფუ-

¹ იხ. Постановление ЦК КПСС и Совета Министров СССР от 4 октября 1965 г. О совершенствовании планирования и усиления экономического стимулирования промышленного производства; აგრეთვე: Повысить роль правовой науки в совершенствовании хозяйственного руководства, «Советское государство и право», 1965, № 12, с. 9.

² იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხლი 212; რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხლი 219 და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები.

³ იხ. Положение о взаимной материальной ответственности автотранспортных организаций и клиентуры за выполнение плана перевозок и сохранность перевозимых грузов, п. 22.

ჭების შემთხვევაში — იმ თანხით, რომლითაც შემციირდება მისი ღირებულება: ბ) იმ ტვირთის დაკარგვის ან დანაკლისის შემთხვევაში, რომელიც გადასაზიდად ჩაბარებულია ფასების გამოცხადებით — ამ ფასის ფარგლებში და ა. შ.

საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზღაურების საკითხის განხილვისას არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ვადის გადაცილების ან ვალდებულების სხვაგვარი არაჯეროვანი შესრულებისათვის დაწესებული პირგასამტეხელოს (ჯარიმის, საურავის) გადახდა და არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულების ნატურით შესრულებისაგან. გამონაკლისს შეადგენს ის შემთხვევები, როდესაც საგემო დავალებამ, რომელსაც ემყარება სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის დადებული ხელშეკრულება, ძალა დაკარგა.⁴

საავტომობილო გადაზიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულებისათვის პასუხისმგებლობა დგება:

- ა) გადაზიდვის გემის შეუსრულებლობისათვის;
- ბ) ვადის გადაცილებისა და გადაზიდვის საშუალებათა არარაციონალური გამოყენებისათვის;
- გ) ტვირთის დაკარგვის, დაზიანებისა და გაფუჭებისათვის.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

საგემო ვალდებულების შეუსრულებლობა არის ავტოგადაზიდვის ხელშეკრულების ყველაზე უფრო სერიოზული დარღვევა, რაც გაპირობებულია ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში სახალხო-სამეურნეო გემის უალრესად დიდი მნიშვნელობით.

საგემო დავალების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით როცა ხდება, მის მიმართ ქონებრივი სანქციები გამოიყენება და ეს დავას არ იწვევს. მაგრამ საგემო ვალდებულების შეუსრულებლობა, სხვებთან ერთად, შესაძლოა გამოიწვიოს ისეთმა გარემოებამაც, რომელსაც კანონის მნიშვნელობა აქვს (მაგალითად, მიწოდების ან გადაზიდვის გემების მოცულობის შემცირება, კონვენციური აკრძალვა და ა. შ.). ამ დროს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობის დაკისრება გაუმართლებელია.

ეს საკითხი ყველა მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობაში ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი.

რუსურ-ის და ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის წესდების შესაბამისად, განსაზღვრულ გზებზე ტვირთის გადაზიდვის დროებითი შეწყვეტა ან შეზღუდვა არის ერთ-ერთი საფუძველი, რომლითაც მხარეები თავისუფლდებიან საგემო დავალების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. სხვა მოკავშირე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდება ტვირთის გამგზავნისა და ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციის პასუხისმგებლობისაგან მხოლოდ ორ შემთხვევაში ათავისუფლებს. კერძოდ, თუ შეუსრულებლობა გამოწვეულია: ა) სტიქიური ხასიათის მოვლენით (ნამქერით, წყალდიდობით, ხანძრით და მისთ.) და ბ) საწარმოში მომხდარი ავარიით, რის შედეგადაც საწარმოს მუშაობა შეწყვეტილი იყო არანაკლებ სამი დღე-ღამისა.⁵

⁴ იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მუხლი 216.

⁵ იხ. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდება, მუხლი 128.

ამ ნაწილში საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებას აქვს ხარვეზი. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 371 მუხლის მიხედვით ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია და გამგზავნი პასუხს არ აგებს გადაზიდვის გეგმის შეუსრულებლობისათვის მაშინაც, თუ იგი გამოწვეულია „განსაზღვრულ გზებზე ტვირთის გადაზიდვის დროებითი შეწყვეტით ან შეზღუდვით, რაც ხდება საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდებაში გათვალისწინებული წესით“. წესდებამ კი ეს პუნქტი არ გაითვალისწინა.

გარდა ამისა, ამ საკითხის არაერთგვაროვანი გადაწყვეტა მოკავშირე რესპუბლიკებში (განსაკუთრებით სარესპუბლიკათაშორისო და საერთაშორისო გადაზიდვის ზრდასთან დაკავშირებით) გაართულებს ავტოგადაზიდვის სამართლებრივ მოწესრიგებას.

ავტოგადაზიდვის ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობა გადაზიდვის გეგმის დარღვევისათვის დგება თვიური (დეკალური) გეგმის შეუსრულებლობისას.

ავტოსატრანსპორტო საწარმო ან ორგანიზაცია ტვირთის იმ რაოდენობით გადაზიდვებლობისათვის, რომელიც გათვალისწინებულია დეკალური საგეგმო-დავლებით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი შეკვეთით, ტვირთის გამგზავნს (ტვირთის მიმღებს) ჯარიმას უხდის გადაუზიდავი ტვირთის 30 პროცენტის ოდენობით.

ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება ტვირთის გამგზავნს (ტვირთის მიმღებს) დეკალური საგეგმო დავლებით ან შესასრულებლად მიღებული ერთჯერადი შეკვეთით გათვალისწინებული ტვირთის რაოდენობის გადასაზიდავ წარუდგენლობისათვის.⁶

რაც შეეხება რკინიგზის სადგურებში, პორტებში (ნავმისადგომებში) და აეროპორტებში ტვირთის ცენტრალიზებულ შეზიდვას (გამოზიდვას), აქ ავტოსატრანსპორტო საწარმოებს და ორგანიზაციებს, რკინიგზებს, პორტებს (ნავმისადგომებს) და აეროპორტებს მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრებათ შეთანხმებული დღელამური მოცულობების შეუსრულებლობისათვის.

თუ გასული თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ავტომანქანების უტვირთო (ძარაცარიელ) გარბენას გამგზავნის მიერ ტვირთის მიუწოდებლობის მიზეზით, ამან სათანადო ასახვა უნდა პოვოს საგზაო ფურცელში ან ცალკე აქტში. ამასთან მხარეებს უფლება არა აქვთ უარი თქვან აქტის ხელმოწერაზე. თუ არ ეთანხმებიან აქტის შინაარსს, უნდა გააკეთონ სათანადო აღნიშვნა მასზე.

სამოქალაქო სამართლის კოდექსების მიხედვით, გადამზიდველი მოვალეა მიიტანოს ტვირთი დანიშნულ ადგილას იმ ვადაში, რომელიც გათვალისწინებულია სატრანსპორტო წესდებებით (კოდექსებით) ან დადგენილი რიგის თანახმად გამოცემული წესებით. თუ მიტანის ვადა აღნიშნული წესებით დადგენილი არ არის, მხარეებს უფლება აქვთ ეს ვადა ხელშეკრულებით განსაზღვრონ.⁷

ამის შესაბამისად, ავტოგადაზიდვის ხელშეკრულების ის პუნქტები, რომლებიც გადაზიდვის ვადას შეეხება, მეტად მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით

⁶ იხ. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის წესდება, მუხლი 124.

⁷ იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 374 მუხლი; რსფსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 380 მუხლი და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის კოდექსების შესაბამისი მუხლები.

იზრდება საქალაქთაშორისო, საქალაქთაშორისო-ცენტრალიზებული და სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის დროს.

ავტოგადაზიდვის ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილება წარმოადგენს სამოქალაქო სამართალდარღვევის სახეს, რომელსაც სათანადო უარყოფითი შედეგები უნდა მოჰყვეს ბრალეული მხარისათვის.

სამწუხაროდ პრაქტიკაში ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების პირობების დარღვევის ფიქსირება ან სულ არ ხდება, ან ხდება დადგენილი წესების დარღვევით.

ამ მხრივ საინტერესოა დავა, რომელშიც მოსარჩელედ გამოდიოდა აჭარკოოპერატივის ბათუმის საწარმოო კომბინატი, ხოლო მოპასუხედ — ბათუმის № 2655 ავტოკოლონა.⁸

სასარჩელო განცხადებაში საწარმოო კომბინატი აღნიშნავდა, რომ 1968 წლის 31 მაისის № 1459 ანგარიშით ქ. ბათუმიდან ქ. კრამატორსკამდე საღებავების გადაზიდვასთან დაკავშირებული მომსახურებისა და ავტომანქანათა მოცდენისათვის სატრანსპორტო ორგანიზაციამ მას გადაახდევინა 3521 მანეთი და 61 კაპიკი. მთელ რიგ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში მანქანების მოცდენა ფიქსირებული არ იყო, რაც იმას ადასტურებს, რომ ავტომანქანების მოცდენას ადგილი არ ქონია. სასარჩელო განცხადებას თან ერთოდა სათანადო დამამტკიცებელი საბუთები. მოსარჩელე მოითხოვდა მისი ანგარიშიდან ზედმეტად ჩამოწერილი 855 მანეთისა და 28 კაპიკის დაბრუნებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა 1968 წლის 30 სექტემბერს გამოიტანა სავსებით სწორი გადაწყვეტილება, რომლითაც დააკმაყოფილა აჭარკოოპერატივის ბათუმის საწარმოო კომბინატის სარჩელი.

საინტერესოა მეორე დავაც. ამ დავაში მოსარჩელედ გამოდიოდა რუსთავის ცემენტის ქარხანა, ხოლო მოპასუხედ რუსთავის ავტოსატრანსპორტო კოლონა № 2.⁹

საქმის მასალებით გამოირკვა, რომ მოპასუხემ შეადგინა ცალმხრივი აქტები ცემენტის ქარხნის ბრალით ავტომანქანათა მოცდენის თაობაზე. ასკ-მ ტელეფონოგრაფები გაუგზავნა მოსარჩელეს, რომლებითაც იწვევდა მას აქტების შედგენაში მონაწილეობის მისაღებად. ცემენტის ქარხანამ წარმომადგენელი არ გაგზავნა. ამის შემდეგ მოპასუხემ ცემენტის ქარხნის საბანკო ანგარიშიდან ჩამოწერა 2726 მან. და 85 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა თავის 1968 წლის 2 ივლისის სხდომაზე გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ავტომანქანის მოცდენის თაობაზე, შედგენილი ცალმხრივი აქტები არ განიხილება როგორც ბრალეული მხარისათვის ჯარიმის გადახდევინების საფუძველი და სავსებით სწორად დააკისრა რუსთავის № 2 ასკ-ს სასარჩელო თანხის გადახდა ცემენტის ქარხნის სასარგებლოდ.

ასეთი შემთხვევები ერთეული როდია. ავტოსატრანსპორტო გადაზიდვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობასთან, კერძოდ კი ვადის გადა-

⁸ იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საქმე № 3/1305, 1968 წ.

⁹ იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საქმე № 6/156, 1968 წ.

ცილებასთან დაკავშირებული სანქციების გამოყენებისათვის აუცილებელია ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი დებულებების, წესდებებისა თუ ინსტრუქციების ცოდნა, მათი ზუსტად დაცვა.

საავტომობილო ტრანსპორტით წარმოებული გადაზიდვის დროს პასუხისმგებლობა მისი უვნებლობისათვის ჩვეულებრივ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციას ეკისრება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წარმოებს სპეციალური ტვირთის გადაზიდვა, რომელიც დაცვას ან თანხლებას მოითხოვს.

პასუხისმგებლობა გადასაზიდი ტვირთის უვნებლობისათვის ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციას ეკისრება ავტომობილზე მისი დატვირთვის მომენტიდან მიმდებისათვის ჩაბარებამდე ან სხვა სახის ტრანსპორტისათვის (სარკინიგზო, წყლის, საჰაერო) გადაცემამდე.

თუ ავტოსატრანსპორტო ორგანიზაცია, კლიენტთან შეთანხმებით, იკისრებს დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა შესრულებას, ის პასუხისმგებელია ტვირთის უვნებლობისათვის დატვირთვა-გადმოტვირთვის პროცესშიც.

როგორც არბიტრაჟის პრაქტიკა გვიჩვენებს, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციას პასუხისმგებლობა ეკისრება იმ ქმედობის გამო, რომელშიც მისი მუშაკია ბრალეული, მაგრამ რიგ შემთხვევებში ხელშეკრულების დამრღვევის მიმართ ქონებრივი სანქციების გამოყენება შეუძლებელი ხდება დაზარალებული მხარის ბრალით.

ავიღოთ „საქმე“¹⁰, რომელშიც მოსარჩელედ გამოდიოდა სამშენებლო ტრესტ № 5-ის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორა, მოპასუხედ — თბილისის ლითონბაზა, ხოლო თანამოპასუხედ ავტოკოლონა № 2652.

დავის არსი შემდეგში მდგომარეობდა: ქ. ნოვოსიბირსკიდან თბილისის ლითონბაზამ მიიღო მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორის კუთვნილი 2935 გრძივი მეტრი მილები. მოპასუხემ აღნიშნული ტვირთი, რკინიგზით გადააგზავნა დანიშნულების ადგილზე (ქ. ბათუმში) თანამოპასუხის ავტოტრანსპორტით.

მოსარჩელემ თავის განცხადებაში აღნიშნა, რომ მას დააკლდა 254,8 გრძივი მეტრი მილი, რომლის ღირებულებაა 275 მან. და 19 კაპ. და მოითხოვა მისი ანაზღაურება.

მოპასუხემ სარჩელი უარყო იმ მოტივით, რომ მან აღნიშნული მილები რკინიგზისაგან მიიღო გაუხსნელი შეკვრებით და ასეთივე მდგომარეობაში გადაუგზავნა ისინი მოსარჩელეს.

თანამოპასუხემ სარჩელი იმ მოტივით უარყო, რომ მან მოპასუხისაგან მილები წონით მიიღო და წონითვე, დანაკლისის გარეშე, ჩააბარა მოსარჩელეს.

საქმეზე დართული დოკუმენტების შემოწმებით გამოირკვა, რომ, ჯერ ერთი, მძღოლის მიერ ხელმოწერილ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში არ არის აღნიშნული ტვირთის დანაკლისი და, მეორეც, მხარეებს არ შეუდგენიათ სათანადო აქტი.

მოქმედი ნორმატიული აქტების შესაბამისად, ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციას ტვირთის დანაკლისით, გაფუჭებით ან დაზიანებით მიყენებული ზარალის ანაზღაურება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება დაეკისროს თუ კლიენტი (ამ შემთხვევაში მოსარჩელე) წარადგენს ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციის

¹⁰ იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საქმე № 1/8 1968 წ.

მიერ ტვირთის გადასაზიდად მიღების თაობაზე შედგენილ სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნაღებს და აქტს, რომლებიც დაადასტურებენ ტვირთის დანაკლისს, გაფუჭებას ან დაზიანებას; ისინი ხელმოწერილი უნდა იყოს როგორც ავტო-სატრანსპორტო ორგანიზაციის წარმომადგენლის (შოფერი, ექსპედიტორი და სხვა მუშაკები), ასევე ტვირთის გამგზავნის ან მიმღების წარმომადგენლის მიერ¹¹.

ამ მოთხოვნათა დაუცველობის გამო სამშენებლო ტრესტ № 5-ის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კანტორას სარჩელზე უარი ეთქვა.

არბიტრაჟის პრაქტიკაში ჯერ ყიდვე გვხვდება შემთხვევები, როდესაც სამეურნეო ორგანიზაციათა მესვეურები დაუშვებელ გულგრილობას იჩენენ ამ ორგანიზაციათა სახსრების განიავებისადმი.

ეს, მაგალითად, გამოჩნდა საქმე № 5/101-ში, სადაც მოსარჩელედ გამოდიოდა ქისტაურის ღვინის ქარხანა, ხოლო მოპასუხედ — ახმეტის ასკ.¹²

თავის სასარჩელო განცხადებაში ღვინის ქარხანა აღნიშნავდა, რომ ახმეტის ასკ-ის მძღოლ თ. არუთინოვს 1968 წლის იანვარში თბილისის № 4 ღვინის ქარხანაში ჩასაბარებლად წამოღებული ჰქონდა 189 დეკალიტრი ღვინო, რომლის სიმაგრეც 10,6 გრადუსს უდრიდა. № 4 ღვინის ქარხანას ღვინო მიღებული აქვს 10,4 გრადუსი სიმაგრით, ეს განსხვავება გრადუსებში ღვინოზე გადაყვანით შეადგენს 24,9 ლ.

იმავე თვეში მძღოლ თ. არუთინოვს უკვე თბილისის № 3 ღვინის ქარხანაში გადაზიდული აქვს 189 დეკალიტრი ღვინო, რომლის სიმაგრეც ქისტაურის ქარხნიდან მიღების დროს შეადგენდა 10,5 გრადუსს, ხოლო № 3 ღვინის ქარხანაში ჩაბარებისას 10,37 გრადუსს. სხვაობა 0,13 გრადუსი ღვინოზე გადაყვანით შეადგენს 23,4 ლ. სულ ორივე რეისში ღვინის გაზავების შედეგად მიღებულია დანაკლისი 48,3 ლიტრი, რომლის ღირებულებაც შეადგენს 52 მან. და 40 კაპ.

1968 წლის აპრილში იმავე მძღოლს მესამე რეისით ქისტაურის ღვინის ქარხნიდან თბილისის № 3 ღვინის ქარხანაში ჩასაბარებლად წამოღებული ჰქონდა 189 დეკალიტრი ღვინის მასალა 10,6 გრადუსი სიმაგრით, მაგრამ № 3 ღვინის ქარხანაში ჩაბარებისას აღნიშნული ღვინის მასალის სიმაგრე 9,57 გრადუსს არ აღემატებოდა, ე. ი. მისი სიმაგრე 1,03 გრადუსით შემცირდა.

ღვინის მასალის გრადუსიანობის ასეთი შემცირების შედეგად № 3 ღვინის ქარხანამ ის ჩაიბარა როგორც საკონიაკე სპირტის მასალა. საკონიაკე სპირტის მასალის ღირებულება ნაკლებია ღვინის მასალის ღირებულებაზე. სახელდობრ, თუ ღვინის მასალა დეკალიტრი 8 მან. და 10 კაპ. ღირს, საკონიაკე მასალა—6 მან. და 50 კაპ. ღვინის მასალის და საკონიაკე სპირტის მასალის ფასებს შორის სხვაობის გამო ქარხანამ განიცადა ზარალი 302 მან. და 40 კაპ. სულ სამივე რეისის შედეგად ქარხნის მიერ მიღებული ზარალი შეადგენდა 354 მანეთსა და 80 კაპიკს.

მოსარჩელე მოითხოვდა ახმეტის ასკ-სათვის აღნიშნული თანხის დაკისრებას.

1969 წლის 22 იანვარს არბიტრაჟის სხდომაზე მოსარჩელეს მიერ წარმო-

¹¹ იხ. «Положение о взаимной материальной ответственности», п. 24.

¹² იხ. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის 1968 წლის საქმე.

დგენილი დოკუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა დავის გადასაწყვეტად და საქმე მოსამენად 1969 წლის 5 თებერვლისათვის გადაიდო.

არბიტრაჟის 1969 წლის 5 თებერვლის სხდომაზე მოსარჩელემ კვლავ არ წარადგინა მისთვის ხელმისაწვდომი დოკუმენტები (პროდუქციის ღირებულების ანაზღაურების ანგარიშები), რის გამოც მას სარჩელზე უარი ეთქვა.

საქალაქთაშორისო გადაზიდვის დროს ტვირთის შენახვასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი მაშინაც იქცევს ყურადღებას, როდესაც გადაზიდვა წარმოებს „წვევის მხრების სისტემის“ გამოყენებით.

როგორც ცნობილია, ასეთ შემთხვევებში ტვირთის გადაზიდვაში მონაწილეობს რამდენიმე სატრანსპორტო ორგანიზაცია და გადაზიდვა ერთი სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებით ხორციელდება.

იმისა გამო, რომ ხელშეკრულება იდება მხოლოდ ტვირთის გამგზავნისა და გაგზავნის პუნქტის სატვირთო ავტოსადგურს შორის, წარმოიშობა კითხვა: როგორ უნდა განისაზღვროს ამ ავტოსადგურისა და გადაზიდვაში მონაწილე სხვა შუალედი ავტოსადგურების პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში?

ვფიქრობთ, დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს უნდა გამოვიდეთ იმ გარემოებიდან, რომ ტვირთის გამგზავნთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფება არა მარტო გაგზავნის პუნქტის, არამედ გადაზიდვაში მონაწილე ყველა დანარჩენი სატრანსპორტო ორგანიზაციაც. ამასთან, გაგზავნის პუნქტის სატრანსპორტო ორგანიზაცია ხელშეკრულების დადების დროს ერთდროულად გამოდის, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილე და როგორც სხვა გადამზიდავების ლეგალური წარმომადგენელი.

„წვევის მხრების სისტემის“ გამოყენებით წარმოებული გადაზიდვის დროს ტვირთის გადაზიდვის ვალდებულება ერთნაირია ყველა გადამზიდავისთვის. ვალდებულების ერთნაობა ვაპირობებულია დადებული ხელშეკრულების არსით. ვალდებულების განუყოფადობიდან გამომდინარეობს ის, რომ სარჩელი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო უშუალოდ ბრალის მქონე შუალედ სატრანსპორტო ორგანიზაციას კი არ წარედგინება, არამედ ხელშეკრულების დამდებ სატრანსპორტო ორგანიზაციას. რაც შეეხება შუალედ სატრანსპორტო ორგანიზაციას, მას დავის განხილვაში მონაწილეობის მიღება შეუძლია თანამოპასუხის სახით.

დასასრულ უნდა აღინიშნოს ის დიდი მსგავსება, რომელიც არსებობს ტვირთის „წვევის მხრების სისტემის“ გადაზიდვასა და პირდაპირ, ასევე პირდაპირ-შერეულ გადაზიდვას შორის. ეს მსგავსება თავს იჩენს ტვირთის გადაზიდვის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულებასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის დროსაც. აქაც, ისევე როგორც „წვევის მხრების სისტემით“ გამოყენების დროს, წარმოშობილი დავების დროს სარჩელი წარედგინება ხელშეკრულების დამდებ სატრანსპორტო ორგანიზაციას, ხოლო ბრალეული სატრანსპორტო ორგანიზაცია დავაში ჩაებმება თანამოპასუხის სახით.

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ ბარჯომთა გამო

გ. ღვდარიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოადგენს დარღვეული ან სადავოდ გამხდარი უფლების დაცვის ერთ-ერთ გარანტიას და ემსახურება კანონიერების განმტკიცებას.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 37-ე მუხლის მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდებს მხოლოდ იმ დამამტკიცებელ საბუთებს, რომლებიც განხილულ იქნა სამსჯავრო სხდომაზე. გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს სასამართლოს მიერ დადგენილი საქმის გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას, კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

თუ სასამართლომ არასრულად გამოარკვია გარემოებანი, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, გადაწყვეტილებაში მოყვანილი დასკვნები არ შეესაბამება საქმის გარემოებას და დარღვეულია სამართლის მატერიალური ან საპროცესო ნორმები სასამართლოს შეცდომა შეიძლება გამოსწორდეს გადაწყვეტილების საკასაციო წესით, ხოლო მისი კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ — საზედამხედველო წესით გასაჩივრების გზით.

ზოგჯერ სასამართლოს გადაწყვეტილება შეესაბამება იმ ფაქტებს, რომლებიც ცნობილია მისი დადგენის მომენტისათვის, მაგრამ კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ აღმოჩნდება ისეთი ახალი გარემოება, რომელიც თუმცა არსებობდა საქმის განხილვის მომენტისათვის, მაგრამ ცნობილი არ იყო და არც შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო პროცესში მონაწილე პირებისათვის, შედეგის თვალსაზრისით კი სულ სხვაგვარად წარმართავდა საქმის მსვლელობას. პროცესუალური კანონმდებლობა ადგენს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის განსაკუთრებულ წესს, რომელიც არსებითად განსხვავდება საქმის საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციაში განხილვის წესებისაგან.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების 53-ე მუხლის შესაბამისად ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილებათა, განჩინებათა და დადგენილებათა გადასინჯვის საფუძვლებია:

1) საქმისათვის არსებითი გარემოებანი, რომლებიც არ იყო და არ შეიძლებოდა ყოფილიყო ცნობილი განმცხადებლისათვის;

2) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადგენილია მოწმის შეგნებულად ცრუ ჩვენება, ექსპერტის შეგნებულად ყალბი დასკვნა, შეგნებულად არასწორი თარგმანი, ყალბი დოკუმენტები ან ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, რასაც მოჰყვა უკანონო ან დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დადგენა;

3) სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომლითაც დადგენილია მხარეთა, საქმეში მონაწილე სხვა პირთა ან მათ წარმომადგენელთა დანაშაულებრივი მოქმედება ან მოსამართლეთა დანაშაულებრივი ქმედობა, ჩადენილი ამ საქმის განხილვის დროს.

4) სასამართლოს იმ გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების ან დადგენილების გაუქმება, რომელიც საფუძვლად დაედო ამ გადაწყვეტილების ან განჩინების გამოტანას.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა ეს ჩამოთვლა შეტანილია საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 346-ე მუხლში.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების გადასინჯვის ცნების გამოიჭინას, გადაწყვეტილების საკასაციო წესით გასაჩივრებისაგან და ზედამხედველობის წესით გადასინჯვისაგან აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ლიტერატურაში დადგენილია ამ თვალსაზრისით განმასხვავებელი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) საკასაციო წესით გასაჩივრების ობიექტია გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაში არ შესულა;

ბ) ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის ობიექტია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება;

გ) საკასაციო და საზედამხედველო წესით გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებია დაუსაბუთებლობა, მატერიალური ან საპროცესო სამართლის ნორმების არსებითად დარღვევა, ხოლო ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო შეიძლება გადასინჯვოს გადაწყვეტილება, რომელიც მისი დადგენის მომენტისათვის სწორი იყო და არასწორი გახდა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო¹.

ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმეთა გადასინჯვა წარმოებს როგორც პროკურორის, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების ინიციატივით, ისე მხარეების და საქმეში მონაწილე სხვა პირთა განცხადებებით, მაშინ როდესაც ზედამხედველობის წესით საქმის გადასინჯვა ზდება მხოლოდ პროტესტის შეტანით და საქმეში მონაწილე პირებს ამის უფლება არ გააჩნიათ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 331—347 მუხლები).

რსფსრ-ს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 334-ე მუხლის შესაბამისად ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადება საქმეში მონა-

¹ С. Н. Абрамов. Гражданский процесс. Юриздат Министерства юстиции СССР, М., 1948, стр. 395 — 396. А. Ф. Клейнман. Гражданский процесс. Юриздат НКЮ СССР, М., 1940, стр. 257. М. И. Царев. Гражданский процесс. «Юридическая литература», М., 1968, стр. 335 — 341.

წილე პირთა და პროკურორის მიერ შეიტანება იმ სასამართლოში, რომელმაც გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება გამოიტანა.

ამისაგან განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლის მიხედვით განცხადება და წარდგინება ახლად აღმოჩენილ გარემოების გამო სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინების და დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ უნდა იქნას ზემდგომ სასამართლოში.

ჩვენი აზრით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 348-ე მუხლით გათვალისწინებული ეს წესი არ შეესაბამება ახლად აღმოჩენილ ფაქტობრივობათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებას, რომელიც გარდა ზემოთ მითითებული ნიშნებისა, იმითაც განსხვავდება საზედამხედველო წესით საქმის გადასინჯვისაგან, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვა ზდება იმ სასამართლოში, რომელმაც ეს გადაწყვეტილება მიიღო. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 11 ოქტომბრის № 8 დადგენილების „სამოქალაქო საქმეების განხილვის დროს სასამართლოების მიერ პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“ მე-19 მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საკასაციო ან საზედამხედველო სასამართლოს განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვა, რომლითაც შეცვლილი იქნა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ან დადგენილი იქნა ახალი გადაწყვეტილება წარმოებს იმ სასამართლოს მიერ, რომელმაც შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ან მიიღო ახალი გადაწყვეტილება².

საქართველოს სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 351-ე მუხლის შესაბამისად ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვის შესახებ განცხადების ან წარდგინების დაკმაყოფილების ან უარის თქმის გამო მიღებული განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს ამ კოდექსის ოცდამეთოთხმეტე თავში გათვალისწინებული წესების მიხედვით. კოდექსის ეს თავი კი ეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისა და დაპროტესტების უფლებას საკასაციო ინსტანციის სასამართლოში. ამ თავის 327-ე მუხლში პირდაპირაა მითითებული, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინება გარდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განჩინებისა შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებისაგან ცალკე გასაჩივრონ მხარეებმა და საქმეში მონაწილე სხვა პირებმა ან დაპროტესტოს პროკურორმა საკასაციო ინსტანციის სასამართლოში.

ამგვარად, საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით იქმნება წინააღმდეგობა, როდესაც ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის გადასინჯვის უფლება ენიჭება მხოლოდ ზემდგომ სასამართლოს და ამ სასამართლოს განჩინების გასაჩივრებისათვის დადგენილია ის წესი, რაც აწესრიგებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განჩინების საკასაციო წესით გასაჩივრებას. რსფსრ სამოქალაქო სამართლის საპრ. კოდექსის 337-ე მუხლის მიხედვით სასამართლოს განჩინება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

² Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР 1924 — 1970 гг., стр. 207.

გადაწყვეტილების განჩინების და დადგენილების გაუქმების შესახებ გასაჩივრებას არ ექვემდებარება. აქედან ბუნებრივია, შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს განჩინება — ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გადასინჯვაზე უარის თქმის შესახებ, რამდენადაც ასეთი განჩინება აბრკოლებს საქმის შემდგომი მსვლელობის შესაძლებლობას.

საქართველოს სსრ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში დაშვებული შეუსაბამობანი ხელს უშლის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის თაობაზე წამოჭრილ დავების სწორად გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 348-ე და 351-ე მუხლები უნდა დაზუსტდეს და სათანადოდ შეიცვალოს.

სასამართლო პრაქტიკის განვითარების სრულყოფის ზოგიერთი საკითხი

ნ. ვარციხიანი,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი

საკვ. XXIV ყრილობამ კომუნისმისაყენ საბჭოთა საზოგადოების წინ-სვლის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრასთან ერთად მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, და-ნაწყოლობასთან ბრძოლის გაძლიერების, სოციალისტური სამართლის ნორ-მების განუხრელად დაცვის სულისკვეთებით მოქალაქეთა აღზრდის საკითხებს.

საბჭოთა სისხლის სამართალწარმოება ემსახურება დანაშაულის სწრაფად და ბოლომდე გახსნას, დამნაშავეთა მხილებასა და კანონის სწორი გამოყე-ნების უზრუნველყოფას, რათა ის პირი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, სამართ-ლიანად დაისაჯოს და არც ერთი არაბრალეული პირი არ იქნეს მიცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებელი.

ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს სასამართლო ორგანოების მუშაო-ბის მეთოდების სისტემატურ სრულყოფას. დანაშაულობასთან ბრძოლაში სა-სამართლო საქმიანობის დონის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუა-ლებას წარმოადგენს საბჭოთა კანონების შესრულების შემოწმების სწორი ორგანიზაცია. ვ. ი. ლენინი, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანი-ჭებდა მუშაობის აღრიცხვასა და კონტროლს, 1922 წლის 28 თებერვალს დ. ი. კურსკისათვის მიწერილ წერილში წერდა: „განსაკუთრებით მნიშვნელო-ვანია ფაქტობრივი შემოწმების დაყენება: რა კეთდება საქმით? რას ვაღწევთ საქმით? სახალხო სასამართლოებისა და რევოლუციური ტრიბუნალების წარ-მატებები? როგორ შეიძლება ამის აღრიცხვა და შემოწმება?“¹

სასამართლოების მიერ კანონების, დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიე-რებისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება სხვა ღონისძიე-ბებთან თანაბრად შესაძლებელია სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განვითარების გზით.

იგი ხელს უწყობს სასამართლო საქმიანობის შეჯამებას, იმის გამოვლენას, თუ როგორ უზრუნველყოფენ სასამართლოები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, რა მუშაობას ეწევიან დანაშაულის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის საქმეში, როგორ იცავენ მოქალაქეთა პირად და ქონებრივ უფ-ლებებს, სახელმწიფო დაწესებულებების, საწარმოების, საკოლმეურნეო-კოო-პერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების კანონიერ ინტერე-სებს, მოქალაქეთა ჰატივსა და ღირსებას. პრაქტიკის განვითარება შესაძლებ-ლობას ქმნის გამოვლინდეს მოკვლევისა და გამოძიებაში, აგრეთვე სასამართ-ლოში დამკვეთი შეცდომები და დარღვევები მათი შემდგომი აღმოფხვრი-

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 228.

სა და თავიდან აცილების მიზნით; ხელს უწყობს საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკაში ახალ საკითხთა გამოვლენას, მოქმედი კანონმდებლობის შეცვლისათვის წინადადებათა შემუშავებას, ახალი საკანონმდებლო აქტების მიღებას, კანონმდებლობის გადამოყენებისათვის აუცილებელი განმარტებების მიცემას, დანაშაულისა და გადაცდომის ჩადენის ხელშემწყობი პირობებისა და მიზეზების აღსაკვეთად საკითხის დაყენებას. უფრო მეტიც, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება შესაძლებლობას იძლევა სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ მოსამართლეთა კვალიფიკაციაზე, მათს გამოცდილებასა და ცოდნაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სასამართლო მუშაკთა კადრების შერჩევისათვის. დასასრულს, სასამართლო პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება აუცილებელია იმისათვის, რომ აღიკვეთოს ნაკლოვანებანი და დაინერგოს, გავრცელდეს სასამართლოების, მოსამართლეთა, სასამართლოს მდივნებისა და სხვ. დადებითი გამოცდილება.

სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ, გაითვალისწინა რა სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განსაკუთრებული მნიშვნელობა, თავის 1962 წ. 14 მაისის № 7 დადგენილებაში „დანაშაულობასთან ბრძოლაში სასამართლო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანების შესახებ“ ხაზი გაუსვა, რომ „... სასამართლო პრაქტიკაში აღმოცენებული საკითხების დროულად გადაწყვეტისა და კანონმდებლობის გამოყენებისას აუცილებელი სახელმძღვანელო მითითებების მიცემის მიზნით, სასამართლოს თავმჯდომარეებმა აქტიურად შეისწავლონ სასამართლო პრაქტიკა, შემდგომ სასამართლო ორგანოებში განსახილველად შეიტანონ საკითხები, რომლებიც თხოულობენ სახელმძღვანელო განმარტებებს“.

მრავალი მაგილითის მოყვანა შეიძლება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სახელმძღვანელო დადგენილებებიდან, სადაც რეკომენდებულია ან სავალდებულო წესით მითითებულია სასამართლო პრაქტიკის განზოგადების ჩატარება ცალკეული კატეგორიის საქმეებზე ან სასამართლო პრაქტიკის ცალკეულ საკითხებზე. დასაფასებელია სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საქმიანობა იმ ხაზით, რომ ავალდებუნ რა ქვემდგომ სასამართლოებს სასამართლო პრაქტიკის განზოგადებას, როგორც წესი, გზავნიდნენ წინასწარ შემუშავებულ კითხვარებს ან ანკეტებს, რაც დიდ დახმარებას უწევს სასამართლოს მუშაკებს ამ მუშაობაში, და, ჩვენი აზრით, მაინც სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებაზე ერთიანი სანიმუშო მეთოდური მითითების უქონლობა ხშირად უარყოფითად მოქმედებს ამ მუშაობის დონეზე.

დიდ მუშაობას ეწევა სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განზოგადების ხაზით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შესწავლილ და განზოგადებულ იქნა სასამართლო პრაქტიკა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მომხმარებელთა მოტყუების საქმეებზე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1965 წლის 3 ივლისის № 6 დადგენილების „არასრულწლოვანთა დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის“ და ამავე საკითხებზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 15 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ; ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 14 ოქტომბრის დად-

გენილებს — „სასამართლოების მიერ სისხლის სამართლის საქმეებზე კერძო (განსაკუთრებული) განჩინებების გამოტანის პრაქტიკის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ; აჭარის ასსრ, ქ. ქუთაისის, მახარაძისა და სამტრედიის რაიონების სახალხო სასამართლოების მიერ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო პლენუმის 1962 წლის 31 მარტის დადგენილების — „სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გატაცების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ; „მექრთამეობის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“, „სპეკულაციის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ“ და სხვ.

განვითარების მასალების საფუძველზე განალიზდა სასამართლოების მუშაობა საბჭოთა კანონების პროპაგანდის გაძლიერების და დანაშაულობის აღსაკვეთად პროფილაქტიკური მუშაობის ხაზით.

განვითარების მასალების მიხედვით სასამართლოებს მიეცათ განმარტებანი, ზოგიერთი ამ მასალებიდან გამოყენებულ იქნა მოსამართლებთან, სახალხო მსაჯულებთან საუბრების ჩატარებისას და აგრეთვე ცალკეული საკითხების გასამუშებლად პრესაში, რადიოსა და საბჭოთა კანონების პროპაგანდის ხაზით. და მაინც უნდა ითქვას, რომ სასამართლო პრაქტიკის განვითარების ორგანიზაციასა და მუშაობაში არსებითი ნაკლოვანებანია. ეს ძირითადად შეეხება მუშაობის დაგეგმვას, თემატიკის შერჩევას, სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგების არასათანადო რეალიზაციას. ზოგიერთი მათგანი კი დაბალ დონეზეა ჩატარებული.

სახალხო სასამართლოების მუშაობის შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთი სასამართლო ხანგრძლივი დროის განმავლობაში საერთოდ არ ეწევა მუშაობას სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განვითარების მიზნით. ასეთი მდგომარეობაა მაგალითად, ბოლნისის, ბორჯომის, ქობულეთის, წყალტუბოს, თეთრი წყაროს, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონების, ქალაქ ბათუმის და სხვა სასამართლოებში.

ხშირად მოსამართლე განვითარების გატარებისას იზღუდება მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებით და არ ცდილობს ღრმად ჩასწვდეს სასამართლო პრაქტიკას, რის გამოც განვითარების მრავალი საკითხი გამოუყენებელი რჩება პრაქტიკულ საქმიანობაში. ზოგიერთი კი მხოლოდ რაოდენობას მისდევს; რაიონში, ქალაქსა და ოლქში დანაშაულისა და სასამართლობის მდგომარეობის გაუთვალისწინებლად გეგმავენ იმ საკითხთა განვითარებას, რომლებიც აქტუალური არ არის მოცემული დროისათვის. სასამართლოთა უმეტესობა განვითარების პროცესში ანალიზს არ უკეთებს კონკრეტულ საქმეთა განხილვისას დაშვებული შეცდომების მიზეზებს და უმეტესად იზღუდება იმ საქმეთა ჩამოთვლით, რომელთა განაჩენები გაუქმდა ან შეიცვალა. ბევრ განვითარებაში არ არის დასკვნები და წინადადებები გამოვლენილ შეცდომათა და ნაკლოვანებათა თავიდან ასაცილებლად, არ შეისწავლება და არ ვრცელდება

საუკეთესო სასამართლოების, მოსამართლეების, სასამართლო აღმასრულებლების, მდივნებისა და ა. შ. გამოცდილება.

ყველა ეს ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ მუშაობის ეს უბანი თვითდინებაზეა მიშვებული. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს და საოლქო სასამართლოებს არა აქვთ საკმარისი შესაძლებლობანი ამ საქმიანობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. ამ საქმიანობას ხომ უმაღლესი და საოლქო სასამართლოს წევრები ახორციელებენ კონსულტანტებთან ერთად, რომლებიც ძირითად საქმიანობასთან ერთად, ე. ი. ცალკეულ სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეთა გადაწყვეტასთან, განცხადებებისა და საჩივრების განხილვასთან ერთად ეწევიან სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებას. და ეს სწორიც არის. შეძენილი გამოცდილება, მათ მიერ განხილულ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა დიდი რაოდენობა შესაძლებლობას იძლევა უფრო კვალიფიციურად და გონივრულად შეფასდეს გაწეული მუშაობის შედეგები და უფრო ზუსტად მიუთითონ სასამართლოებს დანაშაულისა და გადაცდომის თავიდან აცილების ღონისძიებათა გატარება. ამასთან არ უნდა შევუბრუნდეთ იმას, რომ ეს საქმიანობა მთლიანად უმაღლესი და საოლქო სასამართლოს წევრებს ევალებოდეს. ამ მეტად მძიმე დატვირთვას იქამდე მივყავართ, რომ ცალკეული განზოგადება ხდება სახელდახელოდ და ნაკლებშედეგიანად; სათანადო ყურადღება არ ექცევა სახალხო სასამართლოების მიერ შესწავლილ განზოგადებას.

იუსტიციის დაწესებულებათა სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობის დონის ამალღების, სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების, კანონების სრულყოფისა და სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცების მიზნით შეიქმნა საკავშირო-რესპუბლიკური იუსტიციის სამინისტრო და მისი ორგანოები ადგილებზე. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში არის სასამართლო სტატისტიკისა და სასამართლო პრაქტიკის განზოგადების განყოფილება. ამ განყოფილების შექმნა დიდად შეუწყობს ხელს სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მუშაობის დონის ამაღლებას. რასაკვირველია, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მიერ ამ მუშაობის ჩატარება არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ უნდა შეასუსტოს ამ ხაზით თავისი საქმიანობა. როგორც ცნობილია, საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 58-ე მუხლის თანახმად „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აძლევს სასამართლოებს სახელმძღვანელო ხასიათის განმარტებებს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განხილვის დროს რესპუბლიკური კანონმდებლობის შეფარდების საკითხებზე, სასამართლო პრაქტიკის, სასამართლო სტატისტიკისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილების განზოგადებისა და აგრეთვე საქართველოს სსრ პროკურორის წარდგინების საფუძველზე; შედის წარდგინებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში საკანონმდებლო წესით გადასაწყვეტი საკითხებისა და საქართველოს სსრ კანონების განმარტების შესახებ“.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მასალათა საფუძველზე ასევე წარდგინებებით შეეა საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოში. ბუნებრივია, უმაღლეს და საოლქო სასამართ-

ლოებთან კვალიფიციური ჯგუფების შექმნა ხელსაყრელ პირობებს შექმნის იმისათვის, რომ უფრო მაღალ დონეზე მოეწყოს სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განვითარების ორგანიზაცია. ამასთან საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურამ ერთობლივად სრული კონტაქტით უნდა უზრუნველყონ ამ საქმიანობის ჩატარების კოორდინირება მეცნიერ მუშაკებთან კავშირში. მხოლოდ სრული კონტაქტისა და ურთიერთგაგების პირობებში შესაძლოა უზრუნველყოფილ იქნას სასამართლო პრაქტიკის განვითარების ჩატარების ხარისხიანობა და განვითარების მასალების მაღალ პროფესიულ დონეზე განხილვა და წარდგენა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის სხდომებზე.

საჭიროა უხალეს დროში შემუშავდეს ერთიანი მეთოდური მითითება „სასამართლო პრაქტიკის განვითარებაზე“, რომელსაც ნორმატიული ძალა მიენიჭება. აგრეთვე უნდა დადგეს საკითხი უმაღლეს და საოლქო სასამართლოებში მეთოდისტიკისა და კონსულტანტის შტატის დაშვებაზე სპეციალურად სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და განვითარების მიზნით.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება ბევრად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას.

წინასწარი გამოძიების დამამთავრებელი სტადიის ზოგიერთი საკითხი

ა. შურაბაძე

1. სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დამამთავრებელი სტადიის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს ბრალდებულისათვის და მისი დამცველისათვის მთელი მასალის გაცნობას.

გამომძიებელმა ზუსტად უნდა დაიცვას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 202-205 მუხლების მოთხოვნები, რომლის თანახმად, ბრალდებულს უფლება აქვს გაეცნოს საქმის მთელ მასალას როგორც პირადად, ისე დამცველის დახმარებით. ამით გამოძიებელი რეალურად უზრუნველყოფს ბრალდებულსა და მის დამცველს კანონით გარანტირებული უფლებებით.

კანონი არ აწესრიგებს თუ რა დროის განმავლობაში შეუძლიათ ბრალდებულსა და მის დამცველს გაეცნონ საქმის მასალებს.

ხშირად ბრალდებული ან მისი დამცველი ბოროტად იყენებს ამას, შეგნებულად თავს არიდებს საქმის მასალების გაცნობას, ან მიუხედავად იმისა, რომ უკვე გაეცნენ საქმეს კვლავ ითხოვენ დროს მის გასაცნობად. როგორ უნდა მოიქცეს გამოძიებელი ასეთ ვითარებაში?

იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა აზრი, რომ ასეთ შემთხვევაში გამოძიებელმა საქმის მასალების გაცნობა ბრალდებულის მიერ უნდა დამთავრებულად მიიჩნიოს და საქმეს მისცეს სათანადო მსვლელობა. ასეთი შეხედულება მართებულია და აუცილებელია მან ასახვა ჰპოვოს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში.

საინტერესოა, რომ ეს საკითხი მოწესრიგებულია სომხეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 195-ე მუხლით, რომლის მიხედვით თუ ბრალდებული განგებ აჭინურებს საქმის მასალების გაცნობას, გამოძიებელს გამოაქვს დადგენილება, ბრალდებულს განესაზღვრება გარკვეული დრო საქმის გასაცნობად. თუ განსაზღვრულ ვადაში ბრალდებული არ გაეცნობა საქმეს, გამოძიებელი ბრალდებულის მიერ საქმის მასალების გაცნობას დამთავრებულად თვლის.

სომხეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ეს მოთხოვნა ყურადსაღებია. ანალოგიური ნორმის შეტანა საქართველოს სსრ სსსკ კოდექსში ხელს შეუწყობდა გამოძიებლის მუშაობის გაუმჯობესებას, დაჩქარებდა გამოძიების დროულად დამთავრებას, თავიდან აგვაცილებს საგამომძიებო და საპატიმრო ვადის უსაფუძვლოდ დარღვევას.

ჩვენის აზრით, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს უნდა დაემატოს 204¹ მუხლი და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ბრალდებული ან მისი დამცველი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე ან მათი წარმომადგენელი თუ განზრახ არიდებენ თავს გამოძიებლის მიერ წარდგენილ საქმის მასალების გაცნობას, ან

უსაფუძვლოდ აჭიანურებენ საქმის მასალების გაცნობას. გამომძიებელს უფლება აქვს დადგენილებით განუსაზღვროს აღნიშნულ პირებს გარკვეული ვადა საქმის მასალების გასაცნობად. ამ ვადის გასვლის შემდეგ კანონის მოთხოვნა საქმის მასალების გაცნობის შესახებ შესრულებულად ჩაითვლება“.

2. როგორც წესი ბრალდებულს საქმე გასაცნობად უნდა წარუდგინოს იმ პირმა, რომელიც აწარმოებს მოკვლევას ან გამოძიებას. ნ. იაკუბოვიჩის აზრით გამომძიებელს შეუძლია საქმის მასალების გაცნობა მიანდოს იმ გამომძიებელს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იმყოფება ბრალდებული¹.

ამ მოსაზრებას არ ეთანხმება ა. ფალიაშვილი, რომლის აზრითაც გამომძიებელმა ეს მოქმედება პირადად უნდა შეასრულოს, რადგან საქმის მასალების გაცნობის პროცესში ზოგჯერ საჭირო ხდება ბრალდებულისათვის ამა თუ იმ პროცესუალური დოკუმენტის ან სხვა მასალის არსის განმარტება. წამოიჭრება ხოლმე აგრეთვე ისეთი გაუგებარი საკითხები, რომელზეც მხოლოდ იმ გამომძიებელს შეუძლია პასუხის გაცემა, რომელმაც გამოიძია საქმე².

ჩვენ ვეთანხმებით ა. ფალიაშვილის მოთხოვნას. ბრალდებულისათვის წინასწარი გამოძიების დამამთავრების გამოცხადება და გასაცნობად საქმის მასალების წარდგენა ერთერთი პასუხსაგები და მთავარი პროცედურაა წინასწარ გამოძიების სტადიაში და მისი სხვა გამომძიებლისათვის გადაბარება ყოველად დაუშვებლად გვეჩვენება.

საქმის მასალების გაცნობის დროს ბრალდებული აფასებს წინასწარი გამოძიებით შეკრებილ მტკიცებულებებს და უკეთებს მას სათანადო ანალოზს.

გამომძიებელი მზად უნდა იყოს დაუყოვნებლივ შეავსოს ის ხარვეზი, რომელზეც შეიძლება მიუთითონ ბრალდებულმა და მისმა დამცველმა საქმის მასალების გაცნობის შემდეგ.

3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 202-ე მუხლის შესაბამისად ბრალდებულს გასაცნობად წარედგინება საქმეში არსებული ყველა მასალა დანომრილი სახით. ბრალდებულს უფლება აქვს ამოიწეროს საქმის მასალებიდან მისთვის საინტერესო ადგილები.

1966 წლის 30 ნოემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ცვლილებები იქნა შეტანილი საპროცესო კოდექსში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 96¹ მუხლი, რომლის თანახმად განისაზღვრა დაკითხვის დროს ხმის ჩაწერის გამოყენების წესი.

ამის შესაბამისად ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის დაკითხვის დროს შეიძლება გამოყენებულ იქნას ხმის ჩაწერა, თუ მას საჭიროდ მიიჩნევს გამომძიებელი. ავი შეიძლება შესრულდეს აგრეთვე ბრალდებულის, ეჭვმიტანილის, მოწმის ან დაზარალებულის თხოვნით.

სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას ცალკეული პირების ჩვენებების ფონოგრამაზე აღბეჭდვამ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 183 მუხლით გათვალისწინებულ კინოგადაღებამ გა-

¹ Н. Я. Якубович. Окончание предварительного следствия, Госюриздат, 1962, стр. 46.

² ა. ი. ფალიაშვილი, საპროცესო ზედამხედველობა სსრ კავშირში, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1970 წ. გვ. 165.

მოხატულება ჰპოვა ბრალდებულის მიერ სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობის პროცედურაშიც.

201 და 202 მუხლებში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულებით შეტანილ დამატებების შედეგად ხმის ჩაწერასა და კინოგადაღებასთან დაკავშირებით დადგინდა:

201-ე მუხლის საფუძველზე თუ წინასწარი გამოძიების დროს გამოყენებული იყო კინოგადაღება ან ხმის ჩაწერა, დაზარალებული ამ მასალებს ეცნობა თავისი თხოვნით.

დაზარალებულისაგან განსხვავებით 202-ე მუხლის თანახმად თუ წინასწარი გამოძიების დროს გამოყენებული იყო კინოგადაღება ან ხმის ჩაწერა, ეს მასალები ეცნობა ბრალდებულსა და მის დამცველს.

ამ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ 202-ე მუხლის საფუძველზე ბრალდებულის მიერ საქმის მასალების გაცნობისას თუ საქმეზე გამოყენებული იყო კინოგადაღება ან ხმის ჩაწერა — როგორც ერთი ჩვენება — ისე მეორის მოსმენა აღნიშნული დროისათვის ბრალდებულისა და მისი დამცველისათვის **სავალდებულოა**.

4. გარკვეული თავისებურებით ხასიათდება საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრება, როდესაც საქმეს იძიებდა გამომძიებელთა ჯგუფი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 133-ე მუხლით განსაზღვრულია გამომძიებელთა ჯგუფის მიერ საქმის წარმოება: 1. საქმის გამოძიება გამომძიებელთა ჯგუფის მიერ დაიწება საქმის სირთულისა და დიდი მოცულობის გამო; 2. გამომძიებელთა ჯგუფის შექმნის შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება ცალკე დადგენილებით და ეს შეიძლება აღინიშნოს სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილებაშიც; 3. საქმეს წარმოებაში იღებს ის გამომძიებელი, რომელიც დანიშნულია ჯგუფის ხელმძღვანელად.

იურიდიულ ლიტერატურაში დაისვა საკითხი იმის შესახებ თუ ვინ უნდა აწერდეს ხელს ასეთ შემთხვევაში საბრალდებო დასკვნას.

ამ საკითხთან დაკავშირებით ალ. ბაქრაძე მიუთითებს, რომ „გამომძიებელთა ჯგუფის მიერ გამოძიებულ საქმეზე შედგენილ საბრალდებო დასკვნას თუ ვინ უნდა აწერდეს ხელს, ამის შესახებ კანონში არაფერია ნათქვამია. პრაქტიკაში საბრალდებო დასკვნას ხშირად ხელს აწერს ჯგუფის ხელმძღვანელი და, იშვიათად, მასთან ერთად სხვა გამომძიებელიც“³.

ალ. ბაქრაძე მოკლედ მიმოიხილავს რა ცალკეული ავტორების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს ასკვნის, რომ საბრალდებო დასკვნას ხელს უნდა აწერდეს მარტოოდენ ჯგუფის ხელმძღვანელი და, რომ ეს გარემოება სრულიადაც არ ამცირებს სხვა გამომძიებელთა უფლებამოსილებას. ჩვენის მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ კანონმდებელმა ეს საკითხი თავისებურად მოაწესრიგა. თავისთავად კანონმდებლის მიერ იმაზე მითითება, რომ საქმეს წარმოებაში იღებს ის გამომძიებელი, რომელიც დანიშნულია ჯგუფის ხელმძღვანელად, მიუთითებს იმაზე, რომ საბრალდებო დასკვნასაც ხელს სწორედ ეს პირი უნდა აწერდეს. ამასთან, არა მარტო საბრალდებო დასკვნას, არამედ სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის დადგენილებასაც, აგრეთვე დადგენილებას საქმის გადაგზავნის შესახებ პირის მიმართ სამედიცინო ხასიათის

³ ალ. ბაქრაძე, ჯგუფური გამოძიება და საპროცესო რედაქციების ზოგიერთი საკითხი. „განათლება“, თბილისი, 1970 წ., გვ. 56.

იძულებითი ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისათვის ხელს უნდა აწერდეს მხოლოდ და მხოლოდ ის პირი, ვის წარმოებაშიც არის საქმე.

საკითხის სიცხადისათვის, ჩვენის აზრით, საჭიროა საბრალდებო დასკვნაზე ან დადგენილებაზე დართულ ცნობაში მიეთითოს ჯგუფში მონაწილე სხვა გამოძიებელთა შესახებ — მათი თანამდებობის აღნიშვნით და რომელი გამოძიებელი როდიდან იქნა ჩართული გამოძიებაში.

5. სასამართლო წარმოების საფუძვლების 22-ე მუხლით განსაზღვრულია წინასწარ გამოძიების და სასამართლოში ადვოკატის მონაწილეობის საკითხი.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე და 44-ე მუხლები აწესრიგებს დამცველის მონაწილეობას სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში.

დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება იმ მომენტიდან, როდესაც გამოძიებელი ბრალდებულს გამოუცხადებს, რომ წინასწარი გამოძიება დამთავრდა და წარუდგენს გასაცნობად საქმის მასალებს.

საერთო წესიდან გამონაკლისია საქმეები არასრულწლოვანთა და აგრეთვე იმ პირთა დანაშაულის შესახებ, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლიათ თვითონ განახორციელონ დაცვის უფლება (ყრუ, მუნჯი, უსინათლო და სხვა). ამ შემთხვევაში დამცველი დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან.

44-ე მუხლით განსაზღვრულია იმ საქმეთა კატეგორია, რომელთა გამოძიების და პირველი ინსტანციის სასამართლოში განხილვის დროს სავალდებულოა დამცველის მონაწილეობა საქმეში.

საფუძვლების 22-ე მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკების შესაბამისი მუხლების ანალიზის შედეგად მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოითქვა, როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში.

წინასწარი და სასამართლო სამსჯავრო გამოძიების პროცესში ადვოკატის მონაწილეობის საკითხს მრავალი სპეციალური სტატია და გამოცვლა მიეძღვნა. ავტორთა უმრავლესობა მოითხოვს ადვოკატის უფლებების გაფართოებას სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში და მის ჩართვას საქმეში მონაწილეობის მისაღებად უფრო ადრეულ ეტაპზე ვიდრე ეს განსაზღვრული იყო საფუძვლების 22-ე მუხლით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულებით ეს საკითხი დადებითად გადაწყდა, რითაც საგრძნობლად გაფართოვდა ადვოკატის მოღვაწეობის არე წინასწარი გამოძიების სტადიაში.

ამ ბრძანებულებით დამცველი დაიშვება საქმეში მონაწილეობისათვის იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს გამოუცხადებენ, რომ წინასწარი გამოძიება დამთავრდა და წარუდგენენ მას საქმის მთელ მასალებს. **პროკურორის დადგენილების საფუძველზე დამცველი შეიძლება დაშვებული იქნეს ბრალდების წარდგენის მომენტიდან.**

ბრძანებულებით სავალდებულოა დამცველის დაშვება წინასწარ გამოძიებაში მონაწილეობის მისაღებად ბრალდების წარდგენის მომენტიდან იმ პირთა საქმეებზეც, რომლებმაც არ იციან ენა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

როგორც ვხედავთ პროკურორს უფლება აქვს ყველა კატეგორიის საქ-

მეზე დაუშვას დამცველი ბრალდების წარდგენის მომენტიდან, თუ ის ამას საჭიროდ ჩათვლის.

რა თქმა უნდა ამის გადაწყვეტისას პროკურორი ითვალისწინებს საქმის სირთულეს, პასუხისგებაში მისაცემ პირის პიროვნებას და სხვა გარემოებებს. როდესაც კანონით სავალდებულო არ არის დამცველის დაშვება საქმეზე ბრალდების წარდგენის მომენტიდან, მაგრამ ეს პროკურორს საჭიროდ მიაჩნია, მას გამოაქვს დადგენილება, რომელშიც ასახვა უნდა ჰპოვოს იმ საფუძვლებმა, რომელთა გამო მან საჭიროდ მიიჩნია დამცველის დაშვება. თუ ინიციატივა დამცველის საქმეზე დაშვების შესახებ გამომდინარეობს სხვა პირის მიერ (ბრალდებულის ნათესავები, ახლობლები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და სხვა), პროკურორმა უნდა გამოიტანოს დადგენილება, რომლითაც უნდა გადაწყდეს საკითხი ადვოკატის დაშვების ან ასეთზე უარის თქმის შესახებ. ორივე შემთხვევაში დასაბუთებული დადგენილება უნდა დაერთოს საქმეს. პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აუცილებელია ეცნობოს დაინტერესებულ პირს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, იმ პირთა საქმეებზე, ვინც არ იცის ენა, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება ბრძანებულების თანახმად, დამცველი დაშვებულია ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით სასამართლო წარმოება სისხლის სამართლის საქმეებზე ზორციელდება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ქართულ ენაზე ან ავტონომიური რესპუბლიკის, ან ავტონომიური ოლქის ენაზე.

ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში სასამართლო წარმოება მიმდინარეობს უმთავრესად ქართულ ენაზე.

კანონის მოთხოვნის პირდაპირი გაგებით ყველა შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულმა არ იცის ქართული ენა აუცილებელი იქნება მისთვის დამცველის დანიშვნა ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

საგამოძიებო პრაქტიკის შესწავლა კი ცხადჰყოფს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში გარდა მცირედი გამონაკლისისა, წინასწარი გამოძიება საქმეებზე პარალელურად მიმდინარეობს ქართულ და რუსულ ენებზე. გამოძიებელი საგამოძიებო მოქმედებების ოქმებს აფორმებს იმ ენაზე (ქართული ან რუსული), რომელსაც ფლობს ბრალდებული.

ასეთ პირობებში, ჩვენი აზრით, თუ ბრალდებულმა იცის რუსული ენა (ჩვენი რესპუბლიკის მცხოვრებთა უმრავლესობა კი ამ ენას ფლობს), ხოლო გამოძიებელი ბრალდებულს კითხავს, ბრალდებას უდგენს და დოკუმენტებს აფორმებს რუსულ ენაზე, მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე სხვა ბრალდებულების მიმართ გამოძიება წარმოებს ქართულ ენაზე. ასეთ შემთხვევაში დამცველმა მონაწილეობა უნდა მიიღოს საქმეზე წინასწარი გამოძიების დამთავრებისას.

საკითხის სიცხადისათვის უნდა შევნიშნოთ, რომ დღეისათვის სასამართლო პრაქტიკა ამას არ ეზიარებს. უფრო მეტიც, სასამართლო ორგანოების მიერ კანონის ეს მოთხოვნა მიღებული იქნა განვრცობითი სახით, რაც მრავალ შემთხვევაში წინასწარ გამოძიებაში საქმეების • უსაფუძვლოდ დაბრუნების მიზეზი ხდება.

კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ პროკურატურას დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნა ვინმე ა-ს ბრალდების საქმე. სასა-

მართლომ ამას საფუძვლად დაუდო გამოძიებლის მიერ ბრძანებულების მოთხოვნის შეუსრულებლობა. ა-მ სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე განაცხადა, რომ მართალია მან ქართული ენა იცის, მაგრამ უკეთესად ფლობს რუსულ და სომხურ ენებს, და იშუამდგომლა სასამართლოში მისი რუსულ ან სომხურ ენაზე დაკითხვა.

სასამართლოს მითითებით, ასეთ ვითარებაში ა-ს დამცველი უნდა დაწინაურდეს ბრალდების წარდგენის მომენტიდან. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით, ამავე მოტივით, დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა ყ-ს ბრალდების საქმე. ბრალდებულმა თავის საჩივარში მიუთითა, რომ მან კარგად არ იცის რუსული ენა, ხოლო ეს რომ სინამდვილეს შეესაბამება დასტურდება იმ ფაქტით, რომ ყ-ს მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები, რუსულ ენაზე გაუმართავია და დამცველი აქვს შეცდომები. მხედველობაშია მართლწერის წესების უხეშო დარღვევა.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება უსწორია და არ გამოძინარეობს ბრძანებულების მოთხოვნიდან.

ბრძანებულება ითხოვს ბრალდებულის მიერ იმ ენის ცოდნას, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

ორივე საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ იციან ის ენა, რომელზეც მიმდინარეობდა მათი დაკითხვა, ამასთან სურვილი გამოთქვეს ამ ენაზე (ა-მ ქართულზე, ხოლო ყ-მ რუსულზე) მიეცათ ჩვენებები. ის გარემოება, რომ ბრალდებულმა იცის სხვა ენაც და სასამართლოში ითხოვს ამ ენაზე დაკითხვას, არ წარმოადგენს საფუძველს დამატებით გამოძიებაში საქმის დასაბრუნებლად.

მითუმეტეს არ შეიძლება საქმე დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებაში ბრალდებულის განათლების დაბალი დონის გათვალისწინებით, როგორც ეს ყ-ს ბრალდების საქმესთან დაკავშირებით მოხდა.

ჩვენი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანა ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საქმეზე დამცველის მონაწილეობის საკითხის ერთიანი სასამართლო და საგამომძიებლო პრაქტიკის დადგენას.

მართლმ ამას საფუძვლად დაუდო გამოძიებლის მიერ ბრძანებულების მოთხოვნის შეუსრულებლობა. ა-მ სასამართლო სამსჯავრო სხდომაზე განაცხადა, რომ მართალია მან ქართული ენა იცის, მაგრამ უკეთესად ფლობს რუსულ და სომხურ ენებს, და იშუამდგომლა სასამართლოში მისი რუსულ ან სომხურ ენაზე დაკითხვა.

სასამართლოს მითითებით, ასეთ ვითარებაში ა-ს დამცველი უნდა დანიშნონდა ბრალდების წარდგენის მომენტიდან. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებით, ამავე მოტივით, დამატებით გამოძიებას დაუბრუნდა ყ-ს ბრალდების საქმე. ბრალდებულმა თავის საჩივარში მიუთითა, რომ მან კარგად არ იცის რუსული ენა, ხოლო ეს რომ სინამდვილეს შეესაბამება დასტურდება იმ ფაქტით, რომ ყ-ს მიერ საკუთარი ხელით დაწერილი ჩვენებები, რუსულ ენაზე გაუმართავია და დაშვებული აქვს შეცდომები. მხედველობაშია მართლწერის წესების უხეში დარღვევა.

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში საქმის დამატებით გამოძიებაში დაბრუნება უსწორია და არ გამოძინარეობს ბრძანებულების მოთხოვნიდან.

ბრძანებულება ითხოვს ბრალდებულის მიერ იმ ენის ცოდნას, რომელზეც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება.

ორივე საქმეზე წინასწარი გამოძიების ჩატარებისას ბრალდებულებმა განაცხადეს, რომ იციან ის ენა, რომელზეც მიმდინარეობდა მათი დაკითხვა, ამასთან სურვილი გამოთქვეს ამ ენაზე (ა-მ ქართულზე, ხოლო ყ-მ რუსულზე) მიეცათ ჩვენებები. ის გარემოება, რომ ბრალდებულმა იცის სხვა ენაც და სასამართლოში ითხოვს ამ ენაზე დაკითხვას, არ წარმოადგენს საფუძველს დამატებით გამოძიებაში საქმის დასაბრუნებლად.

მითუმეტეს არ შეიძლება საქმე დაბრუნდეს დამატებითი გამოძიებაში ბრალდებულის განათლების დაბალი დონის გათვალისწინებით, როგორც ეს ყ-ს ბრალდების საქმესთან დაკავშირებით მოხდა.

ჩვენი აზრით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სათანადო ცვლილებების შეტანა ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის საქმეზე დამცველის მონაწილეობის საკითხის ერთიანი სასამართლო და საგამომძიებლო პრაქტიკის დადგენას.

გეგმვის საკითხისათვის

ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“-ს 1971 წლის № 2-ში გამოქვეყნდა ვ. ჟვანიას წერილი „მამობის დადგენის დროს ექსპერტიზის გამოყენების საკითხისათვის“. ავტორი ეხება რა გამოკვეთვლების „ახალ“ მეთოდებს მამადცნობის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, რეზუსფაქტორისა და გენების გამოკვლევის მნიშვნელობას აღნიშნული საკითხის გადაჭრის დროს თამამად აცხადებს, რომ „...ბიოლოგიის განვითარებამ უკანასკნელ დროს მეცნიერებას მისცა დამატებითი საშუალება სისხლში აღმოაჩინონ ე. წ. რეზუს-ფაქტორი, რომელიც იძლევა სისხლის ანალიზით ნათესაური კავშირის უდავოდ დადგენის საშუალებას“. ამავე წერილში ავტორი აღნიშნავს: უკანასკნელ დრომდე სისხლის გენეტიკურ გამოკვლევას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. ამჟამად მეცნიერების ამ მიღწევას ფართოდ იყენებენ არა მარტო მედიცინაში, არამედ სასამართლო მედიცინის პრაქტიკაშიც. საქართველოში სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ბიოლოგიური ლაბორატორია აწარმოებს ასეთ გამოკვლევებს და დიდ დახმარებას უწევს როგორც საგამომძიებო, ისე სასამართლო ორგანოებს“. ყოველივე ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ თითქოს მამადცნობის საკითხის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევის დროს უადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდეს რეზუს-ფაქტორისა და გენების გამოკვლევას. ამ მოსაზრებას პატივცემული ავტორი ადასტურებს მავალითების მოკვანით ე. მ. ვოროჟეიკინის სტატიიდან «Право и семья» რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ «Советское государство и право»-ს 1970 წლის № 9-ში.

ვფიქრობთ, რომ ვ. ჟვანიამ არასწორად გაიგო ე. მ. ვოროჟეიკინის წერილის დედაზრი და მამობის საკითხის გადაჭრის დროს რეზუს-ფაქტორის მიანიჭა გადამწყვეტი როლი. ჩვენ არ ვუარვყოფთ რეზუს-ფაქტორის მნიშვნელობას აღნიშნულ ექსპერტიზაში, მაგრამ აქვე დავძინებთ, რომ ამ ფაქტორს ენიჭება თანაბარი უფლებები სისხლის სხვა ფაქტორებთან ერთად და საგარაუდო მამისა და ბავშვის რეზუს-ფაქტორის დამთხვევა-არდამთხვევის საკითხს საბოლოოდ არ წყვეტს.

რაც შეეხება გენეტიკურ გამოკვლევას, ავტორი ერთმანეთში ურევს სისხლის გამოკვლევასა და გენეტიკურ გამოკვლევას. მამადცნობის საკითხის გადაჭრის დროს ტარდება სისხლის სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევა. რაც შეეხება გენეტიკურ გამოკვლევას, მას საერთო არაფერი აქვს სისხლის იმ გამოკვლევასთან, რომელიც ტარდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ბიუროს ბიოლოგიურ განყოფილებაში. გენეტიკა არის მეცნიერების ცალკე დარგი, რომელიც ხელმძღვანელობს მუშაობის საკუთარი მეთოდებით და აქვს კვლევის საკუთარი ობიექტები. მამადცნობის საკითხის გარკვევის დროს გენეტიკურ გამოკვლევას მიმართავენ მაშინ, როცა სისხლის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ იძლევა დამაკმაყოფილებელ შედეგს, რაზეც ნათლად მიუთითებს ე. მ. ვოროჟეიკი თავის სტატიაში და აღნიშნავს, რომ „...ზოგიერთ შემთხვევაში მამადცნობის საკითხის გარკვევაში გარკვეულ როლს თამაშობს პათოლოგიური გენების არსებობა მშობელსა და შვილში“ და რომ „...ასეთი სახის გამოკვლევები

მცირერიცხოვანია და ცნობილია ძხოლოდ საზღვარგარეთის ქვეყნების სამედიცინო პრაქტიკაში. საბჭოთა კავშირში გენეტიკურ გამოკვლევას სასაპართლო-სამედიცინო ასპექტში მხოლოდ ახლა ეყრება საფუძველი“.

მამადცნობის საკითხის გადაჭრის დროს ჩვენს ქვეყანაში ტარდება სისხლის ერითროციტარული სისტემისა და სისხლის შრატის გამოკვლევა, კერძოდ, გამოკვლევას ექვემდებარება ABO სისტემა, MN სისტემა, Pp სისტემა, რეზუს-ფაქტორი, სისტემები, Gm, Kell, Daffi, გაბტოგლობინის სისტემა და ძრავალი სხვა, რომელთა უმრავლესობა ჯერ-

ჯერობით კვლევისა და შესწავლის ფაზაშია. ამ სისტემების გამოკვლევის დროს ჩვენ გვეძლევა საშუალება ზოგიერთ შემთხვევაში გამოვრიცხოთ მამობა. რაც შეეხება მამობის კატეგორიულ დადგენას, ეს ჯერჯერობით შეუძლებელია, ვინაიდან ყველა ზემოჩამოთვლილი სისტემა და ფაქტორი მართო ცალკეული ინდივიდისათვის კი არ არის დამახასიათებელი, არამედ ადამიანთა დიდი ჯგუფისათვის.

ე. რეზიაშვილი,

მ. მაისურაძე

სასამართლო ბიოლოგები

საქართველოს საზოგადოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიწის კოდექსი

დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო მეფის რუსეთის ნახევრად ბატონყმური საადგილმამულო წყობილება, რომელსაც სილატაკე მოჰქონდა გლეხობისათვის და აფერხებდა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებას. სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის 1917 წლის 27 ოქტომბრის (8 ნოემბრის) დეკრეტით „მიწის შესახებ“ და საქართველოს რევოლუციური კომიტეტის 1921 წლის 6 აპრილის დეკრეტით „მიწის შესახებ“ სამუდამოდ გაუქმდა მიწის კერძო საკუთრება. მთელი მიწა გახდა საყოველთაო-სახალხო სიმდიდრე და უსასყიდლოდ გადაეცა მშრომელებს სარგებლობისათვის.

ნაციონალიზაციის შედეგად წარმოქმნილი სახელმწიფო საკუთრება მიწაზე, სსრ კავშირში, რომლის შემადგენლობაში შედის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან ნებაყოფლობითი ვაერთიანებისა და თანასწორფლებიანობის საფუძველზე, საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძველია. მიწა, რომელიც კერძო საკუთრების პირობებში ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის იარაღი იყო, სსრ კავშირში გამოყენებულია ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარებისათვის მთელი ხალხის სასარგებლოდ.

მიწის სახელმწიფო საკუთრებამ უდიდესი როლი შეასრულა სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების უზრუნველყოფაში. მან შექმნა შესაძლებლობა ყველაზე მიზანშეწონილად განლაგებულიყო სახალხო მეურნეობის დარგები და მიწათსარგებლობის სოციალისტურ ფორმებზე გადასვლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა გახდა.

როცა სოციალისტური მშენებლობის მსვლელობაში შეიქმნა დაქუცმაცებულ ინდივიდუალურ მეურნეობათა მასობრივი კოლექტივიზაციის პირობები, გლეხობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მეშაბა კლასის ყოველმხრივი დახმარებით და მხარდაჭერით დაადგა სოციალიზმის გზას. ლენინური კოოპერაციული გეგმის ცხოვრებაში განხორციელებისა და საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვების შედეგად გლეხთა საკითხმა პოვა თავისი ნამდვილი გადაჭრა.

მიწის სახელმწიფო საკუთრება ჩვენს ქვეყანაში

ნაში ხელს უწყობს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე თანდათანობით გადასვლას და ქალაქსა და სოფელს შორის განსხვავების ლიკვიდაციას.

მიწა — საბჭოთა საზოგადოების უმნიშვნელოვანესი სიმდიდრე — არის წარმოების მთავარი საშუალება სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განლაგებისა და განვითარების სივრცობრივი ბაზისი. მიწის მეცნიერულად დასაბუთებული, რაციონალური გამოყენება, მისი დაცვა და ნიადაგის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გაზრდა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა.

პ ა რ ი I

ზოგადი დებულებანი

თავი I

ძირითადი დებულებანი

მუხლი 1. საქართველოს სსრ მიწის კოდექსის ამოცანები

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიწის კოდექსის ამოცანებია საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგება მიწის რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად და მისი ეფექტიანობის გასაზიდავლად პირობების შექმნის მიზნით, სოციალისტურ ორგანიზაციათა და მოქალაქეთა უფლებების დაცვა, საადგილმამულო ურთიერთობის დარგში კანონიერების განმტკიცება.

მუხლი 2. სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობა

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში საადგილმამულო ურთიერთობას აწესრიგებს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძველები და მათ შესაბამისად გამოცემული სსრ კავშირის მიწის კანონმდებლობის სხვა აქტები, საქართველოს სსრ მიწის კოდექსი და საქართველოს სსრ მიწის კანონმდებლობის სხვა აქტები.

მუხლი 3. სამთო, სატყეო და საწყლო ურთიერთობის მოწესრიგება

სამთო, სატყეო და საწყლო ურთიერთობებს აწესრიგებს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სპეციალური კანონმდებლობა.

მუხლი 4. მიწის სახელმწიფო საკუთრება
სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საქართვე-

ლოს სსრ კონსტიტუციის შესაბამისად მიწა სახელმწიფო საკუთრებაა, ესე იგი საყოველთაო-სახალხო სიმდიდრეა.

მიწა წარმოადგენს განსაკუთრებულ სახელმწიფო საკუთრებას და იგი გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ქმედობა, რომლითაც პირდაპირი თუ ფარული ფორმით ირღვევა მიწის სახელმწიფო საკუთრების უფლება.

მუხლი 5. ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მთელი მიწა წარმოადგენს ერთიან სახელმწიფო მიწის ფონდს, რომელსაც მიწის პირითადი მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად მიეკუთვნება:

- 1) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომლებიც სარგებლობისათვის მიცემული აქვთ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა მიწათმოსარგებლებს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის;
- 2) დასახლებული პუნქტების (ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების) მიწები;
- 3) მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები;
- 4) სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწები;
- 5) სახელმწიფო წყლის ფონდის მიწები;
- 6) სახელმწიფო მარაგის მიწები.

მუხლი 6. კატეგორიებისათვის მიწის მიკუთვნებისა და მისი ერთი კატეგორიიდან მეორეში გადატანის წესი

ამ კოდექსის მე-5 მუხლში აღნიშნული კატეგორიებისათვის მიწის მიკუთვნება ხდება მიწის ძირითადი მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად.

ერთი კატეგორიიდან მეორეში მიწების გადატანა ხდება ამ მიწების ძირითადი მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის შემთხვევაში.

აღნიშნული კატეგორიებისათვის მიწის მიკუთვნებისა და მისი ერთი კატეგორიიდან მეორეში გადატანას აწარმოებენ ის ორგანოები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას ამ მიწების გაცემის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევებში, როცა ეს დაკავშირებული არ არის მიწების სარგებლობისათვის მიცემასთან. — ის ორგანოები, რომლებიც ამტკიცებენ მიწათმოწყობის პროექტებს, თუ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის სხვა წესი.

მუხლი 7. სსრ კავშირის კომპეტენცია საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების

მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საადგილმამულო ურთიერთობის მოწესრიგების დარგში სსრ კავშირის გამგებლობას მიეკუთვნება:

- 1) ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის განკარგვა იმ ფარგლებში, რომლებიც აუცილებელია სსრ კავშირის უფლებამოსილებათა განხორციელებისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის შესაბამისად;
- 2) მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის ძირითად დებულებათა დადგენა;
- 3) ქვეყნის მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების პერსპექტიული გეგმების დადგენა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მოთხოვნილებათა უზრუნველსაყოფად;
- 4) მიწის მელიორაციის საერთო-საკავშირო ღონისძიებათა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების სხვა ღონისძიებათა გეგმების დადგენა, აგრეთვე ეროზიისაგან, დამლაშებისა და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროექტებისაგან ნიადაგის დაცვის ძირითად დებულებათა დადგენა;
- 5) მიწების გამოყენების სახელმწიფო კონტროლის დაწესება;
- 6) სსრ კავშირისათვის სახელმწიფო აღრიცხვის, მიწათსარგებლობის სახელმწიფო რეგისტრაციის ერთიანი სისტემისა და მიწის კადასტრის წარმოების წესის დადგენა;
- 7) სსრ კავშირის მიწის ყოველწლიური ბალანსის შედგენის წესის დადგენა.

მუხლი 8. საქართველოს სს რესპუბლიკის კომპეტენცია საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში საქართველოს სსრ გამგებლობას მიეკუთვნება ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის განკარგვა რესპუბლიკის ფარგლებში და მისი გამოყენების პერსპექტიული გეგმების დადგენა, მიწით სარგებლობის წესის დადგენა და მიწათმოწყობის ორგანიზაცია მიწების მელიორაციის, ეროზიასთან ბრძოლისა და ნიადაგის ნაყოფიერების გადიდების გეგმების დადგენა, აგრეთვე საადგილმამულო ურთიერთობის სხვა საკითხების მოწესრიგება, თუ ისინი არ შედიან სსრ კავშირის კომპეტენციაში.

მუხლი 9. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კომპეტენცია საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში

საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გამგებლობას მიეკუთვნება ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის განკარგვა ავტონომიური რეს-

ბუბლიკის, ავტონომიური ოლქის ფარგლებში, მიწების გამოყენების წესზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და ხელმძღვანელობა, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. მიწათმოსარგებლენი

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მიწა სარგებლობისათვის მიეცემა:

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

სამრეწველო, სატრანსპორტო, სხვა არასასოფლო-სამეურნეო, სახელმწიფო კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს;

სსრ კავშირის მოქალაქეებს;

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიწა სარგებლობისათვის შეიძლება მიეცეს სხვა ორგანიზაციებსა და პირებსაც.

მუხლი 11. მიწით უსასყიდლო სარგებლობა

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და სსრ კავშირის მოქალაქეებს მიწა ეძლევათ უსასყიდლო სარგებლობისათვის.

მუხლი 12. მიწათსარგებლობის ვადები

მიწა ვაიცემა უვადო ან დროებითი სარგებლობისათვის.

მიწათსარგებლობა ითვლება უვადოდ (მუდმივად), თუ მიწათსარგებლობის ვადა წინასწარ არ არის დადგენილი.

მიწა, რომელიც უკავია კოლმეურნეობებს, მიცემული აქვს მათ უვადო სარგებლობისათვის, ესე იგი სამუდამოდ.

დროებითი მიწათსარგებლობა შეიძლება იყოს მოკლევადიანი — სამ წლამდე ან გრძელვადიანი — სამიდან ათ წლამდე. საწარმოო საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ამ ვადის გაგრძელება იმ პერიოდისათვის, რომელიც არ აღემატება შესაბამისად მოკლევადიანი ან გრძელვადიანი დროებითი მიწათსარგებლობის ვადას. მიწის ნაკვეთებით დროებითი სარგებლობის ვადას აგრძელებენ ის ორგანოები, რომლებმაც გასცეს ეს მიწები.

სამომთაბარო მესაქონლეობის საჭიროებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს მიწის ნაკვეთები შეიძლება მიეცეს ვადით 25 წლამდე.

თავი II

სარგებლობისათვის მიწის გაცემა

სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემა ხორციელდება მიზომების წესით.

სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის მიზომვა ხდება საქართველოს სსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების ან მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე იმ წესით, რომელსაც ადგენს სსრ კავშირის კანონმდებლობა, ეს კოდექსი და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობა.

სარგებლობისათვის მიწის გაცემის შესახებ დადგენილებასა ან გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს მიწის მიზომვის მიზანი და მიწით სარგებლობის ძირითადი პირობები.

მიწის ნაკვეთის სარგებლობისათვის გაცემის შესახებ შუამდგომლობების აღძვრისა და განხილვის წესს ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 14. ორგანოები, რომელთაც აქვთ სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემის უფლება

სარგებლობისათვის მიწის ნაკვეთის გაცემის უფლება აქვთ:

1) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების მუდმივ ან დროებით სარგებლობაში — ყველა მიწიდან ნაკვეთის ოდენობის მიუხედავად;

2) მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობების დროებით სარგებლობაში — კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების მიწებიდან, ამ კოდექსის 58-ე და 67-ე მუხლების შესაბამისად;

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების დროებით სარგებლობაში — მრეწველობის, ტრანსპორტის, სატყეო-სამეურნეო და სხვა არასასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მიწებიდან, ამ კოდექსის 84-ე — 85-ე, 118-ე, 123-ე მუხლების შესაბამისად;

საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესე-

ბულელების მოკლევადიან დროებით სარგებლობაში — სახელმწიფო მარაგის მიწებიდან;

მოქალაქეებისათვის მუდმივ ან დროებით სარგებლობაში — სახელმწიფო მარაგის მიწებიდან, დადგენილი ნორმების შესაბამისად;

3) მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების მუდმივ ან დროებით სარგებლობაში — ქალაქების, დაბების მიწებიდან;

4) მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს

საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მოქალაქეების მუდმივ ან დროებით სარგებლობაში — მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოს უშუალო გამგებლობაში მყოფი მიწებიდან.

სარწყავი და ამოშრობილი მიწების, სახნავის, მრავალწლიანი ხეხილით, ჩაის ბლანტიაციებით და ვენახებით დაკავებული მიწის არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გაცემა წყალამცავი, დამცველი და სხვა პირველი ჯგუფის ტყეებით დაკავებული მიწების ისეთი მიზნისათვის გამოსაყენებლად გაცემა, რაც სატყეო მეურნეობის წარმოებასთან არ არის დაკავშირებული, აგრეთვე საკურორტო ადგილებში და დასასვენებელ ზონებში სანატორიულ-საკურორტო და ტურისტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებების მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა, სარაიონთაშორისო მნიშვნელობის სამომთაბარო მესაქონლეობის საჭიროებისათვის სამოვარი სარგულების გაცემა, მათი ოდენობის მიუხედავად, შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 15. სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთის მიცემა სხვა მიწათმოსარგებლისათვის
სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთის მიცემა სხვა მიწათმოსარგებლისათვის ხდება მხოლოდ ამ ნაკვეთის გამოყოფის შემდეგ იმ წესით, რომელიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის მე-40 და 42-ე მუხლებით.

მუხლი 16. სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ვარგისი მიწების გამოყოფა

მიწები, რომლებიც დადგენილი წესით ვარგისადაა მიჩნეული სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, უნდა გამოეყოს უწინარეს ყოვლისა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის მიწების ვარგისიანობას განსაზღვრავენ ის ორგანოები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას მათი გამოყოფის შესახებ.

მუხლი 17. არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის მიწების გაცემა

სამრეწველო საწარმოების, საცხოვრებელი ობიექტების, რკინიგზებისა და საავტომობილო გზების, ელექტროგადამცემი ხაზებისა და მაგისტრალური მილსადენების მშენებლობისათვის, აგრეთვე სხვა არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის გამოყოფენ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ან სოფლის მეურნეობისათვის უეარგის მიწებს ან დაბალხარისხოვან სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს.

აღნიშნული მიზნისათვის სახელმწიფო სატყეო ფონდიდან მიწის ნაკვეთს გამოყოფენ უპირატესად ტყით დაუფარავი ან ბუჩქნარით თუ მცირე ღირებულების ნარგავებით დაფარული ფართობებიდან.

მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა იმ ფართობზე, სადაც სასარგებლო წიაღისეულია, ხდება სახელმწიფო სამთო ზედამხედველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

ელექტროგადამცემი, კავშირგაბმულობის ხაზები და სხვა კომუნიკაციები ვაკეებზე უმთავრესად გზების, არსებული ტრასების და ა. შ. გასწვრივ.

სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ მიწებს, რომლებიც გამოყოფილია არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის, მიუზომავენ ფაქტიური საჭიროების მიხედვით და, როგორც წესი, მოსავლის აღების შემდეგ.

მუხლი 18. მიწათსარგებლობის უფლების გაფორმებამდე მიწის ნაკვეთით სარგებლობის დაუშვებლობა

აკრძალულია გამოყოფილი მიწის ნაკვეთით სარგებლობა, მანამ, სანამ სათანადო მიწათმომწყობი ორგანოები ამ ნაკვეთის საზღვრებს ადგილზე დაადგენენ და გასცემენ მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 19. უვადო მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი

კომმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა მიწათმოსარგებლეთა უვადო მიწათსარგებლობის უფლება დასტურდება სახელმწიფო აქტით მიწათსარგებლობის უფლების შესახებ, რომელსაც გასცემს მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად ამ აქტების ფორმის ადგენს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 20. დროებითი მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი

დროებითი მიწათსარგებლობის უფლება დასტურდება აქტით მიწით დროებითი სარგებლობის უფლების შესახებ.



აქტის გაცემის წესს, აგრეთვე მის ფორმას აღდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 21. მეორეული მიწათსარგებლობა

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კანონით დადგენილ შემთხვევებში შეუძლიათ მათთვის გამოყოფილი მიწებიდან გასცენ მიწის ნაკვეთები მეორეული სარგებლობისათვის.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად მეორეული მიწათსარგებლობის წესები და პირობები განისაზღვრება სსრ კავშირის კანონმდებლობით, ამ კოდექსის 58-ე, 67-ე, 70-ე, 83-ე, 93-ე, 118-ე, 121-ე, 123-ე მუხლებით და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობით.

მეორეული მიწათსარგებლობის უფლება, თუ სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ არის სხვა წესი, დასტურდება ამონაწერით იმ ორგანოს გადაწყვეტილებიდან, რომელმაც გასცა მიწის ნაკვეთი.

თავი III

მიწათმოსარგებლეთა უფლებები და მოვალეობები

მუხლი 22. მიწის ნაკვეთების მიზნობრივ გამოყენება

მიწათმოსარგებლებებს უფლება აქვთ და ისინი ვალდებული არიან მიწის ნაკვეთი გამოიყენონ იმ მიზნისათვის, რისთვისაც ის არის გაცემული.

მიწათმოსარგებლენი ვალდებული არიან რაციონალურად გამოიყენონ მათთვის მიცემული მიწის ნაკვეთები, თავიანთ ნაკვეთზე არ მოიმოქმედონ ისეთი რამ, რაც შელახავს მეზობელ მიწათმოსარგებლეთა ინტერესებს.

მუხლი 23. მიწის გამოყენების აკრძალვა

არაშრომითი შემოსავლის მისაღებად აკრძალულია მიწის ნაკვეთების გამოყენება არაშრომითი შემოსავლის მისაღებად

მუხლი 24. მიწათმოსარგებლეთა უფლებები

სარგებლობისათვის გამოყოფილი მიწის თითოეული ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად მიწათმოსარგებლებებს უფლება აქვთ დადგინონ წესით:

ააგონ საცხოვრებელი, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობები და ნაგებობანი;

დათესონ სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გააშენონ ტყე, ხეხილი, დეკორატიული და სხვა ნარგავები;

ისარგებლონ სათიბებით, საძოვრებითა და სხვა სავარგულებით;

აწარმოონ სარწყავი, ამოსაშრობი და სხვა

სამელიორაციო სამუშაოები, მოაწყონ სატბორეები და სხვა წყალსატევები;

გამოიყენონ მეურნეობის საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთებზე არსებული საერთოდ გაურცელბული სასარგებლო წიაღისეული, ტორფი და წყლის ობიექტები, აგრეთვე ისარგებლონ მიწის სხვა სასარგებლო თვისებებით.

მიწათმოსარგებლეთა უფლებები შეიძლება კანონით შეიზღუდოს სახელმწიფო ინტერესებისა და, აგრეთვე, სხვა მიწათმოსარგებლეთა ინტერესებისათვის.

მუხლი 25. მიწათმოსარგებლეთა უფლებების დაცვა

მიწათმოსარგებლეთა უფლებები დაცულია კანონით.

მიწათმოსარგებლეთა დარღვეული უფლებები აღდგენილ უნდა იქნეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

მიწათმოსარგებლისათვის მიყენებული ზარალი უნდა ანაზღაურდეს.

მუხლი 26. მიწების გავარგისება მათი შემდგომი გამოყენებისათვის

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც სასარგებლო წიაღისეულს ამუშავებენ ან მიწისქვეშა წესით ეწყვიან სამუშაოებს მათთვის დროებით სარგებლობისათვის მიცემულ სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ან ტყის სავარგულებზე, მოვალენი არიან თავიანთ ხარჯზე გაავარგისონ მიწის ნაკვეთები ისე, რომ გამოსადეგი იყოს სატყეო თუ სათევზე მეურნეობისათვის, ხოლო აღნიშნულ სამუშაოთა სხვა მიწებზე წარმოების დროს — დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. მიწის ნაკვეთების გავარგისება ხდება სამუშაოთა წარმოების დროს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, არაუგვიანეს ერთი წლისა სამუშაოთა დამთავრების შემდეგ.

შემდგომ გამოყენებისათვის მიწების გავარგისების პირობებს განსაზღვრავს ის ორგანო, რომელიც გასცემს მიწის ნაკვეთს.

მუხლი 27. ნიადაგის ნაყოფიერი ფენის შენახვა

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებანი, რომლებიც ახორციელებენ სამრეწველო ან სხვა მშენებლობას, ღია წესით ამუშავებენ სასარგებლო წიაღისეულის საბადოებს, აგრეთვე აწარმოებენ ნიადაგის საფარის დარღვევასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებს, მოვალენი არიან მოაცილონ ნაკვეთს და შეინახონ ნიადაგის ნაყოფიერი ფენა იმ მიზნით, რომ იგი გამოყენებული იქნეს მიწების რეკულტივაციისა და მცირე პროდუქტიულო სავარგულების ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცილების, შენახვისა და გამოყენების პირობებს განსაზღვრავს ის ორგანო, რომელიც გასცემს მიწის ნაკვეთს.

მუხლი 28. სამიჯნე ნიშნებისა და სასაზღვრო ხაზების დაცვა

მიწათმოსარგებლენი მოვალენი არიან დაიცვან და მოწესრიგებული ჰქონდეთ სამიჯნე ნიშნები და სასაზღვრო ხაზები.

თავი IV

მიწების დაცვა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება

მუხლი 29. მიწების დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების ღონისძიებანი

მიწათმოსარგებლენი ვალდებული არიან განახორციელონ ეფექტური ღონისძიებანი მიწების დაცვისა და ნიადაგის ნაყოფიერების ასამღლებლად, განახორციელონ ორგანიზაციულ-სამეურნეო, აგროტექნიკურ, სატყეო-სამელიორაციო და ჰიდროტექნიკურ ღონისძიებათა კომპლექსი ნიადაგის ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის თავიდან ასაცილებლად, არ დაუშვან მიწების გაჭუჭყიანება, დამლაშება, დაჰობება, სარეველების გავრცელება და აგრეთვე სხვა პროცესები, რომლებიც აურასებენ ნიადაგების მდგომარეობას.

მიწების შელიორაციისა და დაცვის, მიწ-დორსადავი ტყის გაუმენების, ნიადაგის ეროზიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები და სხვა ზომები, რომელთა მიზანია მიწების ძირეული გაუმჯობესება, გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით და მათ ახორციელებენ შესაბამისი სამინისტროები, უწყებები და მიწათმოსარგებლენი.

მუხლი 30. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სპეციალური დაცვა

სპეციალურ დაცვას ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, განსაკუთრებით კი სარწყავი და ამომზრობილი მიწები. კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით სარგებლობენ, მოვალენი არიან დაიცვან, აღადგინონ და აამალონ ნიადაგის ნაყოფიერება.

ძლიერი ეროზიით დაზიანებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ნიადაგის ნაყოფიერების აღდგენამდე შეიძლება დროებით იქნეს ამორიცხული ინტენსიური სარგებლობიდან მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 31. ნიადაგის დაცვა წყლისმიერი და

ქარისმიერი ეროზიისაგან და დაჰობებისაგან
აგროტექნიკური და ტყის საქსპლუატაციო სამუშაოების, საგზაო, ჰიდროტექნიკური და სხვა სახის მშენებლობის განხორციელებისას აკრძალულია ისეთი ხერხებისა და მეთოდების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ ნიადაგის წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, დაჰობების და ნიადაგის ნაყოფიერების შემამცირებელი სხვა პროცესების განვითარებას.

მუხლი 32. მიწათმოსარგებლეთა მოვალეობა და დაცვან საკვები სავარგულები

მიწათმოსარგებლენი, რომელთა სარგებლობაში იმყოფება საკვები სავარგულები, მოვალენი არიან მიიღონ ზომები მათ გასაუმჯობესებლად. ამ მიზნით პირუტყვის ძოვება და სათიბების გამოყენება უნდა ხდებოდეს ბალახის ზრდის ვადისა და ნიადაგის მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველა საკვები სავარგულის თანაბარი გამოყენების გზით.

მუხლი 33. ნიადაგის დაცვა სარეველების, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებებისაგან

ყველა მიწათმოსარგებლე მოვალეა ებრძოდეს სარევეებს, სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მავნებლებსა და დაავადებებს შინდვრებში, ბაღებში, ბოსტნებში, მდელოებსა და სძოვრებზე, პარკებში და სკვერებში, საავტომობილო გზებისა და რკინიგზების, ვახსადენისა და ნავთობსადენების განსვინების ზოლებში, მაღალძაბვიანი ქვესადგურებისა და ხაზების ტერიტორიებზე, საკარმიდამო ნაკვეთებზე.

მუხლი 34. მიწის დაცვა გაჭუჭყიანებისაგან
სამრწყველო და სამშენებლო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან არ დაუშვან სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწის გაჭუჭყიანება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, აგრეთვე ჩამდინარე წყლებით.

მუხლი 35. მიწათმოსარგებლეთა წახალისება
მიწის დაცვის, ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა და გამოუყენებელი მიწის სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოქცევის ღონისძიებათა განსახორციელებლად, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დაწესდეს მიწათმოსარგებლეთა მატერიალური წახალისების ზომები.

თავი V

მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტა

მუხლი 36. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები



საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლება მათთვის გამოყოფილ მიწაზე შეწყდება შესაბამისად, მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევებში, თუ:

- 1) ვანვლო მიწის ნაკვეთით სარგებლობის საჭიროებაში;
- 2) გავიდა გამოყოფილი მიწის ნაკვეთით სარგებლობის ვადა;
- 3) მოხდა საწარმოს, ორგანიზაციის ან დაწესებულების ლიკვიდაცია;
- 4) წარმოიშვა მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის აუცილებლობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის;
- 5) გამოყოფილი მიწის ნაკვეთი აუთვისებელია ზედიზედ ორი წლის განმავლობაში;
- 6) მოხდა საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის რეორგანიზაცია ან მათი საწარმოო პროფილის შეცვლა, რაც იწვევს მიწის ნაკვეთის ოდენობის შემცირებას;
- 7) სანიტარულ-ჰიგიენური მიზეზებით აუცილებელია საწარმოს ვადატანა, საცხოვრებელი რაიონის ფარგლებს გარეთ;
- 8) მიწის ნაკვეთს გადასცემენ სხვა მიწათმოსარგებლეს სათანადო სახელმწიფო ორგანოს ნებართვის გარეშე.

მიწათსარგებლობის უფლება შეწყდება აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთი გამოყენებულია არა იმ მიზნით, რისთვისაც ის იყო გაკეფილი, ან თუ მიწა გამოყენებულია უპაირობოდ.

მუხლი 37. საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწათსარგებლობის უფლება შეწყდება, გარდა ამ კოდექსის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, იმ ორგანოს გადაწყვეტილებით, რომელმაც გასცა მიწის ნაკვეთი. გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის ვადა, განისაზღვროს მიწის ნაკვეთის შემდგომი გამოყენება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მასზე განლაგებული შენობების, ნაგებობების, ნათესებისა და ნარგავების გამოყენების პირობები.

მუხლი 38. მოქალაქეთა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძვლები

მოქალაქეთა უფლება ისარგებლონ მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთით შეწყდება შესაბამისად, მთლიანად ან ნაწილობრივ იმ შემთხვევებში, თუ:

- 1) ისინი ნებაყოფლობით განაცხადებენ უარს მიწის ნაკვეთით სარგებლობაზე;

- 2) გავიდა გამოყოფილი მიწის ნაკვეთით სარგებლობის ვადა;

- 3) კომლის ან ოჯახის ყველა წევრი გადასახლდა სხვა მუდმივ საცხოვრებელ ადგილას;

- 4) შეწყდა შრომითი ურთიერთობა, რომლის გამო გამოყოფილი იყო სასამსახურო მიწის ნაკვეთი, თუ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

- 5) გარდაიცვალა კომლის ან ოჯახის ყველა წევრი;

- 6) წარმოიშვა მიწის ნაკვეთის გამოყოფის აუცილებლობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის.

მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება შეიძლება შეწყდეს მოქალაქის მიერ ამ კოდექსის 151-ე 154-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედობის ჩადენის შემთხვევაში, აგრეთვე მიწის ნაკვეთის ზედიზედ ორი წლის განმავლობაში გამოუყენებლობის გამო ან მისი არა იმ მიზნით გამოყენებისათვის, რისთვისაც იგი იქნა გამოყოფილი.

მოქალაქის მიწათსარგებლობის უფლება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, თუ მიწა გამოყენებულია არაშრომითი შემოსავლის მისაღებად.

მუხლი 39. მოქალაქეთა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის წესი

მოქალაქეთა მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტა, გარდა ამ კოდექსის 38-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ხდება მიწის ნაკვეთის გამოყოფი ორგანოს გადაწყვეტილებით. გადაწყვეტილებაში უნდა აღინიშნოს მიწათსარგებლობის უფლების შეწყვეტის ვადა, განისაზღვროს მიწის ნაკვეთის შემდგომი გამოყენების, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — მასზე განლაგებული შენობების, ნაგებობების, ნათესებისა და ნარგავების გამოყენების პირობები.

თავი VI

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის გამოყოფა

მუხლი 40. სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის წესი

სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის ან მისი ნაწილის გამოყოფა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების

ან შესაბამისი მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე. სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობითი დადგენილი წესით.

მუხლი 41. ორგანოები, რომლებსაც აქვთ მიწის ნაკვეთების გამოყოფის უფლება

სახელმწიფო ან სასოგადოებრივი საქიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის უფლება აქვთ:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს — ყველა მიწებიდან;

მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტებს — ქალაქის, დაბების მიწებიდან ამ კოდექსის 94-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 42. სახელმწიფო ან სასოგადოებრივი საქიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის პირობები

ნაკვეთების ჩამორთმევა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სარგებლობაში არსებული მიწებიდან, აგრეთვე კულტურული ან სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე მიწებიდან, დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევებში.

სარწყავი და ამოშრობილი მიწების, სახნავის, მრავალწლიანი ხეხილით, ვენახებით და ჩაის პლანტაციებით დაკავებული მიწის ნაკვეთების გამოყოფა არასასოფლოსამეურნეო საქიროებისათვის, აგრეთვე წყალამცავი, დამცავი და სხვა პირველი ჯგუფის ტყეებით დაკავებული მიწის ჩამორთმევა ისეთი მიზნისათვის, რაც დაკავშირებული არ არის ტყის მეურნეობის წარმოებასთან, ხდება განსაკუთრებულ შემთხვევაში და მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც დაინტერესებული არიან არასასოფლოსამეურნეო საქიროებისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფით, ვალდებული არიან სპირიტო საქმეში საშუალოა დაწყებამდე წინასწარ შეუთანხმონ მიწათმოსარგებლებს და მიწის გამოყენებაზე სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს ობიექტის განლაგების ადგილი და გამოსაყოფად გამიზნული ფართობის დახლოებითი ზომა.

კოლმეურნეობის სარგებლობაში არსებული მიწიდან ნაკვეთის გამოყოფა შეიძლება მხოლოდ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების თანხმობით. ხოლო იმ მიწებიდან ნაკვეთების გამოყოფა, რომლებიც სარგებლობისათვის გადაცემული აქვთ საბჭოთა მეურნეობებს, საქავშირო ან რესპუბ-

ლიკური დაქვემდებარების სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, სასოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს — მიწათმოსარგებლებთან და სსრ კავშირის, საქართველოს სსრ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის მინისტრატებთან ან უწყებებთან შეთანხმებით.

თავი VII

საგამოკვლევო სამუშაოებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყენება

მუხლი 43. საგამოკვლევო სამუშაოებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყენების წესი

საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ გეოლოგიური ავგემვის, ძებნიის, ვეოდეზიურ და სხვა საგამოკვლევო სამუშაოებს, შეუძლიათ ეს სამუშაოები აწარმოონ ყველა მიწაზე, მიწათმოსარგებლებთან მიწის ნაკვეთების გამოუყოფლად, იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

აღნიშნულ სამუშაოთა დაწყების ვადა და ადგილი უნდა შეუთანხმდეს მიწათმოსარგებლებს, ხოლო თუ შეთანხმება არ იქნა მიღწეული, მათ განსაზღვრავენ შესაბამისი მშრომელთა დებუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები.

მიწის ნაკვეთებზე საგამოკვლევო სამუშაოების ჩატარების ნებართვის იძლევა შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. ვადით არა უმეტეს ერთი წლია.

მუხლი 44. იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უფლებები, რომლებიც ახორციელებენ საგამოკვლევო სამუშაოებს

საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს, რომლებიც ასრულებენ საგამოკვლევო სამუშაოებს, უფლება აქვთ დადგინილი წესით ჩაატარონ გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები, აავონ დროებითი ტიპის შენობები და ნაგებობანი საწარმოო, საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქიროებისათვის, გამოიყენონ სამეურნეო საქიროებისათვის საერთოდ გავრცელებული სასარგებლო წიაღისეული და წყალთა ობიექტები.

მუხლი 45. იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მოვალეობები, რომლებიც ახორციელებენ საგამოკვლევო სამუშაოებს

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ასრულებენ ამ კოდექსის



43-ე მუხლში გათვალისწინებულ სამუშაოებს, მოვალენი არიან დაკავებული მიწის ნაკვეთები თავისი ხარჯით გაავარგისონ დანიშნულები-სამებრ გამოსაყენებლად. მიწის ნაკვეთების გავარგისება ხდება სამუშაოთა წარმოების დროს, ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, ერთ თვე-ში მაინც სამუშაოთა დამთავრების შემდეგ ნიადაგის გაყინვის პერიოდის ჩათვლელად.

აღნიშნული სამუშაოების წარმოების დროს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებუ-ლებები მოვალენი არიან მიიღონ ზომები მი-წების, ნათესების, ნარგავების, ტყეების, წყლე-ბისა და სხვა ბუნებრივი ობიექტების, აგრეთ-ვე წყალსადენის, გაზსადენების, კანალიზაციის, სამელიორაციო სისტემებისა და სხვა ნაგებო-ბების დაცვის უზრუნველსაყოფად.

თავი VIII

მიწათმოსარგებლეთათვის ზარალისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანაკარგის ანაზღაურება

მუხლი 46. მიწათმოსარგებლეთაგან მიწის ნაკვეთების გამოყოფის ან მათი დროებით და-კავების შედეგად მიყენებული ზარალის ანაზ-ღაურება

მიწათმოსარგებლებს უნდა აუნაზღაურდეთ ის ზარალი, რომელიც გამოწვეულია სახელმ-წიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის ან დროებით დაკავების შედეგად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკე-ბის მიწის კანონმდებლობის საფუძვლების თა-ნახმად საწარმოები, ორგანიზაციები და დაწე-სებულებები, რომლებსაც მიზომილი აქვთ მიწის ნაკვეთები, მიწათმოსარგებლებისათვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებენ შესაბამისი დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავ-შირის მინისტრთა საბჭო.

მუხლი 47. არასასოფლოსამეურნეო საჭიროე-ბისათვის მიწების გამოყოფასთან დაკავშირე-ბული სასოფლო-სამეურნეო წარმოების დანა-კარგების ანაზღაურება

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულე-ბები, რომლებსაც მშენებლობისა და სხვა არა-სასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის მიზო-მილი აქვთ სასოფლო-სამეურნეო სავარგულე-ბი, ანაზღაურებენ ამ ნაკვეთების გამოყოფას-თან დაკავშირებულ სასოფლო-სამეურნეო წარ-მოების დანაკარგებს (გარდა მიწათმოსარგებ-ლეთა იმ ზარალისა, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 46-ე მუხლით).

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკე-ბის მიწის კანონმდებლობის საფუძვლების თა-ნახმად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასა-

ნაზღაურებელი დანაკარგის განსაზღვრის წეს-სა და ოდენობას, აგრეთვე შესაბამისი სახს-რების გამოყენების წესს, ადგენს სსრ კავში-რის მინისტრთა საბჭო.

თავი IX

მიწის გამოყენების სახელმწიფო კონტროლი

მუხლი 48. მიწის გამოყენების სახელმწიფო-კონტროლის ამოცანები

მიწის გამოყენების სახელმწიფო კონტრო-ლის ამოცანაა უზრუნველყოს სამინისტროე-ბის, უწყებების, სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციე-ბისა და დაწესებულებების, აგრეთვე მოქა-ლაქეების მიერ მიწის კანონმდებლობის შეს-რულება, მიწათსარგებლობის წესის, მიწის კა-დასტრისა და მიწათმოწყობის წარმოების სის-წორე მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის მიზნით.

მუხლი 49. მიწის გამოყენების სახელმწიფო-კონტროლის განმახორციელებელი ორგანოები

მთელი მიწების გამოყენების სახელმწიფო-კონტროლს ახორციელებენ მშრომელთა დე-პუტატების საბჭოები, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოები, აგრეთვე საამისოდ სპეციალურად უფლებამოსილი სა-ხელმწიფო ორგანოები, სსრ კავშირის კანონ-მდებლობით დადგენილი წესით.

პ ა რ ო II

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები

თავი X

ძირითადი დებულებანი

მუხლი 50. სასოფლო-სამეურნეო დანიშნუ-ლების მიწები

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწად ითვლება ყველა მიწა, რომელიც გამოყოფილია სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის ან განკუთვნილია ამ მიზნისათვის.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს იყენებენ სოციალისტური სასოფლო-სამეურ-ნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესე-ბულებანი სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმების შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე სახალხო მეურნეობის ზრდადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

მუხლი 51. მაღალპროდუქტიული მიწებისა და სავარგულთა ფართობების ცვლა

მიწათმოსარგებლები ზომებს უნდა იღებდ-ნენ მაღალპროდუქტიული მიწის ფართობების გასაღიღებლად გამოუყენებელი და მცირებრო-

დუქტიული მიწების სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოქცევის გზით.

სარწყავი, ამოშრობილი და სახნავი მიწების, მრავალწლიანი ხეხილის ბაღებისა და ვენახების, ჩაის პლანტაციების, აგრეთვე სხვა მაღალპროდუქტიულ სავარგულთა ფართობების შემცირება, მათ შორის მათი გადატანა ნაკლებად პროდუქტიული სავარგულების ჯგუფში დაღმევიელია გარდა განსაკუთრებული აუცილებლობისა და ხდება მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 52. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაცემა სარგებლობისათვის

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები უვადო სარგებლობისათვის ეძლევათ:

- 1) კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო, კოლპრაქციულ, საზოგადოებრივ საწარმოებსა და ორგანიზაციებს — სოფლის მეურნეობის საწარმოებლად;
- 2) სამეცნიერო-კვლევით, სასწავლო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებებს — სხველ კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად, სოფლის მეურნეობაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების პრაქტიკული გამოყენებისა და გავრცელებისათვის, აგრეთვე საწარმოო მიზნებისათვის;
- 3) არასასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს — დამხმარე სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის;
- 4) მოქალაქეებს — პირადი მეურნეობის წარმოებისათვის დაქირავებული შრომის გამოუყენებლად;
- 5) საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს კოლექტიური მეზღობისა და მეზობლანობისათვის შეიძლება მიეცეს მიწის ნაკვეთები ამ კოდექსის 84-ე-88-ე მუხლებით დადგენილი წესითა და პირობებით.

ამ მუხლში აღნიშნული უვადო სარგებლობისათვის მიცემული მიწების გარდა მიწათმოსარგებლებებს მიწა შეიძლება მიეცეს დროებითი სარგებლობისათვის.

მუხლი 53. მიწათმოსარგებლობის საზღვრებისა და ოდენობის შეცვლის პირობები

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-საძიებო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების მიწათმოსარგებლობის საზღვრებისა და ოდენობის შეცვლა მეურნეობათა შეერთებისა და გაყოფის, მიწათმოსარგებლეთა შორის მიწის გადაწოდების დროს შეიძლება მოხდეს დადგენილი წესით დამტკიცებული მიწათმოწყობის მე-

ნიერულად დასაბუთებული პროექტების საფუძველზე.

მუხლი 54. მიწათმოსარგებლობის საზღვრებისა და ოდენობის შეცვლა მეურნეობათა შეერთების ან გაყოფის დროს

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების და ორგანიზაციების, აგრეთვე სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო-საძიებო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების დადგენილი წესით შეერთების დროს მათი მიწის ნაკვეთი მშრომელთა დებუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით გაერთიანდება ერთიან მიწის მასივად, რომელიც მიწათმოსარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტით მიემარება ახლად შექმნილ მეურნეობას.

ჩამოთვლილი მეურნეობების დადგენილი წესით გაყოფის შემთხვევაში მათს სარგებლობაში მყოფი მიწის ნაკვეთები მშრომელთა დებუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით დანაწილდება ახლად შექმნილ მეურნეობებს შორის, და მიემარება მათ მიწათმოსარგებლობის უფლების სახელმწიფო აქტით.

მუხლი 55. მიწების გადაწოდება მიწათმოსარგებლეთა შორის

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მიწათმოსარგებლეთა შორის სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწების გადაწოდებას ახდენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 56. მიწათმოსარგებლეთა მოვალეობანი სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენებისას

კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებით, მოვალენი არიან მეცნიერების მიღწევების და მოწინავე გამოცდილების საფუძველზე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით:

- 1) შეიტანონ ორგანიზაციულ-სამეურნეო მოწყობის გეგმებსა და საწარმო-საფინანსო გეგმებში ნიადაგის ნაყოფიერების გადიდებისა და მიწის რაციონალურად გამოყენების კონკრეტული ღონისძიებანი;
- 2) დანერგონ ზონალური პირობებისა და მეურნეობის სპეცილობის შესაბამისად, მიწათმოქმედების ყველაზე ეფექტიანი სისტემები, უზრუნველყონ მეურნეობის დარგების ეკონომიურად ხელსაყრელი შეხამება, შემოიღონ და აითვისონ თესლბრუნვა, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მოაქციონ გამოუყენებელი მიწები;



3) განავითარონ მიწების მორწყვა, ამოშრობა და გაწყლიანება, გააუმჯობესონ მდელოები და საძოვრები, გააკვირიანონ და გაათაბა-შირიანონ ნიადაგი;

4) მიიღონ ზომები ნიადაგის ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის, მეწყერების, მიწების დატოვებისა და დამლაშების წინააღმდეგ, გააშენონ მინდორსაცავი ნარგავები, ტყეები და შეამაგრონ ქვიშრობები, ხეხვები და ფლატეები, მდინარეთა და წყალსატების ნაპირები, არ დაუშვან ნიადაგის გაჭუჭყიანება;

5) გაწმინდონ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ქვებისაგან, ბუჩქ-ჭაგანარისაგან, იბრძოლონ სარეველების, სასოფლო-სამეურნეო მცენარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ.

მუხლი 57. შიდასამეურნეო მშენებლობის ობიექტების განლაგება

კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების შიდასამეურნეო მშენებლობის ობიექტები განლაგებულ უნდა იქნეს რაიონული დაეგეგმარების დამტკიცებული სქემის, შიდასამეურნეო მიწათმოწყობის, მორწყვისა და ამოშრობის პროექტების და დასახლებული პუნქტების განაშენიანების გენერალური გეგმების შესაბამისად. ამ დოკუმენტების უქონლობისას შიდასამეურნეო მშენებლობის ობიექტების განლაგების ადგილს განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სარწყავი, ამოშრობილი და სახნავი მიწების, აგრეთვე შრავალწლიანი ხეხილის ბაღის, ჩაის პლანტაციებისა და ვენახის ფართობების გამოყენება იმ ობიექტების მშენებლობისათვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან დაკავშირებული სოფლის მეურნეობის წარმოებასთან, შეიძლება განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში და მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 58. მიწათმოსარგებლეთა მიერ სხვა მიწათმოსარგებლეთათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების დროებით გამოსაყენებლად გადაცემის წესი და პირობები

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებიც დროებით არ სარგებლობენ მათთვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაწილით. შეუძლიათ ეს სავარგულები დროებით სარგებლობისათვის გადასცენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო, თუ მას ექვემდებარება სადაზო ან სასოფლო საბჭო) საბჭოს აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა მეურნეობებს, რომლებსაც ეს სავარგულები სჭირდებათ. რაიონული (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მიუთითებს მიწის ნაკვეთის ოდენობას, აგრეთვე მიწის ნაკვეთით სარგებლობის ვადასა და პირობებს.

მეურნეობა, რომელიც აღნიშნული წესის დაცვით ვარკვეული ვადით მიიღებს მიწის ნაკვეთს, მიწათმოსარგებლეს უნაზღაურებს ამოუვებელ ხარჯებს მიწათსარგებლობის დროის შესაბამისად.

ერთი მეურნეობიდან სხვა მეურნეობისათვის მიწის სავარგულების ნაწილის მუდმივ სარგებლობაში გადაცემა დასაშვებია ამ კოდექსის მე-13 — მე-19 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

თავი XI

კოლმეურნეობათა მიწათსარგებლობა

მუხლი 59. კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ მიწების შემადგენლობა

მიწები, რომლებიც კოლმეურნეობებს მიეცემული აქვთ უვადო (სამუდამო) სარგებლობისათვის სახელმწიფო აქტით, შედგება საზოგადოებრივი სარგებლობისა და საკარმიდამო მიწებისაგან. საკარმიდამო მიწები საზოგადოებრივი სარგებლობის მიწებისაგან ვაიმიჯნება ადგილზე.

მუხლი 60. კოლმეურნეობის მიწების შიდასამეურნეო გამოყენება

კოლმეურნეობისათვის მიმაგრებული მიწების შიდასამეურნეო გამოყენება ხორციელდება კოლმეურნეობის წესდების, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობის, ამ კოდექსის და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივი სარგებლობის მიწები გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, საზოგადოებრივი დოვლათის ვადიდების, კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და სხვა საქმიანობისათვის.

კოლმეურნეობის საკარმიდამო მიწებს იყენებენ კოლმეურნეობის წევრების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მუშების, მოსამსახურეების და ამ კოდექსის 75-ე და 76-ე მუხლებში აღნიშნული სხვა მოქალაქეებისათვის. საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მისაცემად.

თუ საკარმიდამო მიწები არ არის საკმარისი, საკოლმეურნეო კომლექსისათვის კოლმეურნეობის წესდებით გათვალისწინებული ნორმების

შესაბამისად გამოსაყოფი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მისაცემად დასაშვებია საკარმიდამო მიწის ფართობის გადიდება საზოგადოებრივი სარგებლობის მიწების ხარჯზე კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 61. მეთევზეობის კოლმეურნეობის მიწათსარგებლობა

მეთევზეობის კოლმეურნეობისათვის უვადო სარგებლობაში მიცემულ მიწას იყენებენ კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის წარმოების, კოლმეურნეობის საწარმოო, საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების განლაგების, საკოლმეურნეო კომპლექსისათვის საკარმიდამო ნაკვეთის მისაზომად, აგრეთვე კოლმეურნეობის წევრთა ბირადი საკუთრების პირუტყვის საკვებითა და საძოვრებით უზრუნველსაყოფად.

მეთევზეობის კოლმეურნეობის მიწების შეიღობისათვის გამოყენება ხორციელდება მისი წესდების საფუძველზე სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძველებსა და სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობის, სრებითვე ამ კოდექსისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი XII

საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწათსარგებლობა

მუხლი 62. საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწების შემადგენლობა

მიწები, რომლებიც მიცემული აქვთ სარგებლობისათვის საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, შედგება ძირითადი (საწარმოო) დანიშნულების და საკარმიდამო მიწებისაგან.

მუხლი 63. მიწის ნაკვეთების მიმაგრება საწარმოო ქვეგანყოფილებაზე

მიწის ნაკვეთები საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში წიემიარება მეურნეობის საწარმოო ქვეგანყოფილებს, რომლებიც მათ იყენებენ სოფლის

მეურნეობის საწარმოებლად შეიღობისათვის მიწათმოწყობის დამტკიცებელი პროექტის მიხედვით.

მუხლი 64. საკარმიდამო მიწის გამოყოფა

იმ მიწებიდან, რომლებიც მიცემული აქვთ სარგებლობისათვის საბჭოთა მეურნეობებსა თუ სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციასა და დაწესებულებას სოფლის მეურნეობის საქირებისათვის. შეიღობისათვის მიწათმოწყობის დამტკიცებელი პროექტების შესაბამისად გამოიყოფა და აღიგლებს დანიშნება საკარმიდამო მიწების, განკუთვნილი მუშეებისა და მოსამსახურებისათვის საკარმიდამო ნაკვეთების მისაზომად.

მუხლი 65. საკარმიდამო მიწის ფართობის გადიდების წესი

თუ მუშათა და მოსამსახურეთა საკარმიდამო ნაკვეთებით უზრუნველსაყოფად არ არის საკმარისი საკარმიდამო მიწა, მეურნეობათა ხელმძღვანელების შუამდგომლობით შეიძლება ამ მიწის ფართობის გადიდება, შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ნებართვით.

თავი XIII

სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების მიწათსარგებლობა

მუხლი 66. სამეცნიერო-კვლევითი, სასწავლო და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებების მიწათსარგებლობა

სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, სასწავლო და საცდელი სადგურები, ექსპერიმენტული მეურნეობები სასწავლო დაწესებულებები და სხვა სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებები მათთვის მიცემულ მიწებს იყენებენ დადგენილი წესით დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი, საცდელი და სასწავლო სამუშაოების გეგმებისა და პროგრამების, აგრეთვე საწარმოო საქმიანობის გეგმების შესაბამისად.

მუხლი 67. კოლმეურნეობათა შორის, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიწათსარგებლობა

კოლმეურნეობათა შორის, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთები სარგებლობისათვის ეძლევათ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა საწარმოებლად და გადასამუშავებლად, საერთოდ გავრცელებული



ბული სასარგებლო წიაღისეულის მოსაპოვებლად თუ სხვა საჭიროებისათვის ამ საწარმოსა და ორგანიზაციის სამეურნეო გეგმების შესაბამისად.

მუხლი 68. კოლმეურნობათაშორის, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მიწის საარგებლობაში მიცემის წესი
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების კოლმეურნობათაშორის ორგანიზაციებს და საწარმოებს (კოლმეურნობათაშორის მეფრინველეობის ფერმებს, გამოსაყვებ პუნქტებს და ა.შ.) მიწის ნაკვეთები მიეცემათ იმ კოლმეურნობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, რომლის მიწაზეც არსდება საწარმო ან ორგანიზაცია. ამ გადაწყვეტილებას ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების კოლმეურნობათაშორის საწარმოებს და ორგანიზაციებს (კოლმეურნობათაშორის სამშენებლო ორგანიზაციებს, სამშენებლო მასალების საწარმოებს და ა.შ.) მიწის ნაკვეთები გაერთიანების მონაწილე კოლმეურნობათა მიწებიდან მიეცემათ სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, მიწების გამოყოფის საერთო წესის მიხედვით.

კოლმეურნობათაშორის, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციულ საწარმოებს და ორგანიზაციებს მიწის ნაკვეთები აკრებთვე შეიძლება მიეცეს სახელმწიფო მარაგის, სახელმწიფოს ტყის ფონდის და სხვა მიწებიდან საერთო საფუძველზე.

თავი XIV

არასასოფლოსამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწათსარგებლობა

მუხლი 69. არასასოფლოსამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწათსარგებლობა

არასასოფლოსამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, მათს სარგებლობაში მიცემულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს იყენებენ დამხმარე მეურნეობისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მიზნით, აღნიშნული საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მუშებისა და მოსამსახურეების, სასაიდოების, სკოლების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების, მოხუცთა და იწვალადთა სახლების, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების და ა. შ. მომარაგებისათვის.

თავი XV
საკოლმეურნეო კომლის მიწათსარგებლობა

მუხლი 70. საკოლმეურნეო კომლის უფლებათა საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე

თითოეულ საკოლმეურნეო კომლს უფლება აქვს საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე, რომელსაც მას მისცემენ კოლმეურნეობის წესდებით გათვალისწინებული წესისა და ნორმების შესაბამისად.

საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ეძლევა საცხოვრებელი სახლის, სამეურნეო ნაგებობების ასაშენებლად და დამხმარე სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, ნაკვეთის ზომაში ითვლება ნაგებობებით დაკავებული ფართობიც.

საკარმიდამო ნაკვეთი არ შეიძლება სარგებლობისათვის გადაეცეს სხვა პირს და დამუშავებულ იქნეს დაქირავებული შრომის გამოყენებით.

მუხლი 71. საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიცემის წესი

საკოლმეურნეო კომლისათვის საკარმიდამო ნაკვეთის მიცემა ხდება კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და მისი ოდენობა განისაზღვრება კომლის წევრთა რაოდენობისა და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში მათი შრომითი მონაწილეობის გათვალისწინებით.

სასოფლო დასახლებული პუნქტის კომპაქტური განაშენიანების განხორციელებისას კოლმეურნეობა გამოუყოფს კოლმეურნეებს საკარმიდამო ნაკვეთს მათი საცხოვრებელი სახლების (ბინების) მახლობლად ნაკლები ოდენობით, ხოლო მიწის ნაკვეთის დანარჩენ ნაწილს კი გამოუყოფს დასახლებული პუნქტის საცხოვრებელი ზონის ფარგლებს გარეთ. ამასთან ერთად საკოლმეურნეო კომლისათვის სარგებლობაში გამოყოფილი მიწის ფართობის საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს კოლმეურნეობის წესდებით გათვალისწინებულ საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობას.

მუხლი 72. საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიცემა საკოლმეურნეო კომლის გაყრისას (გაყოფისას)

საკოლმეურნეო კომლის გაყრისას (გაყოფისას), რაც რეგისტრირებულია მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში ახლად შექმნილ საკოლმეურნეო კომლს მიწის ნაკვეთს აძლევს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება იმ წესით და იმ ნორმების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია კოლმეურნეობის წესდებით.

**მუხლი 73. საკომეურნეო კომლისათვის
საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის
უფლების შენარჩუნება**

მიზომილი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება უნარჩუნდება საკომეურნეო კომლს, რომლის ერთადერთი შრომისუნარიანი წევრი გაწვეულია სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალების რიგებში ნამდვილ ვაღიან სამხედრო სამსახურში ან იმყოფება არჩევითს თანამდებობაზე, სწავლობს, დროებით გადავიდა სხვა სამუშაოზე კოლმეურნეობის თანხმობით ან ორგანიზებული შერგოვების წესით, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საკომეურნეო კომლის შემადგენლობაში დარჩნენ მხოლოდ არასრულწლოვანები.

საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება უნარჩუნდება აგრეთვე იმ საკომეურნეო კომლს, რომლის ყველა წევრმა დაკარგა შრომის უნარი მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო.

იმ კოლმეურნეობის მართონელა მოხუც და შრომისუუნარო წევრს, რომელიც საბჭოთა მეურნეობად და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოდ გარდაიქმნა, სიცოცხლის განმავლობაში უნარჩუნდება ის საკარმიდამო მიწის ნაკვეთი, რომლითაც სარგებლობდა კოლმეურნეობაში.

ყველა სხვა შემთხვევაში საკარმიდამო ნაკვეთის შენარჩუნების საკითხს წყვეტს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება.

**მუხლი 74. საკომეურნეო კომლთა უფლება
საძოვრებით სარგებლობისა**

კოლმეურნეობის წესდების შესაბამისად საკომეურნეო კომლთა ბირტუყვისათვის გამოყოფენ საძოვრებს.

კოლმეურნეთა პირადი საკუთრების ბირტუყვის საკვებით უზრუნველსაყოფად საკომეურნეო კომლს თივის დამზადებისათვის გამოუყოფენ ნაკვეთს სახელმწიფო მარაგის, სახელმწიფო ტყის ფონდის, დასახლებული პუნქტის მიწებიდან და კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში გამოუყენებელი მიწიდან.

კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობაში გამოუყენებელი მიწიდან ნაკვეთს სათიბად გამოუყოფენ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით, სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან — მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის და დააწყვეტილებით, ხოლო დასახლებული პუნქტების მიწებიდან — მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

5. საბჭოთა სამართალი № 5.

**თავი XVI
სოფლად მცხოვრები მუშების,
მოსამსახურეებისა და სხვა მოქალაქეთა
მიწათსარგებლობა**

მუხლი 75. სოფლად მცხოვრები და მომუშავე მუშების, მოსამსახურეებისა და სპეციალისტებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიცემა

საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მუდმივ მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ სოფლად, საკარმიდამო მიწის ნაკვეთს ან საბოსტნეს აძლევენ ამ მიზნისათვის განკუთვნილი მიწიდან. საკარმიდამო მიწის ნაკვეთისა და საბოსტნის გაცემა ხდება საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილების საფუძველზე.

კოლმეურნეობა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების გადაწყვეტილებით საკარმიდამო მიწის ნაკვეთებს აძლევს მასწავლებლებს, ექიმებს და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ და ცხოვრობენ სოფლად.

**მუხლი 76. სოფლად მცხოვრები მუშების,
მოსამსახურეების, ინვალიდებისა და პენსიონერებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთების მიცემა**

თუ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში არის თავისუფალი საკარმიდამო მიწები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთი შეიძლება მიეცეს სოფლად მცხოვრებ მუშას, მოსამსახურეს, პენსიონერსა და ინვალიდს შესაბამისად კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციისა და დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, რომელსაც ამტკიცებს მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 77. საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და მოსამსახურეებისათვის და სხვა მოქალაქეებისათვის სარგებლობაში მისაცემი საკარმიდამო მიწის ნაკვეთის ნორმები

საკარმიდამო მიწის ნაკვეთს, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით დაკავებული ფართობის ჩათვლით, გამოუყოფენ შემდეგ ნორმის ფარგლებში:

1) საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების



მუდმივ მუშებს, სპეციალისტებს და მოსამსახურეებს, რომლებიც სოფლად მუშაობენ და ცხოვრობენ, — 0,25 ჰექტარამდე; ყოფილ კოლმეურნეებს, რომლებიც მუდმივად, სამუშაოდ გადავიდნენ საბჭოთა მეურნეობებში ან სხვა სახელმწიფო საწარმოებში, კოლმეურნეობების სახელმწიფო საწარმოებად გარდაქმნასთან დაკავშირებით, შეუნარჩუნდებათ საკარმიდამო ნაკვეთები იმ ნორმით, რომლითაც ისინი სარგებლობდნენ კოლმეურნეობებში.

2) სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშებს, მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ და მუშაობენ სოფლად, — საქართველოს სსრ მიწის ნაკვეთი საბჭოს მიერ დამტკიცებული ნუსხის შესაბამისად — 0,25 ჰექტარამდე;

3) სოფლად მომუშავე და მცხოვრებ მუდმივ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებზედაც არ ვრცელდება ამ მუხლის 1 და მე-2 პუნქტების მოქმედება, აგრეთვე სოფელ ადგილებში მცხოვრებ პენსიონერებსა და ინვალიდებს, — 0,15 ჰექტარამდე.

სოფლად მცხოვრებ მუშებს, მოსამსახურეებს და სხვა მოქალაქეებს დაწესებული ნორმის ზევით სარგებლობაში შეიძლება დაუტოვონ მიწათსარგებლობის მოწესრიგების შედეგად წარმოქმნილი მიწის პატარა ნაკვეთები საქართველოს სსრ მიწის ნაკვეთი საბჭოს მიერ დადგენილი წესით, თუ მათი გამოყენება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების ან სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების საწარმოო საჭიროებისათვის ან სხვა მოქალაქეებისათვის გადაცემა შეუძლებელია.

მუხლი 78. სოფლად მცხოვრები მუშებისა და მოსამსახურეებისათვის, აგრეთვე სხვა მოქალაქეებისათვის საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე უფლების შენარჩუნება

საკარმიდამო მიწის ნაკვეთს იმავე ოდენობით ინარჩუნებენ ამ კოდექსის 75-ე მუხლში აღნიშნული მუშები და მოსამსახურეები მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო პენსიაზე გადასვლისას, აგრეთვე იმ მუშებისა და მოსამსახურეების ოჯახები, რომლებიც გაწვეული არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში ნამდვილ ვადასთან სამხედრო სამსახურში ან სწავლობენ — სამხედრო სამსახურში ან სასწავლებელში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

მუხლი 79. მიწის ნაკვეთის გაცემა საბოსტნედ სარგებლობისათვის

სოფლად მომუშავე და მცხოვრებ მუდმივ მუშებსა და მოსამსახურეებს, აგრეთვე მასწავლებლებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს,

რომლებსაც არა აქვთ საკარმიდამო ნაკვეთები, კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით შეიძლება მიეცეს საბოსტნე ნაკვეთი 0,15 ჰექტარამდე ოჯახზე.

მუხლი 80. საძოვრებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა

ამ კოდექსის 75-ე და 76-ე მუხლებში ჩამოთვლილ მოქალაქეთა კატეგორიის, რომელსაც ჰყავს საკუთარი პირუტყვი, საძოვრებისათვის გამოუყოფენ მიწის ნაკვეთებს სახელმწიფო მარაგის, სახელმწიფო ტყის ფონდის, ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების მიწებიდან, აგრეთვე არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწებიდან. პირუტყვის საძოვებლად მიწის ნაკვეთის გამოყოფა ხდება მშრომელთა დებუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით, ხოლო დასახლებულ პუნქტების ფარგლებში — მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

ასეთი მიწების უქონლობის შემთხვევაში ნაკვეთი პირუტყვის საძოვებლად შეიძლება გამოიყოს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების მიწებიდან, ამასთან, პირუტყვის მესაკუთრემ მიწათმოსარგებლეს უნდა აღწავლიდეს ამ ნაკვეთის მოვლისა და გაუმჯობესების ხარჯები. სოფლად მომუშავე და მცხოვრებ მუდმივ მუშებს, მოსამსახურეებს და სპეციალისტებს პირუტყვის საძოვებლად გამოუყოფენ ნაკვეთს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების, ან რწმუნებულთა კრების, ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ხოლო სოფელში მცხოვრებ მუშებს, მოსამსახურეებს, პენსიონერებს და ინვალიდებს — მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებული კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციისა თუ დაწესებულების გადაწყვეტილებით. ამ ნაკვეთის შენახვისა და გაუმჯობესების ხარჯების ოდენობას განსაზღვრავს მიწათმოსარგებლეს და ამტკიცებს მშრომელთა დებუტატების საქალაქო, სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 81. მიწის ნაკვეთის გაცემა სათიბად
ამ კოდექსის 75-ე და 76-ე მუხლებში ჩამოთვლილი კატეგორიის მოქალაქეებს სათი-

თავი XVII
კოლექტიური მებაღეობა და
მებოსტნეობა

მუხლი 84. მიწის ნაკვეთების გამოყოფა კოლექტიური მებაღეობისათვის

კოლექტიური მებაღეობისათვის საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მიწის ნაკვეთებს გამოუყოფენ ქალაქების მშენებლის ან სხვა დასახლებული პუნქტების საზღვრების გარეთ, დასახლებული პუნქტების ტერიტორიათა პერსპექტიული გაფართოების გათვალისწინებით სახელმწიფო მარაგის მიწებიდან და სახელმწიფო სატყეო ფონდის იმ მიწებიდან, რომლებიც განკუთვნილი არ არის ტყის გაშენებისათვის

კოლექტიური მებაღეობისათვის გამოსადეგი სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწების უქონლობისას, როგორც გამოწვევის, შეიძლება გამოყოფილ იქნეს არასასოფლოსამეურნეო სავარგულები იმ მიწებიდან, რომლებიც დაკავებულია საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დამამარე სოფლის მეურნეობით და აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების იმ მიწებიდან, რომელთა ათვისება გათვალისწინებული არ არის მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმით.

მუხლი 85. მიწის ნაკვეთების გამოყოფა კოლექტიური მებოსტნეობისათვის

კოლექტიური მებოსტნეობისათვის საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მიწის ნაკვეთები შეიძლება გამოეყოს დასახლებული პუნქტების მიწებიდან, სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო სატყეო ფონდიდან, რომლებიც უახლოეს წლებში განკუთვნილი არ არიან განაშენიანებისათვის ან სხვა მიზნისათვის.

კოლექტიური მებოსტნეობისათვის შეიძლება გამოყოფილი იქნეს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე დროებით გამოუყენებელი მიწები და აგრეთვე სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა არასასოფლოსამეურნეო საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწები.

მუხლი 86. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის წესი

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მიწის ნაკვეთს გამოუყოფენ უვადო სარგებლობაში, ამ კოდექსის მე-13 — მე-19 მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 87. კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის გამოყენება

ბაღ მიწის ნაკვეთი ეძლევათ სახელმწიფო მარაგის სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან, რკინიგზისა და გაზტყევილებისათვის გამოყოფილ და სხვა არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწებიდან მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, ხოლო დასახლებული პუნქტების ფარგლებში — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო ან სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებების საფუძველზე, თუ თიბვა დასაშვებია ამ მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებასთან ერთად.

ასეთი მიწის უქონლობისას ნაკვეთები სათიბისათვის შეიძლება გამოყოფილ იქნეს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების საზოგადოებრივ მეურნეობაში გამოუყენებელი მიწებიდან კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების ან რწმუნებულთა კრების ან საბჭოთა მეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების აღმინისტრაციის გადაწყვეტილებით.

მუხლი 82. საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობა სოფლად საცხოვრებელ ნაგებობაზე საკუთრების უფლების გადასვლისას

სოფლად მდებარე საცხოვრებელ ნაგებობებზე საკუთრების უფლების გადასვლა არ იწვევს სარგებლობის უფლების გადასვლას საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე წინანდელი ოდენობით.

საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მიცემა იმ პირობისათვის, რომელზედაც გადავიდა საკუთრების უფლება საცხოვრებელ ნაგებობაზე, ხდება საერთო საფუძველზე ამ კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 83. ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მიწათსარგებლობა

ცალკეულ რაიონებში არსებული ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა იყენებს მისთვის მიცემულ საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთს სოფლის მეურნეობის საჭიროებისათვის, დაქირავებული შრომის გამოყენების გარეშე.

საყანე მიწის ნაკვეთი ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობას ეძლევა მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით სახელმწიფო მარაგის მიწებიდან, ხოლო საკარმიდამო მიწა დასახლებული პუნქტის მიწებიდან ამ კოდექსის მე-14 მუხლის შესაბამისად.

ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მიერ საყანე და საკარმიდამო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესსა და ნაკვეთის ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.



კოლექტიური. მებალეობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს იყენებენ მებალეობის ამხანაგობის წესდების შესაბამისად.

კოლექტიური მებოსტნეობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთს იყენებენ ბოსტნეულს, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების მოსაყვანად. ამ ნაკვეთზე შენობების აგება და ხილვენეროვანი ნარგავების გაშენება აკრძალულია.

მუხლი 88. კოლექტიური მებალეობისა და მებოსტნეობისათვის მიწის ნაკვეთების ფართობის ოდენობა

კოლექტიური მებალეობისა და მებოსტნეობისათვის გამოსყოფი მიწის ნაკვეთის ფართობის ოდენობას ადგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

პარტი III დასახლებული პუნქტების (ქალაქის, ქალაქის ტიპის დაბის, სასოფლო დასახლებული პუნქტის) მიწები

თავი XVIII ქალაქის მიწები

მუხლი 89. ქალაქის მიწები

ქალაქის მიწებს მიეკუთვნება ქალაქის ფარგლებში არსებული მიწები.

მიწა ქალაქის ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს გამგებლობაშია.

მუხლი 90. ქალაქის მიწების შემადგენლობა
ქალაქის მიწების შემადგენლობაში შედის:

- 1) საქალაქო განაშენიანების მიწები;
- 2) საერთო სარგებლობის მიწები;
- 3) სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიწები და სხვა საეარგულები;
- 4) ქალაქის ტყეებით დაკავებული მიწები;
- 5) რკინიგზის, წყლის, საჰაერო, მილსადენი ტრანსპორტის, სამთო მრეწველობის და სხვა მიწები.

მუხლი 91. ქალაქის ფარგლები

ქალაქის ფარგლებია — ქალაქის მიწების გარე საზღვარი, რომელიც ქალაქის მიწებს გამოყოფს ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის დანარჩენი მიწებისაგან და განსაზღვრულია ქალაქის განვითარების გენერალური გეგმისა და ტექნიკურ-ეკონომიური საფუძვლების შესაბამისად.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქის ფარგლებს ადგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ხოლო რაიონული დაქვემდებარების ქალაქის ფარგლებს ადგენენ, შესაბამისად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, სამხრეთ ოსე-

თის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მიწის ნაკვეთების მოქცევა ქალაქის ფარგლებში არ იწვევს ამ ნაკვეთებით უწინდელ მოსარგებლეთა სარგებლობის უფლების შეწყვეტას. მათი გამოყოფა წარმოებს ამ კოდექსის მე-40—42-ე, 94-ე მუხლებით დადგენილი წესით.

მუხლი 92. ქალაქის მიწების გამოყენება

ქალაქის მიწებს იყენებენ ქალაქის გენერალური გეგმის, დაგეგმარების და განაშენიანების პროექტების და ქალაქის ტერიტორიის საადგილმამულო-სამეურნეო მოწყობის გეგმების შესაბამისად.

ქალაქის გენერალური გეგმა განსაზღვრავს მიწის გამოყენების ძირითად მიმართულებას სამრეწველო, საბინაო და სხვა მშენებლობისათვის, კეთილმოწყობისათვის, მოსახლეობის დასასვენებელი ადგილების განლაგებისათვის.

ქალაქის განაშენიანების ცალკეულ ნაწილებში მიწის გამოყენება განისაზღვრება ქალაქის გენერალური გეგმის საფუძველზე შემუშავებული დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებით.

ქალაქის ტერიტორიის საადგილმამულო-სამეურნეო მოწყობის გეგმებით განისაზღვრება ქალაქის იმ მიწების გამოყენების ძირითადი მიმართულება, რომელთა განაშენიანება არ არის გათვალისწინებული ან დროებით არ არიან განაშენიანებული.

ამ კოდექსის 90-ე მუხლის მე-3—მე-5 პუნქტებში აღნიშნული მიწების გამოყენების წესი განისაზღვრება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

მუხლი 93. ქალაქში მიწის ნაკვეთის გაცემა

ქალაქში მიწის ნაკვეთის უფადო ან დროებითი სარგებლობისათვის გაცემა ხდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 94. ქალაქში მიწის ნაკვეთის გამოყოფა

ქალაქში მიწის ნაკვეთის გამოყოფა წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 95. მიწათმოსარგებლის მოვალეობა

ქალაქში მიწის ნაკვეთის კეთილმოწყობისა საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქენი, რომელთაც სარგებლობაში აქვთ მიწის ნაკვეთები ქალაქად, მოვალენი არიან გასწიონ აუცილებელი მუშაობა მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობისა და გამწვან-

ნებისათვის, მწვანე ნარგავების დაცვისა და მოვლა-პატრონობისათვის, მშრომელთა დებუ-ტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

მუხლი 96. ქალაქში მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების გადასვლა ნაგებობაზე საკუთრების უფლების გადასვლისას

ქალაქის მიწაზე არსებული ნაგებობის საკუთრების უფლების გადასვლისას გადადის აგრეთვე მიწის ნაკვეთით ან მისი ნაწილით სარგებლობის უფლებაც.

რამდენიმე შესაკუთრებელ ნაგებობის საკუთრების უფლების გადასვლისას და აგრეთვე ნაგებობის ნაწილზე საკუთრების უფლების გადასვლისას მიწის ნაკვეთი გადადის ნაგებობის შესაკუთრებელთა საერთო სარგებლობაში.

ამ უფსლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიწათსარგებლობის უფლება იმ პირისა, რომელზედაც გადავიდა ნაგებობის საკუთრების უფლება, რეგისტრაციაში ტარდება კომუნალური მეურნეობის ორგანოებში.

მუხლი 97. მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების გადასვლა შენობების და ნაგებობების გადაცემისას

ერთ-ერთი საწარმოს, ორგანიზაციის და დაწესებულების შენობათა და ნაგებობათა მეორისათვის გადაცემისას ამ ობიექტებთან ერთად გადადის იმ მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლებაც, რომელიც აუცილებელია გადაცემული შენობებისა და ნაგებობების მომსახურებისათვის.

ერთიანი შემკვეთის მიერ საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მშენებლობის განხორციელებისას, მიწის ნაკვეთი მშენებლობისათვის შეიძლება მიეცეს აღნიშნულ შემკვეთს დროებითი სარგებლობისათვის. მშენებლობის დამთავრების შემდეგ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის შენობებისა და ნაგებობათა საქსპლუატიციოდ გადაცემისთან ერთად მშრომელთა დებუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი მისცემს მათ მიწის ნაკვეთს უვავო სარგებლობისათვის.

მუხლი 98. მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების შენარჩუნება ნაგებობის დანგრევისას

სტიქიური უბედურების გამო ნაგებობის დანგრევისას მიწათმოსარგებელ ინარჩუნებს მიწის ნაკვეთით უვადო სარგებლობის უფლებას, თუ იგი ორი წლის განმავლობაში დანგრევის დღიდან შეუდგება ნაგებობის აღდგენას ან ახლის აშენებას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ მიწის ნაკვეთის სხვაგვარად გამოყენება გათვალისწინებულია ქალაქის დაგეგმარე-

ბისა და განაშენიანების პროექტით. ასეთ შემთხვევაში დანგრეული ნაგებობის მესაკუთრეს დადგენილი წესით იმავე ქალაქის ფარგლებში მიეცემა სხვა მიწის ნაკვეთი, თუ ამ ქალაქში აკრძალული არ არის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა.

მუხლი 99. საქალაქო განაშენიანების მიწები საქალაქო განაშენიანების მიწების შედგება საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სამრეწველო და სხვა შენობებითა და ნაგებობებით გაშენებული და გასაშენებელი მიწებისაგან.

ამ მიწებს აძლევენ საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს სამრეწველო, საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა შენობათა და ნაგებობათა აშენებისა და ექსპლუატაციისათვის, აგრეთვე მოქალაქეებს—ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

მიწის ნაკვეთის ოდენობა და აღნიშნული მიზნით მისი გამოყენების პირობები განისაზღვრება დადგენილი წესით დამტიკებული ნორმებისა და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

მშენებლობისა და არქიტექტურის ორგანოს ნებართვის მიღებამდე აკრძალულია გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის დაწყება.

მუხლი 100. საერთო სარგებლობის მიწები

საერთო სარგებლობის მიწები შედგება მიმოსვლის გზებად გამოყენებული მიწების (მოედნები, ქუჩები, ვასასვლელები, გზები, სანაპიროები), ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად განკუთვნილი მიწების (პარკები, ტყეპარკები, ბულვარები, სკვერები, წყალსატევები), სასაფლაოებისა და კომუნალურ საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა მიწებისაგან.

საერთო სარგებლობის მიწებზე ნებადართულია, ამ მიწების მიზნობრივი დანიშნულების შესაბამისად, კაპიტალური შენობებისა და ნაგებობათა აშენება და აგრეთვე მსუბუქი ტიპის დროებითი შენობებისა და ნაგებობების (კარვების, ფარდულების და ა. შ.) დადგმა საერთო სარგებლობის მიწების მიზნობრივი დანიშნულებისათვის ზიანის მიუყენებლად.

მუხლი 101. სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიწები და სხვა სავარგულები

სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიწებს და სხვა სავარგულებს ქალაქებში მიეკუთვნება ბაღები, ვენახები, ბოსტნები, სათიბები, საძოვრები, ტორფნარები, კარიერები, ქვის სამტეხლოები და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო გამოყენების მიწება და სხვა სავარგულები ქალაქებში შეიძლება მიეცეს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებსა და



დაწესებულებებს სოფლის მეურნეობის წარმოებისათვის, მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მეზოსტენობისათვის, აგრეთვე მოქალაქეებს — სათბად და პირუტყვის საქონრად.

მუხლი 102. ქალაქის ფარგლებში კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიწათსარგებლობა

კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სარგებლობის, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების მიწა, თუ მდებარეობს ქალაქის ფარგლებში, მაგრამ ქალაქის დაგეგმვარების და განაშენიანების პროექტით არ არის გათვალისწინებული განაშენიანების ან კეთილმოწყობის ობიექტად, ემაგრება მათ უვალო სარგებლობაში.

ამ მიწებზე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობებისა და ნაგებობათა განლაგება წარმოებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

მუხლი 103. ქალაქის ტყეებით დაკავებული მიწა

ქალაქის ტყეებით დაკავებული მიწა ემსახურება მიკროპივის გაუმჯობესებას, მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციას, კულტურულ-ესთეტიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიისაგან ტერიტორიის დაცვას.

მუხლი 104. რკინიგზის, წყლის, საჰაერო, მილსადენი ტრანსპორტის, სამთო მრეწველობის და სხვა მიწები ქალაქებში

რკინიგზის, წყლის, საჰაერო, მილსადენი ტრანსპორტის, სამთო მრეწველობის და სხვა მიწებს ქალაქებში მიეკუთვნება მიწა, რომელიც მიცემული აქვთ საწარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს მათზე დაკისრებული სპეციალური ამოცანების განსახორციელებლად.

აღნიშნული მიზნისათვის ვასაცემი მიწის ნაკვეთის ოდენობა განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმების და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

ამ მიწებზე შენობათა და ნაგებობათა განლაგება, აგრეთვე კეთილმოწყობის სამუშაოები ხორციელდება მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით.

მუხლი 105. ქალაქის ტიპის დაბების მიწები მიწა ქალაქის ტიპის დაბის ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს გამგებლობაშია.
ამ კოდექსის 89-ე — 93-ე, 95-ე — 104-ე,

113-ე მუხლების დებულებები ვრცელდება ქალაქის ტიპის დაბების მიწებზეც.

თავი XIX

საგარეუბნო და მწვანე ზონები

მუხლი 106. საგარეუბნო და მწვანე ზონის მიწები

ქალაქის ფარგლებს გარეთ მდებარე მიწის, რომელიც ქალაქის ტერიტორიის გაფართოების რეზერვია, იმ აუცილებელ ნაგებობათა განლაგებისა და მშენებლობის ადგილს, რომლებიც დაავშირებულია საქალაქო მეურნეობის კეთილმოწყობასა და ნორმალურ მუშაობასთან, აგრეთვე ტყეებით, ტყეპარკებით და სხვა მწვანე ნარგავებით დაკავებულ მიწას, რომელსაც აქვს დამცავი და სანიტარულ-ჰიგიენური ფუნქცია და წარმოადგენს მოსახლეობის დასვენების ადგილს, — გამოყოფენ, შესაბამისად, საგარეუბნო და მწვანე ზონებად.

მუხლი 107. საგარეუბნო და მწვანე ზონების გამოყოფის და ამ ზონებში მიწათსარგებლობის წესი

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, საგარეუბნო და მწვანე ზონის გამოყოფისა და აგრეთვე ამ ზონებში მიწათსარგებლობის წესს ადგენს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობა.

საგარეუბნო და მწვანე ზონის მიწას იყენებენ ამ ზონის დაგეგმარების დამტკიცებული პროექტების მიხედვით.

მწვანე ზონის მიწა საგანგებოდ უნდა იქნეს დაცული. ამ მიწაზე დაუშვებელია იმ შენობებისა და ნაგებობების აგება, რომლებიც არ შესაბამება მწვანე ზონის დამცავ სანიტარულ-ჰიგიენურ ფუნქციებს და მოსახლეობის დასვენების ორგანიზაციის მიზნებს.

თავი XX

სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწები

მუხლი 108. სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწები

სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწებს მიეკუთვნება მიწა, რომელიც ამ პუნქტისათვის დადგენილი საზღვრების ფარგლებშია.

მუხლი 109. სასოფლო დასახლებული პუნქტის საზღვრების დადგენა და შეცვლა

შემდგომი განვითარებისათვის პერსპექტიულად მიჩნეული სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწა სხვა მიწებისაგან გამოიჯნება ამ დასახლებული პუნქტის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად მისი საზღვრების დადგენის გზით.

პერსპექტიული განვითარების სასოფლო და-სახლებული პუნქტის საზღვრებს ადგენს და ცვლის, შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

არაპერსპექტიულად მიჩნეული სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწა, სხვა მიწებისაგან გაიმიჯნება შიდასამეურნეო მიწათმოქმედების წესით.

მუხლი 110. სასოფლო დასახლებული პუნქტის პერსპექტიულად მიჩნევა

სასოფლო დასახლებულ პუნქტს შემდგომი განვითარებისათვის პერსპექტიულად მიჩნევა, შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რაიონული დაგეგმარების დამტკიცებული სქემების მიხედვით.

მუხლი 111. სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწების სარგებლობისათვის გაცემა

სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებში მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭო ახორციელებს ყველა მიწის ნაკვეთის სარგებლობაში გაცემის კონტროლს, იღებს გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთის გაცემის შესახებ იმ მიწიდან, რომელიც არ შედის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწათსარგებლობის შემადგენლობაში.

კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საცხოვრებელი, აგრეთვე სხვა შენობების და ნაგებობების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის გასაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმებისა და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

მუხლი 112. სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწებით სარგებლობის წესი

შემდგომი განვითარებისათვის პერსპექტიულად მიჩნეული სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწებით სარგებლობა წარმოებს ამ დასახლებული პუნქტის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების შესაბამისად.

შემდგომი განვითარებისათვის არაპერსპექტიულად მიჩნეული სასოფლო დასახლებული პუნქტის მიწებით სარგებლობა წარმოებს შიდასამეურნეო მიწათმოქმედების პროექტების შესაბამისად.

სასოფლო დასახლებული პუნქტის ფარგლებში კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნე-

ობები და სასოფლო-სამეურნეო სხვა საწარმოები მათზე მიმაგრებულ მიწის ნაკვეთებს იყენებენ საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობებისა და ნაგებობების ასაშენებლად და აგრეთვე საკარმიდამო მიწათსარგებლობისათვის სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირის სხვა კანონმდებლობის, ამ კოდექსის 59-ე — 62-ე, 64-ე, 65-ე, 70-ე—83-ე მუხლებისა და საქართველოს სსრ სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.

ამ მიწებზე საცხოვრებელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, საწარმოო შენობების და ნაგებობების განლაგება წარმოებს სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეთანხმებით.

თავი XXI

საბინაო-სამშენებლო და საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივების, აგრეთვე მოქალაქეთათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემა

მუხლი 113. საბინაო-სამშენებლო და საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივების, აგრეთვე მოქალაქეთათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების გაცემა

საბინაო-სამშენებლო და საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივებს, აგრეთვე მოქალაქეებს ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთები ეძლევათ დასახლებული პუნქტების მიწებიდან, ქალაქის მწვანე ზონის გარეთ მდებარე სახელმწიფო სატყეო ფონდის და სახელმწიფო მარაგის მიწებიდან, იმ პირობითა და იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

საბინაო-სამშენებლო და საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივებს და აგრეთვე მოქალაქეებს მიწის ნაკვეთები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის ეძლევათ უვადო სარგებლობაში.

მუხლი 114. საბინაო-სამშენებლო და საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის, აგრეთვე მოქალაქეთათვის ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის მიზნით მისაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობა

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისათვის მისაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება სათანადო წესით დამტკიცებული ნორმებისა და საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივებს მიწის ნაკვეთებს აძლევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი ნორმების ფარგლებში.



ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთებს გასცემენ სახლის მოცულობის და ადგილობრივი პირობების მიხედვით, შემდეგი ნორმების ფარგლებში: ქალაქად — 0,03-დან 0,06 ჰექტარამდე, ქალაქგარეთ — 0,07-დან 0,12 ჰექტარამდე.

ცალკეულ ქალაქებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთების მიცემა შეიძლება შეზღუდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ.

კარი IV

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალების და სხვა არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწები

მუხლი 115. მრეწველობის ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწები

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწებზე მიჩნეულია ის მიწები, რომლებიც სარგებლობისათვის მიცემული აქვთ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს მათზე დაკისრებული სპეციალური ამოცანების განსახორციელებლად (სამრეწველო წარმოების, ტრანსპორტის, კურორტების ორგანიზაციის, ნაკრძალების მოწყობისათვის და ა. შ.).

აღნიშნული მიზნისათვის გასაცემი მიწის ნაკვეთების ოდენობა განისაზღვრება დადგენილი წესით დამტკიცებული ნორმების ან საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად, ხოლო ნაკვეთების მიზომვა ხორციელდება მათი ათვისების რიგის გათვალისწინებით.

მრეწველობის, ტრანსპორტის, კურორტების, ნაკრძალებისა და სხვა არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობის წესი, აგრეთვე იმ ზონების დადგენის წესი, სადაც შემოღებულია მიწით სარგებლობის განსაკუთრებული პირობები (სანიტარული დაცვის ოლქი და ა. შ.), სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ ამ მიწების შესახებ დამტკიცებულ დებულებებით.

მუხლი 116. კურორტების მიწები

კურორტების მიწებს მიეკუთვნება სამკურონალო მნიშვნელობის და გამაჯანსაღებელ დონისძიებათა ორგანიზაციისათვის ხელსაყრელი პირობების მქონე მიწის ნაკვეთები, რომლებიც დადგენილი წესით სარგებლობისათვის გადაეცემა სამკურნალო-საკურორტო დაწესებულებებს. კურორტების მიწები საგანგებოდ უნდა იქნეს დაცული.

მოსახლეობის მკურნალობისა და დასვენებისათვის საჭირო პირობების უზრუნველსაყოფად და აგრეთვე ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვის მიზნით, ყველა კურორტზე იწყება სანიტარული დაცვის ზონები. კურორტის სანიტარული დაცვის ზონების ფარგლებში მიწის ნაკვეთი მიწათმოსარგებლებს არ ხამოერთმევა. ამ ნაკვეთებით სარგებლობა ხორციელდება ოლქისათვის დადგენილი რეჟიმის დაცვით. ამ ზონის ფარგლებში აკრძალულია სარგებლობაში მიწის ნაკვეთის მიცემა იმ საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებებისათვის, რომელთა საქმიანობა შეუთავსებელია ბუნებრივი სამკურნალო თვისებების და მოსახლეობის დასვენების ხელსაყრელი პირობების დაცვასთან.

მუხლი 117. ნაკრძალების მიწები

ნაკრძალების მიწებს მიეკუთვნება დადგენილი წესით გამოყოფილი მიწის ნაკვეთები, რომელთა ფარგლებში იმყოფება განსაკუთრებული სამეცნიერო და კულტურული ღირებულების ბუნებრივი ობიექტები (ტიპიური ან იშვიათი ლანდშაფტები, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმები, იშვიათი გეოლოგიური წარმონაქმნები, მცენარეების, ცხოველების სახეობები და ა. შ.).

ნაკრძალების მიწებს ამორიცხავენ სამეურნეო მოხმარებიდან. ყოველგვარი საქმიანობა, რომელიც არღვევს ნაკრძალების ბუნებრივ კომპლექსებს ან საფრთხეს უქმნის განსაკუთრებული ღირებულების სამეცნიერო ან კულტურული ბუნებრივი ობიექტების შენარჩუნებას, აკრძალულია როგორც ნაკრძალების ტერიტორიაზე, ასევე ნაკრძალების ირგვლივ დაწესებულ საცავი ზონის ფარგლებში.

მუხლი 118. სამრეწველო, სატრანსპორტო, სხვა არასასოფლოსამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ მიწების გაცემა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის

სამრეწველო, სატრანსპორტო, სხვა არასასოფლოსამეურნეო საწარმოები და დაწესებულებები, მშრომელთა დემუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე, კომლემურნობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს დროებით სარგებლობაში აძლევენ მათ მიერ გამოუყენებელ მიწებს სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის, იმ პირობითა და იმ წესით, რომელიც დადგენილია სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილება მიუთითებს მიწის ნაკვეთის გამოყოფის ვა-

დას, მის ოდენობას, აგრეთვე მიწის ნაკვეთით სარგებლობის პირობებს.

მუხლი 119. სასამსახურო მიწის ნაკვეთი

სასამსახურო მიწის ნაკვეთი ეძლევა ტრანსპორტის, სატყეო მეურნეობის, სატყეო მრეწველობის, კავშირგაბმულობის, წყლის, თევზის, სანადირო მეურნეობების და აგრეთვე სახალხო მეურნეობის ზოგიერთი სხვა დარგის მუშაკთა ცალკეულ კატეგორიებს.

სასამსახურო მიწის ნაკვეთის მიღების უფლების მქონე მუშაკთა კატეგორიების სიას და სასამსახურო მიწის ნაკვეთის ნორმას მუშაკების ცალკეული კატეგორიებისათვის აღვენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

სასამსახურო მიწის ნაკვეთს გამოყოფენ იმ მიწებიდან, რომლებიც სათანადო სამინისტროების და უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სარგებლობაშია, ხოლო ასეთი მიწების ნაკლებობისას — სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან. სასამსახურო მიწის ნაკვეთები იმ მიწებიდან, რომლებიც საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სარგებლობაშია, გამოიყოფა საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ხოლო სახელმწიფო მარაგის და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან — მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 120. სასამსახურო მიწის ნაკვეთის გამოყოფის პირობები

სასამსახურო მიწის ნაკვეთს შესაბამისი კატეგორიის მუშაკებს გამოუყოფენ ამ სამუშაოზე მათი მუშაობის ვადით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 121-ე მუხლით. სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევაში, თუ სასამსახურო მიწის ნაკვეთი დაკავებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებით, მიწით სარგებლობის უფლება შეწყდება მოსავლის აღების შემდეგ.

სახნავი მიწის ნაკვეთს გამოყოფენ იმ ვარაუდით, რომ მუშაკისა და მისი ოჯახის საკარმიდამო ნაკვეთის და სახნავი მიწის მიზომილი ნაკვეთის საერთო ფართობი არ აღემატებოდეს ამ კატეგორიის მუშაკისათვის დადგენილი სასამსახურო მიწის ნაკვეთის ოდენობას. თუ ოჯახში არის სასამსახურო ნაკვეთზე უფლების მქონე რამდენიმე მუშაკი გამოყოფენ ერთ სასამსახურო მიწის ნაკვეთს.

მუშაკებს, რომელთათვის არ გამოუყვიათ სახნავი მიწის ნაკვეთი, შეიძლება გამოუყონ

საბოსტნე მიწის ნაკვეთი დადგენილი ნორმის ფარგლებში.

სათბი მიწის ნაკვეთები ეძლევათ მუშაკებს, რომელთაც პირად საკუთრებაში ჰყავთ პირუტყვი.

მუხლი 121. სასამსახურო მიწის ნაკვეთზე უფლების შენარჩუნება

სასამსახურო მიწის ნაკვეთი წინანდელი ოდენობით შეუნარჩუნდებათ მუშაკებს, რომლებმაც შრომითი ურთიერთობა შეწყვეტეს მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გადასვლასთან დაკავშირებით, იმ მუშაკების ოჯახებს, რომელნიც გაწვეული არიან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალების რიგებში ნამდვილი ვადიან სამხედრო სამსახურში ან შევიდნენ სასწავლებელში, — სამხედრო სამსახურში ან სასწავლებელში ყოფნის მთელი ვადის განმავლობაში. აგრეთვე იმ მუშაკების ოჯახებს, რომლებიც დაიღუპნენ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით, — შრომისუღწარო მეუღლესა და მოხუცებულ მშობლებს სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო შვილებს — მათ სრულწლოვანებამდე.

**პარი V
სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები**

მუხლი 122. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებად ითვლება ტყით დაფარული და აგრეთვე ტყით დაუფარავი მიწები, რომლებიც განკუთვნილია სატყეო მეურნეობის საქორეობისათვის.

სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებით სარგებლობის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებს საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები იყენებენ სატყეო მეურნეობის საქორეობისა და ხე-ტყის დამზადებისათვის. სხვა საქორეობისათვის სახელმწიფო ტყის ფონდის მიწები შეიძლება გამოყენებულ იქნეს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სატყეო მეურნეობის ინტერესებს.

მუხლი 123. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გაცემა

სახელმწიფო სატყეო სამეურნეო საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის დამზადების მრეწველობის საქორეობისათვის გამოუყენებელ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს მათ სარგებლობაში მყოფი სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებიდან მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით აძლევენ კოლ-



შეტრნობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სა-
წარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებს
და მოქალაქეებს დროებით სარგებლობაში სა-
სოფლო-სამეურნეო მიწებისათვის, თუ ეს არ
ეწინააღმდეგება სატყეო მეურნეობის ინტერე-
სებს.

პარი VI
სახელმწიფო წყლის
ფონდის მიწები

მუხლი 124. სახელმწიფო წყლის ფონდის
მიწები

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწებად მიიჩ-
ნევა ის მიწები, რომლებიც დაკავებულია
წყალსატევებით (მდინარეები, ტბები, წყალსა-
ცავები, არხები, ტერიტორიული წყლები და
ა. შ.), მყინვარებით, პიროტექნიკური და
სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე
მიწები, რომლებიც გამოყოფილია წყალსატე-
ვების სანაპირო განსხვავების ზოლად, საცავ
ზონად და ა. შ.

მუხლი 125. სახელმწიფო წყლის ფონდის
მიწების გამოყენება

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწებს იყენე-
ბენ იმ ნაგებობათა აშენებისა და ექსპლუატა-
ციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ მო-
სახლეობის სასმელი, საყოფაცხოვრებო, გამა-
ჯანსაღებელი და სხვა საჭირო წყლით მოთხოვ-
ნების დაკმაყოფილებას, სასოფლო-სამეურნეო,
სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტი-
კული, სატრანსპორტო და სხვა სახელმწიფო
და საზოგადოებრივ საჭიროებას.

სახელმწიფო წყლის ფონდის მიწებით სარ-
გებლობის წესი განისაზღვრება სსრ კავშირის
და საქართველოს სსრ კანონმდებლობით.

პარი VII
სახელმწიფო მარაგის მიწები

მუხლი 126. სახელმწიფო მარაგის მიწები
სახელმწიფო მარაგის მიწებს წარმოადგენს
ყველა მიწა, რომელიც მიწათმოსარგებლები-
სათვის არ მიუტიათ უვადო ან გრძელვადიან
სარგებლობაში.

სახელმწიფო მარაგის მიწები მუდმივ ან
დროებით სარგებლობაში ეძლევათ კოლმეურ-
ნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელ-
მწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ სა-
წარმოებს, ორგანიზაციებს და დაწესებულებებს
აგრეთვე მოქალაქეებს ამ კოდექსის მე-13,
მე-20 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

პარი VIII
სახელმწიფო მიწის კადასტრი

მუხლი 127. სახელმწიფო მიწის კადასტრის
მიზანი და ამოცანები

მიწის რეესტრების რაციონალური გამოყე-
ნების უზრუნველსაყოფად აწარმოებენ სახელ-
მწიფო მიწის კადასტრს, რომელიც შეიცავს
სარწმუნო და საჭირო ყველა ცნობას მიწების
ბუნებრივი, სამეურნეო და სამართლებრივი
მდგომარეობის შესახებ.

სახელმწიფო მიწის კადასტრის მონაცემები
ემსახურება მიწების ეფექტიანი გამოყენებას
ორგანიზაციისა და დაცვის, სახალხო მეურნეო-
ბის დაგეგმვის, სასოფლო-სამეურნეო წარმო-
ების განლაგებისა და სპეციალიზაციის, მიწების
მელიორაციისა და სოფლის მეურნეობის ქიმი-
ზაციის მიზნებს, აგრეთვე მიწის გამოყენებას-
თან დაკავშირებულ სხვა სახალხო-სამეურნეო
ღონისძიებათა განხორციელებას.

მუხლი 128. სახელმწიფო მიწის კადასტრის
შინაარსი

სახელმწიფო მიწის კადასტრი შეიცავს მა-
წითსარგებლობის რეგისტრაციის, მიწების რა-
ოდენობისა და ხარისხის აღრიცხვის, ნიადაგის
ბონიტერებისა და მიწების ეკონომიური შეფა-
სების მონაცემებს.

მუხლი 129. სახელმწიფო მიწის კადასტრის
წარმოების წესი და საკადასტრო დოკუმენ-
ტაცია

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკე-
ბის მიწის კანონმდებლობის საფუძვლებზე შე-
საბამისად მიწის კადასტრი წარმოებს სახელ-
მწიფო ხარჯზე სსრ კავშირისათვის ერთიანი
სისტემით. სახელმწიფო მიწის კადასტრის წარ-
მოების წესს, საკადასტრო დოკუმენტაციის
ფორმებს, საკადასტრო მონაცემების დაზუსტე-
ბისა და განახლების პერიოდულობას ადგენს
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

პარი IX
სახელმწიფო მიწათმოყვობა


მუხლი 130. სახელმწიფო მიწათმოყვობა
და მისი ამოცანები

მიწათმოყვობა მოიცავს იმ სახელმწიფო
ღონისძიებათა სისტემას, რომლებიც მიმართუ-
ლია სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილე-
ბათა განსახორციელებლად მიწით სარგებლო-
ბის დარგში.

სახელმწიფო მიწათმოყვობის ამოცანებია მი-
წების უფრო სრული, რაციონალური და ეფექ-
ტიანი გამოყენების ორგანიზაცია, მიწათმოქმე-
დების კულტურის ამაღლება და მიწების ღაცვა.

მიწათმოყვობა, საპროექტო-საგამოკვლევო,
დაგეგმვისა და გამოკვლევითი სამუშაოების ჩათ-
ვლით, ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე.
მიწათმოყვობას ახორციელებენ მიწათმოყვო-
ბის სახელმწიფო ორგანოები.

მუხლი 131. მიწათმოყვობის შინაარსი



მიწათმოწყობა იყოფა მეურნეობათაშორის და შიდასამეურნეო მიწათმოწყობად.

მიწათმოწყობა შეიცავს მიწათმოწყობის შემდეგ მოქმედებებს:

1) ახალი მიწათსარგებლობის შექმნას, აგრეთვე არსებული მიწათსარგებლობის მოწესრიგებას, მიწების ხარვეზიანობის და მათს განლაგებაში სხვა ნაკლოვანებების აღმოფხვრას, რაიონული დაგეგმარების სქემების საფუძველზე მიწათსარგებლობის საზღვრების დაზუსტებასა და შეცვლას;

2) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ტერიტორიების შიდასამეურნეო მოწყობას ეკონომიურად დასაბუთებული თესლბრუნვის შემოღებით და სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების (სათიბების, საძოვრების, ბაღებისა და სხვა) მოწყობით, აგრეთვე ნიადაგების ეროვნის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემუშავებას;

3) ახალი მიწების გამოვლენას სასოფლო-სამეურნეო და სხვა სახალხო-სამეურნეო ათვისებისათვის;

4) მიწის ნაკვეთების მიზომვას და გამოყოფას;

5) ქალაქის, დაბისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების ფარგლების დადგენასა და შეცვლას;

6) ტოპოგრაფიულ-გეოდეზიური, ნიადაგობრივი, გეობოტანიკური და სხვა გამოკვლევისა და ძიების მოწყობას.

მუხლი 132. მიწათმოწყობის პროცესის სტადიები

მიწათმოწყობა შემდეგი თანმიმდევრობით ტარდება:

მიწათმოწყობის საქმის აღძვრა;

მიწათმოწყობის პროექტის შედგენა;

მიწათმოწყობის პროექტის განხილვა და დამტკიცება;

პროექტის ადგილზე გადატანა;

მიწათმოწყობის დოკუმენტების გაფორმება და გაცემა.

მიწათმოწყობი ორგანოები ახორციელებენ სავტორო ზედამხედველობას მიწათმოწყობის პროექტის შესრულებაზე.

მუხლი 133. მიწათმოწყობის საქმის აღძვრა

მიწათმოწყობის საქმეს აღძრავენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ან დაინტერესებული სამინისტროები, უწყებები და მიწათმოსარგებლენი ან სახელმწიფო მიწათმოწყობი ორგანოები მიწათსარგებლობის ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მიწათმოწყობის რაციონალური ორგანიზაციის უზრუნველყოფის მიზნით.

მუხლი 134. მიწათმოწყობის პროექტების შედგენა

მიწათმოწყობის დროს შედგება მიწათმოწყობის პროექტები, აგრეთვე ამ კოდექსის მე-19-მე-20 და 137-ე მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტები მიწათსარგებლობის უფლების შესახებ.

მიწათმოწყობის პროექტები შედგება დაინტერესებულ მიწათმოსარგებლეთა მონაწილეობით.

მუხლი 135. მიწათმოწყობის პროექტის განხილვა და დამტკიცება

შიდასამეურნეო და მეურნეობათაშორისი მიწათმოწყობის პროექტების განხილვა და დამტკიცება ხდება იმ წესით, რაც დადგენილია მიწათმოწყობის ძირითადი დებულებებით.

მუხლი 136. მიწათმოწყობის პროექტის გადატანა ადგილზე

მიწათმოწყობის პროექტი დამტკიცების შემდეგ გადააქვთ ადგილზე და მიწათსარგებლობის საზღვარებს აღნიშნავენ დადგენილი ნიშნუშის სამიჯნე ნიშნებით.

მუხლი 137. მიწათმოწყობის დოკუმენტების გაფორმება და გაცემა

მეურნეობათაშორისი მიწათმოწყობის დამტკიცებული პროექტების საფუძველზე მიწათმოსარგებლებს აძლევენ სახელმწიფო აქტს ან მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ აქტს ან შეაქვთ ცვლილება ადრე გაცემულ აქტებში.

შიდასამეურნეო მიწათმოწყობის შედეგად მიწათმოსარგებლებს აძლევენ შიდასამეურნეო მიწათმოწყობის პროექტს, დოკუმენტს პროექტის დამტკიცების შესახებ და საპროექტო გეგმებს.

ტერიტორიის შიდასამეურნეო ორგანიზაცია, რაც დადგენილია მიწათმოწყობის წესით, სავალდებულოა კოლმეურნეობებისათვის, საბჭოთა მეურნეობებისათვის და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის.

**პარტი X
საადგილმამულო დავის
გადაწყვეტა**

მუხლი 138. საადგილმამულო დავის გადამწყვეტი ორგანოები

კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შორის საადგილმამულო დავას წყვეტენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კო-



მიტეტი, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 139. საქართველოს სს რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე მიწით სარგებლობის საკითხზე დავის გადაწყვეტა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად საქართველოს სს რესპუბლიკის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების დავას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე მიწით სარგებლობის საკითხზე განიხილავს კომისია, რომელიც იქმნება დაინტერესებული მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებისაგან თანაბარ საწყისებზე. თუ კომისია ვერ მიიღებს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე, დავის განილა ექვემდებარება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

მუხლი 140. ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის საწარმოების, ორგანიზაციების და დაწესებულებების დავის გადაწყვეტა მეორე ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მიწით სარგებლობის საკითხის შესახებ

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციული, საზოგადოებრივი საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების დავას მეორე ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მიწით სარგებლობის საკითხის შესახებ განიხილავს კომისია, რომელსაც ქმნიან დაინტერესებული ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის წარმომადგენლებისაგან თანაბარ საწყისებზე. იმ შემთხვევაში, თუ კომისია ვერ მიიღებს შეთანხმებულ გადაწყვეტილებას, დავას აღნიშნულ საკითხებზე განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

მუხლი 141. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენცია საადგილმამულო დავის გადაწყვეტისას

საქართველოს სსრ სხვადასხვა რაიონების და ქალაქების კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის საადგილმამულო

დავას განიხილავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის საადგილმამულო დავას განიხილავს ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო, ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხლი 142. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენცია საადგილმამულო დავის გადაწყვეტისას

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენციას მიეკუთვნება დავის გადაწყვეტა მიწით სარგებლობის საკითხებზე:

ა) რაიონის ტერიტორიაზე მდებარე კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის;

ბ) ამ საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეთა შორის.

მუხლი 143. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენცია საადგილმამულო დავის გადაწყვეტისას

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენციას მიეკუთვნება დავის გადაწყვეტა მიწით სარგებლობის საკითხებზე:

ა) ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფო კოოპერაციულ, საზოგადოებრივ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის;

ბ) ამ საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და მოქალაქეთა შორის;

გ) მოქალაქეთა შორის, გარდა იმ დავისა, რომელიც ვათავალისწინებულია ამ კოდექსის 149-ე მუხლით.

მუხლი 144. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენცია საადგილმამულო დავის გადაწყვეტისას

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო და სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომპეტენციას მიეკუთვნება მოქალაქეთა შორის მიწით სარგებლობის საკითხზე დავის განილა, გარდა იმ დავისა, რომელიც ვათავალისწინებულია ამ კოდექსის 149-ე მუხლით.

მუხლი 145. საადგილმამულო დავის აღძვრა



სადგილმამულო დავა აღიქვება ერთ-ერთი მხარის განცხადებით. განცხადებას უნდა დაერთოს საჭირო დოკუმენტები.

სადგილმამულო დავის მონაწილე მხარეებს უფლება აქვთ: გაეცნონ საადგილმამულო დავის მასალებს; ამოიწერონ საჭირო მონაცემები; მონაწილეობა მიიღონ დავის განხილვაში; წარადგინონ დოკუმენტები და სხვა მტკიცებულებანი; აღძრან შუამდგომლობა; მისცენ ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტება; უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობანი, დასკვნები და მოსაზრებანი; მიიღონ საადგილმამულო დავის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების ასლი.

მუხლი 146. მასალის მომზადება საადგილმამულო დავის გადასაწყვეტად

სადგილმამულო დავის გადასაწყვეტად საჭირო მასალას ამზადებენ მიწათმომწყობი ორგანოები.

სადგილმამულო დავის გადასაწყვეტად მასალების მომზადებისათვის მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლია აუცილებელ შემთხვევებში შექმნას სპეციალური კომისია მშრომელთა დებუტატების ადგილობრივი საბჭოს დებუტატების, მიწათმომწყობი ორგანოების წარმომადგენლებისა და სპეციალისტებისაგან.

მუხლი 147. საადგილმამულო დავის განხილვის წესი

სადგილმამულო დავის განხილვაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები, რომლებსაც უნდა შეატყობინონ დავის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ.

სადგილმამულო დავის განხილვა ხდება მშრომელთა დებუტატების შესაბამისი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე მხარეთა გამოწვევით. მხარის გამოუცხადებლობა, თუ მას შეატყობინეს საადგილმამულო დავის განხილვის დღის შესახებ, არ დააბრკოლებს დავის განხილვას.

სადგილმამულო დავის განხილველი ორგანო თავის თაობაზე იღებს გადაწყვეტილებას, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი შესრულების წესი და ღონისძიებები მიწათმოსარგებლის დარღვეული უფლების აღსადგენად.

მუხლი 148. საადგილმამულო დავის თაობაზე გადაწყვეტილების აღსრულება

გადაწყვეტილებას საადგილმამულო დავის თაობაზე აღსრულებენ მიწათმომწყობი ორგანოები, თუ გადაწყვეტილებაში მითითებული არ არის აღსრულების სხვა ორგანო.

გადაწყვეტილება საადგილმამულო დავის თაობაზე შეიძლება გასაჩივრებულ იქნეს ზემ-

დგომ ორგანოში ათი დღის ვადაში მისი ჩაბარების დღიდან. გადაწყვეტილების გასაჩივრება ვერ შეაჩერებს მის აღსრულებას.

სადგილმამულო დავის თაობაზე გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს აქვს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების ან განვადების უფლება საადგილმამულო დავის გადაწყვეტი ზემდგომი ორგანოს მიერ საჩივრის განხილვამდე.

მუხლი 149. ინდივიდუალურ ნაგებობათა თანამფლობელებს შორის საადგილმამულო დავის განხილვა

ქალაქების, ქალაქის ტიპის დაბების მიწებზე და მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სასოფლო დასახლებულ პუნქტებში მიწომილ მიწის ნაკვეთებზე ინდივიდუალურ ნაგებობათა თანამფლობელებს შორის დავის განხილვა საერთო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის შესახებ ხდება სასამართლო წესით.

საერთო მიწის ნაკვეთით სარგებლობის წესის განსაზღვრა ხდება მოქალაქეთა საკუთრებაში მყოფ ნაგებობათა ნაწილის გათვალისწინებით. სასამართლოს შეუძლია გადაუხვიოს ამ წესს იმ შემთხვევაში, როდესაც ინდივიდუალური ნაგებობის თანამფლობელთა შორის დამკვიდრებულია მიწის ნაკვეთით გარკვეული სარგებლობის წესი და მის შეცვლას შეუძლია არსებითად შელახოს მათი ინტერესები.

მუხლი 150. საადგილმამულო ურთიერთობებთან დაკავშირებული ქონებრივი დავის განხილვის წესი

სადგილმამულო ურთიერთობასთან დაკავშირებული ქონებრივი დავის განხილვა ხდება სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**პარი XI
პასუხისმგებლობა მიწის
კანონმდებლობის
დარღვევისათვის**

მუხლი 151. მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების დამრღვევი გარიგების ბათილობა

მიწის ნაკვეთის ყიდვა-გაყიდვა, დაგირავება, ანდერძით დატოვება, ჩუქება, იჯარით გაცემა, თვითნებური გაცემა და სხვა გარიგებანი, რომლებიც აშკარა თუ ფარული ფორმით არღვევენ მიწაზე სახელმწიფო საკუთრების უფლებას, ბათილია.

მუხლი 152. სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიწის კანონმდებლობის დარღვევისათვის

თანამდებობის პირებს და მოქალაქეებს, რომელთაც ბრალი მიუძღვით ამ კოდექსის



152-ე მუხლში მითითებულ ვარიანტების დადგენაში და აგრეთვე—

მიწის ნაკვეთების თვითნებურად დაკავებაში; მიწის უყიარათო და არაშრომითი შემოსავლის წყაროდ გამოყენებაში;

სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების გაფუჭებაში, საწარმოს ან სხვა ნარჩენებით დანაგვიანებასა და ჩამდინარე წყლებით მათ გაჭუჭყიანებაში;

იმაში, რომ არ ასრულებენ სავალდებულო ღონისძიებებს მიწის გაუმჯობესების და ქარსმიერი თუ წყლისმიერი ეროზიისა და ნიადაგის მდგომარეობის გამაუარესებელი სხვა პროცესებისაგან ნიადაგების დაცვადად;

იმაში, რომ თავის დროზე არ აბრუნებენ დროებით დაკავებულ მიწას ან არ ასრულებენ თავის მოვალეობას გაავარგისონ მიწა დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად;

მიწათსარგებლობის სამიჯნე ნიშნების მოსპობაში;

დადგენილი წესით დამტკიცებული შედარებით მიწათმოწყობის პროექტებისაგან სთანადო ნებართვის გარეშე გადახვევაში;

იმაში, რომ არ იღებენ ღონისძიებებს სარეველების წინააღმდეგ საბრძოლველად;

ნიადაგის ნაყოფიერი ფენის აღებისა და შენახვის პირობების შეუსრულებლობაში, —

ეკისრებათ სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების მიწის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით შეიძლება დადგენილიქნეს პასუხისმგებლობა მიწის კანონმდებლობის სხვა სახის დარღვევებისათვისაც.

მუხლი 153. თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთის დაბრუნება

თვითნებურად დაკავებული მიწის ნაკვეთი უნდა დაუბრუნდეს კუთვნილებისამებრ ან ხარჯების აღნაზღაურებლად, რომლებიც უკანონო სარგებლობის დროს იყო გაწეული.

მიწის ნაკვეთის გამოსაყენებლად გეგარგისება, ნაგებობათა აღებითურთ, წარმოებს იმ საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების თუ მოქალაქის ხარჯზე, რომელმაც თვითნებურად დაიკავა მიწის ნაკვეთი.

თვითნებურად დაკავებული ნაკვეთის დაბრუნება ხდება მშრომელთა დემუტატების სასოფლო, სადაბო, საქალაქო, რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით

მუხლი 154. მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა მიწათსარგებლობის წესების სისტემატური დარღვევისათვის

სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, მიწათმოსარგებლებს, რომლებიც სისტემატურად არღვევენ მიწათსარგებლობის წესს, შეიძლება ჩამოერთვას მათ მიერ არასწორად გამოყენებული ნაკვეთი.

მიწათსარგებლობის წესის სისტემატური დარღვევისათვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა ხდება იმ ორგანოს დადგენილებით (გადაწყვეტილებით), რომლის მიერაც გაეცემულია ეს მიწის ნაკვეთი.

მუხლი 155. მიწის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზარალის ანაზღაურება

საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები და მოქალაქენი ვალდებული არიან ანაზღაურონ მათ მიერ მიწის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გამოწვეული ზარალი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური იუსტიციის სამინისტროს შექმნასთან დაკავშირებით სსრ კავშირის კანონმდებლობაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ადგენს:

1. დაეკისროს სსრ კავშირის საკავშირო-რესპუბლიკური იუსტიციის სამინისტროს: მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოებისა და სამხედრო ტრიბუნალების

საორგანიზაციო ხელმძღვანელობა, ადვოკატურის, ნოტარიატისა და იუსტიციის სხვა დაწესებულებათა ხელმძღვანელობა;

კანონმდებლობის კოდიფიკაციის შესახებ წინადადებათა სისტემატიზაცია და მომზადება; სხვა ფუნქციების განხორციელება სსრ კავ-

შირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად.

2. შეტანილ იქნეს შემდეგი დამატებანი სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონმდებლობის საფუძვლებში, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 12):

შეივსოს საფუძვლები შემდეგი შინაარსის 38¹ მუხლით:

„მუხლი 38¹. სასამართლოების ორგანიზაციული ხელმძღვანელობა

სასამართლოების ორგანიზაციულ ხელმძღვანელობას იმ ფარგლებში და წესით, რომელსაც ითვალისწინებს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობა, ახორციელებენ:

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო — მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოებისა და სამხედრო ტრიბუნალებისადმი;

მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, საოლქო, სამხარეო, საქალაქო სასამართლოების, ავტონომიური ოლქებისა და ნაციონალური ოლქების სასამართლოების, რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისადმი;

ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებები — რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოებისადმი.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო:

ა) შეიმუშავეს წინადადებებს სასამართლო ორგანოების ორგანიზაციის, მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარების საკითხებზე;

ბ) ხელმძღვანელობს სასამართლო ორგანოების კადრებთან მუშაობას;

გ) ამოწმებს სასამართლო ორგანოების მუშაობის ორგანიზაციას;

დ) შეისწავლის და განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკას და კოორდინაციას უწყევს ამ საქმიანობას სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსთან;

ე) ორგანიზაციას უწყევს მუშაობას სასამართლო სტატისტიკის წარმოების ხაზით.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს უფლება აქვს შეიტანოს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში წინადადებები კანონმდებლობის გამოყენების საკითხებზე სა-

სამართლოებისათვის სახელმძღვანელო განმარტებების მიცემის შესახებ.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებები მოწოდებულნი არიან ყოველმხრივ ხელი შეუწყონ მართლმსაჯულების მიზნებისა და სასამართლოების ამოცანების განხორციელებას, ამასთან ზუსტად დაიცვან მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მხოლოდ კანონისადმი მათი დაქვემდებარების პრინციპი“;

მე-13 მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილით:

„აღვოკატურის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებენ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებები იმ ფარგლებში და წესით, რომლებსაც ადგენს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა“;

38-ე მუხლის პირველ ნაწილს სიტყვების „სასამართლოებთან მყოფი სასამართლო აღმასრულებლები“ შემდეგ დაემატოს სიტყვებო „და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო, საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის განყოფილებებში დანიშნული უფროსები, ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები, იმ მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის მინისტრები, რომლებსაც არ გააჩნიათ საოლქო დაყოფა“.

3. სსრ კავშირის 1957 წლის 12 თებერვლის კანონით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 4, მუხ. 84 და 85; 1967 წ., № 40, მუხ. 526) დამტკიცებულ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1 მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ამოწმებს მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო ორგანოების მიერ საერთო-საკავშირო კანონმდებლობის გამოყენებას, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა შესრულებას“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო შეისწავლის სასამართლოების მიერ კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკას და აძლევს სასამართლოებს,



სახელმძღვანელო განმარტებებს მისი გამოყენების საკითხებზე“;

მე-7 მუხლი შეივსოს შემდეგი შინაარსის მესამე ნაწილით:

„პლენუმის სხდომებში მონაწილეობს სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი“;

მე-15 მუხლიდან ამოღებულ იქნეს პუნქტი „ე“;

მე-16 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარეს ეკისრება აგრეთვე ორგანიზაციული ხელმძღვანელობა სამხედრო ტრიბუნალებისადმი“.

4. შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონით (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წ., № 1, მუხ. 14; 1968 წ., № 9, მუხ. 64) დამტკიცებულ სამხედრო ტრიბუნალების დებულებაში:

22-ე, 23-ე და 24-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 22. სამხედრო ტრიბუნალებისა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს სტრუქტურასა და შტატებს განსაზღვრავს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან ერთად.

სამხედრო ტრიბუნალების, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის პირადი შემადგენლობა შედის სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა შტატში და უზრუნველყოფილია ყველა სახეობის მომარაგებით სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ჯარის ნაწილებისა და დაწესებულებების პირადი შემადგენლობის თანაბრად.

სამხედრო ტრიბუნალების მოსამართლეთა და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის საშტატო თანამდებობებისა და ამ თანამდებობების შესაბამისი სამხედრო წოდებების ნუსხას ამტკიცებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი: სამხედრო ტრიბუნალებისათვის — სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრისა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ერთობლივი წარდგინებით; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სამხედრო კოლეგიისათვის — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ერთობლივი წარდგინებით.

მუხლი 23. ოფიცერთა შემადგენლობა, სამხედრო ტრიბუნალების, სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს და სსრ კავშირის უმაღლესი

სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სერჟანტები და ზემდეგები იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში, და მათზე ვრცელდება დებულებები სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ, სამხედრო წესდებები და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებები, რომლებიც განსაზღვრავენ სამსახურის გავლის წესს.

უმცროსი და უფროსი ოფიცერთა შემადგენლობის სამხედრო წოდებების მინიჭება ხდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით; სამხედრო ტრიბუნალებისა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს სამხედრო მოსამსახურეთათვის — სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს უფროსისა და შეიარაღებულ ძალთა სახეობების, ოლქების, ჯარების ჯგუფების, ფლოტების და სამხედრო ტრიბუნალების თავმჯდომარეთა წარდგინებით; სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სამხედრო მოსამსახურეთათვის — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარის წარდგინებით.

სამხედრო ტრიბუნალებისა და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს სამხედრო მოსამსახურეებს გენერლის სამხედრო წოდებას ანიჭებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრისა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ერთობლივი წარდგინებით, ხოლო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის სამხედრო მოსამსახურეებს — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის ერთობლივი წარდგინებით.

მუხლი 24. სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრო და მისი სამხედრო ტრიბუნალების სამმართველო ახორციელებენ:

ა) სამხედრო ტრიბუნალების მუშაობის ორგანიზაციის შემოწმებას;

ბ) სამხედრო ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკის შესწავლასა და განზოგადებას, ამასთან — საჭმინაობას კოორდინაციას უწყებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსთან, აგრეთვე სასამართლო სტატისტიკის წარმოების ხაზით მუშაობის ორგანიზაციას;

გ) სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროსთან ერთად წინადადებათა მომზადებას სამხედრო ტრიბუნალების ორგანიზაციის საკითხებზე.

სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრი და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო

ტრიბუნალების სამმართველოს უფროსი გამოსცემენ ბრძანებებს სამხედრო ტრიბუნალების მუშაობის ორგანიზაციის თაობაზე“;

27-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამხედრო ტრიბუნალების სამმართველოს უფროსი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თავმჯდომარე თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ინფორმაციას აწვდიან სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრსა და საბჭოთა არმიის და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი პოლიტიკური სამმართველოს უფროსს სამხედრო ტრიბუნალების საქმიანობიდან გამომდინარე საკითხებზე“.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 30 სექტემბრის ბრძანებულების (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1967 წ., № 40, მუხ. 526) მე-3 მუხლი.

6. წინადადება მიეცეთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაში შეიტანონ ცვლილებები და დამატებები ამ ბრძანებულების შესაბამისად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. კოდგორნი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ბიორბაქა.**

მოსკოვი, კრემლი. 1971 წლის 12 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

იურისტპრეზიდენტის დარგში ზანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება:

აბაშიას პარმენ ერასტის ძეს — ვალის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

არავიაშვილს ბარბარე იოსების ასულს — თბილისის კალინინის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

აშორდიას სევასტი ნესტორის ძეს — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის განყოფილების იურისკონსულტს.

ახუბას მიხეილ ჩალის ძეს — აფხაზეთის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს.

გველესიანს არჩილ ვალერიანის ძეს — ზესტაფონის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

გიორგაძეს იოსებ ნიკოლოზის ძეს — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს სარევიზიო სამმართველოს უფროსს.

გობრონიძეს ნინო ყარამანის ასულს — მახარაძის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

ღევდარიანს გრიგოლ გრიგოლის ძეს —

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

დიდიშვილს მარგარიტა კონდრატის ასულს — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს იურისკონსულტს.

დიღვესკაიას ია გიორგის ასულს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროს კონსულტანტს.

ერქომაიშვილს ნინო ივანეს ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ვერულიძეს მაკარ ხარიტონის ძეს — აჭარის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

კანდელაკს ვიქტორ ვიქტორის ძეს — თბილისის № 1 უნივერსიტეტის უფროს იურისკონსულტს.

კვაჭავას ნიკოლოზ მიხეილის ძეს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის მოადგილეს.

კომახიძეს მამია ხარიტონის ძეს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამმართველოს უფროსს.

მეგრელიშვილს თეიმურაზ ბიჭიას ძეს — „საქლითონმომარაგება-გასაღების“ სამმართველოს უფროს იურისკონსულტს.

მთიულიშვილს აკაკი იოსების ძეს — თბილისის ლენინის რაიონის პროკურორს.

მიროტაძეს შოთა მალაქიას ძეს — ქ. კიათურის პროკურორს.

მიქაძეს ნიკოლოზ გრიგოლის ძეს — საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურატურის განყოფილების უფროსს.

ნადარეიშვილს ვიკოა მიხეილის ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსის მოადგილეს.

ნანიტაშვილს სოლომონ სერგოს ძეს — თბილისის პროკურორის მოადგილეს.

პრავედინს ვლადიმერ მათეს ძეს — პენსიონერს.

უვანაის ვახტანგ გრიგოლის ძეს — თბილისის კიროვის რაიონის სახალხო მოსამართლეს.

ულენტს გრიგოლ მიხეილის ძეს — თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

როსტომიშვილს ირაკლი გიორგის ძეს — საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

სიხარულიძეს სერგო ილარიონის ძეს — თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

უგრეხელიძეს გურამ პლატონის ძეს — თბილისის პირველი მაისის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატს.

ფოჩიანს დანიელ ვასილის ძეს — თბილისის პროკურორის უფროს თანაშემწეს.

ღულუნიშვილს ალექსანდრე არსენის ძეს

— საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

შაორშაძეს პლატონ თევდორეს ძეს — ცეკავშირის უფროს არბიტრს.

ჩერქეზიას შუშანიკ ავეტისის ასულს — აფხაზეთის ასსრ პროკურორის თანაშემწეს.

ცაბლოვას ელისაბედ ბავლეს ასულს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ცაგარელს ლიდა გიორგის ასულს — საქართველოს სამეურნეო ვაჭრობის რესპუბლიკური ბაზის იურისკონსულტს.

ციმაუკრიძეს გიორგი ალექსანდრეს ძეს — თბილისის სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგეს.

ცქვიტარიას მელქისედექ ბესარიონის ძეს — თბილისის ოქტომბრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის გამგეს.

ჭაჭიას აბესალომ ესტატეს ძეს — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრს.

ხომერიკს პილატ ლევარსის ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსს ამიერკავკასიის რკინიგზაზე.

ხოფერიას პოლიექტორ ათანასეს ძეს — თბილისის პროკურორის თანაშემწეს.

ხოშტარიას ალექსანდრე გიორგის ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მე-4 მთავარი სამმართველოს იურისკონსულტს.

ჯაჯანაშვილს თეიმურაზ ესტატეს ძეს — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილეს.

ჯღარკავას ველან გიორგის ძეს — ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ძოწენიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვპუბაძე**
თბილისი. 1971 წლის 16 აგვისტო.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ვენერიულ სნეულებათა გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ

„ვენერიულ სნეულებათა გავრცელებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 1 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 122-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 122.** ვენერიული სენის შეყრა ან ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისაგან მიღებული ვაფრთხილების შემდეგ ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

წინასწარი შეცნობით ვენერიული სენის

შეყრის საფრთხეში სხვა პირის ჩაყენება სქესობრივი კავშირით თუ სხვაგვარი ქმედობით — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე, ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე, ან ჯარიმით ას მანეთამდე.

ვენერიული სენის შეყრა სხვა პირისათვის, იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ მას ეს სენი სჭირდა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე.

ამ მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული ქმედობა, ჩადენილი იმ პირის მიერ, რომელიც ადრე გასამართლებული იყო სხვა პირისათვის ვენერიული სენის შეყრის გამო, აგრეთვე ორი ან მეტი პირისათვის ან არასრულწლოვანისათვის ვენერიული სენის შეყრა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **ბ. ძოწანიძე**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. კვპაძე**

თბილისი, 1971 წლის 28 ოქტომბერი.

ბ რ ძ ე ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველო სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების 22-ე და 36-ე მუხლებში ცვლილებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1970 წლის 31 აგვისტოს ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შემდეგი ცვლილებანი:

1. 43-ე მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 43.** დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში.

დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის და

იშვება იმ მომენტიდან, როცა ბრალდებულს გამოუტყალებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და გასაცნობად წარუდგინენ საქმის მთელ წარმოებას. პროკურორის დადგენილებით დამცველი შეიძლება დაშვებულ იქნეს საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდების წაყენების მომენტიდან.

იმ საქმეებზე, რომლებზეც წინასწარი გამოძიება არ ჩატარებულა, დამცველი დაიშვება ბრალდებულის სამართალში მიცემის მომენტიდან.

დამცველად დაიშვებიან ადვოკატები, პროფესიული კავშირებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სასამართლოს განჩინებით ან მოსამართლის დადგენილებით დამცველად შეიძლება დაშვებულ იქნენ სამართალში მიცემულის ახლო ნათესავები და კანონიერი წარმომადგენლები, აგრეთვე სხვა პირები“.

2. 44-ე მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 44. დამცველის სავალდებულო მონაწილეობა საქმეში წინასწარი გამოძიების და სასამართლო განხილვის დროს

დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა შემდეგ საქმეებზე:

არასრულწლოვანთა საქმეებზე;

მუწჯი, ყრუ, უსინათლო და სხვა ისეთი პირების საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თვითონ განახორციელონ თავის დაცვის უფლება;

იმ პირთა საქმეებზე, რომლებიც არ ფლობენ ენას, რომელზედაც მიმდინარეობს სასამართლო წარმოება;

ამ შემთხვევებში დამცველი საქმეში მონაწილეობისათვის დაიშვება ბრალდების წაყენების მომენტიდან.

დამცველის მონაწილეობა იმ პირთა საქმეებზე, რომლებსაც ბრალად ედებათ ისეთი დანაშაულის ჩადენა, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, სავალდებულოა იმ მომენტიდან, როცა

ბრალდებულს გამოუტყალებენ წინასწარი გამოძიების დამთავრების შესახებ და გასაცნობად წარუდგინენ საქმის მთელ წარმოებას.

სასამართლო განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ საქმეებზე, რომელშიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალდებელი, აგრეთვე წინააღმდეგობის არსებობისას სამართალში მიცემულთა ინტერესებს შორის, — თუ ერთ მათგანს მინც ჰყავს დამცველი.

თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თვით ბრალდებულს, სამართალში მიცემულს ან მათი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ, სასამართლო ან შესაბამისად გამოძიებელი და პროკურორი ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში“.

3. 45-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანის ან იმ პირის მიერ, რომელსაც თავისი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძს განახორციელოს თავის დაცვის უფლება, აგრეთვე იმ პირის მიერ, რომელიც არ ფლობს ენას, რომელზედაც მიმდინარეობს სამართალწარმოება ან რომელსაც ბრალი ედება ისეთი დანაშაულის ჩადენაში, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, — დამცველზე უარის თქმა სასამართლოსათვის ან შესაბამისად გამოძიებლისა და პროკურორისათვის სავალდებულო არ არის“.

4. 222-ე მუხლის მე-2 ნაწილი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„არასრულწლოვანთა დანაშაულისა და იმ დანაშაულის საქმეებზე, რომლისთვისაც სასჯელის ზომად შეიძლება დაინიშნოს სიკვდილით დასჯა, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ მოსამართლე არ ეთანხმება საბრალდებო დასკვნას ან აუცილებელია ბრალდებულის მიმართ შერჩეული ადვოკატის ღონისძიების შეცვლა, ტარდება სასამართლოს განმწესრიგებელი სხდომა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე — მ. ძეგანიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — ზ. კვამჩხია

თბილისი, 1971 წლის 28 ოქტომბერი.

საზღვარგარეთო კავშირების სამინისტროს

შემოსავლის სახეები, რომლებიდანაც ხდება ალიმენტის დაკავება

შემოსავლის სახეები, რომლებიდანაც ხდება ალიმენტების დაკავება განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1969 წლის 22 იანვრის ერთობლივი დადგენილებით.

ამ დადგენილებით მუშებსა და მოსამსახურეებს ალიმენტები უკავდებათ ძირითად და შეთავსებით სამუშაოზე მიღებულ ყველა იმ ხელფასიდან და დამატებითი გასამრჩელოდან, რომლებსაც მოქმედი წესების თანახმად დაერიცხება სოციალური დაზღვევის შესატანი, მათ შორის:

ძირითადი ხელფასიდან (თანამდებობრივი, სატარიფო, სანარდო და ა. შ. განაკვეთებიდან);

ხელფასის ყველა სახის დანამატებიდან;

ფულადი და ნატურალური პრემიებიდან;

საზეგანაკვეთო, დასვენებისა და დღესასწაულის დღეებში მუშაობისათვის ანაზღაურების თანხებიდან;

ხელფასიდან, რომელიც მუშაკს ენახება შვებულების პერიოდში, აგრეთვე სამუშაოდან გათავისუფლებისას გამოუყენებელი შვებულების საკომპენსაციო და რამდენიმე წლის შვებულების შეერთების თანხებიდან;

მუშა-მოსამსახურეებს სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულების დროს, კვალიფიკაციის ამაღლებისა და ზოგიერთ სხვა შემთხვევებში ენახებათ საშუალო ხელფასი. ამ

სახის ხელფასიდანაც ხდება ალიმენტის დაკავება.

ხელფასის იმ დანამატებს, რომლებიც გაიცემა შორეული ჩრდილოეთის და მასთან გათანაბრებულ რაიონებში მუშაობისათვის და წელთა დამსახურების ერთდროულ გასამრჩელოს (პროცენტულ დანამატებს) დაერიცხება სოციალური დაზღვევის შესატანი, ამიტომ ისინიც მიიღებიან მხედველობაში საალიმენტო თანხების დაქვითვის დროს.

ალიმენტის დაკავება ხდება აგრეთვე, საწარმოს (ორგანიზაციის) მუშაობის საერთო წლიური შედეგებისათვის გასამრჩელოდან;

გასამრჩელოდან, რომლებიც ეძლევათ გაზეთების, ჟურნალების, საკდესის, ახალი ამბების სააგენტოს, რადიოსა და ტელევიზიის შტატის მუშაკებს ლიტერატურული ჰონორარის ფონდიდან, აგრეთვე შტატგარეშე ლიტერატურულ მუშაკებს, რომლებიც სახელმწიფო სოციალურ დაზღვევას ექვემდებარებიან;

ალიმენტების დაკავებისას განსაკუთრებული წესია დადგენილი იმ პირებისათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ან იმყოფებიან სამკურნალოდ სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურიუმებში. ასეთ შემთხვევებში მხედველობაში მიიღება მათთვის დარიცხული თანხა გადასახადების გამოკლებით, ხოლო ალიმენტების დაკავება ხდება იმ თანხიდან, რომლებიც დარჩება ხელფასიდან კვების, ნივთობრივი კმაყოფის, სპეციალური მკურნალობის ღირებულების



დაქვეითვისა და პირად ანგარიშზე მინიმალური ხელფასის გადარიცხვის შემდეგ.

კანონმდებელი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგით და მეთაურთა შემადგენლობის პირების შრომის ანაზღაურების სპეციფიკას, ამ პირებს ალიმენტი დაუკავდებათ თანამდებობრივი განაკვეთიდან სამხედრო წოდების მიხედვით, აგრეთვე განაკვეთებზე მუდმივი ხასიათის მქონე დანამატებიდან. ვადიან სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ღებულობენ ფულად კმაყოფას თვეში 10 და მეტი მანეთის რაოდენობით, ალიმენტი გადახდებათ საერთო წესით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურება ხდება როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით. ამიტომ კოლმეურნეობის წევრებისაგან ალიმენტების დაკავება ხდება კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მუშაობაში მუშაობისათვის მიღებული თანხებიდან, ნატურალურ გაცემათა ღირებულების ჩათვლით. ზემოაღნიშნულ დადგენილებაში 1971 წლის 10 თებერვლის დადგენილებით შეტანილია ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, დადგინდა, რომ მწერლებს, კომპოზიტორებს, მხატვრებსა და სხვა შემოქმედებით მუშაებს ალიმენტები უკავდებათ საავტორო პონორარის თანხებიდან და გასამრჩელოებიდან, რაც ეძლევათ ნაწარმოების საჯარო შესრულებიდან, ხოლო ვინც ღებულობს ხელფასს — ასევე ხელფასიდანაც.

ადვოკატებს — იურიდიულ კონსულტაციაში მუშაობისათვის მიღებულ ხელფასის ყველა სახეობიდან, შტატგარეშე ლექტორებს — ლექციების კითხვისათვის ანაზღაურებიდან, მასწავლებლებს, რომლებიც გაკვეთილებს იძლევიან და კერძო პრაქტიკის მქონე ექიმებს — მათი შემოსავლიდან.

ხელფასებისა და მათზე დანამატების გარდა ალიმენტების დაკავება ხდება აგრეთვე შემოსავლის სხვა სახეებიდანაც:

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით გაცემული დახმარებიდან, აგრეთვე კოლმეურნეობებში დადგენილი ღრობითი შრომისუუნარობის დახმარებებიდან;

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით დახმარებებზე დანამატებიდან, რომლებიც წარმოებს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხარჯზე შორეულ ჩრდილოეთსა და მასთან გათანაბრებულ რაიონებში;

დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა სახის დაზიანებისაგან შრომისუნარის დაკარგვით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების თანხებიდან, იმ თანხების გამოკლებით, რაც დაზარალებულებს ეძლევათ მოვლის, დამატებითი კვების, პროტეზირებისა და სანატორულ-საკურორტო მკურნალობისათვის (მგზავრობის თანხების ჩათვლით) გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად;

ფაქტიურად მიღებული პენსიიდან, პენსიებზე იმ დანამატების გარდა, რაც 1 ჯგუფის ინვალიდებს ეძლევათ მათი მოვლისათვის;

უმაღლეს, საშუალო სასწავლებლებსა და კურსებზე სწავლის პერიოდში გაცემული სტიპენდიიდან;

შინამრეწველურ-ხელოსნური და ერთპიროვნული მეურნეობის შემოსავლიდან;

საკარმიდამო ნაკვეთისა და დამხარე მეურნეობის იმ წილიდან, რაც ეკუთვნის ალიმენტის გადამხდელს;

დადგენილება ზუსტად განსაზღვრავს შემოსავლის თუ დახმარების სახეებს, საიდანაც ალიმენტების გადახდა არ სწარმოებს. ასეთებია:

— სამუშაოდან გათავისუფლებისას გაცემული გასასვლელი დახმარების და მატერიალური დახმარების თანხები,

ერთდროული პრემიები, რომლებზედაც არ ხდება სადაზღვევო შესატანების დარიცხვა; მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში უდიდესი (გამოჩენილი) ნამუშევრებისათვის მინიჭებული პრემიები;

— გამოგონებისა და რაციონალიზატორული წინადადებისათვის ერთდროულ გასამრჯელოთა თანხები;

— მივლინებისა და სხვა ადგილას გადაყვანის საკომპენსაციო თანხები;

— საველე კმაყოფის, ხელფასზე დანამატების და სხვა თანხები, რაც გაციემა სადღელამისო და მსგავსი გარემოებების გამო;

— ინსტრუმენტების ამორტიზაციის და ტანსაცმლის ცვეთის საკომპენსაციო თანხები;

— ზოგიერთი კატეგორიის მუშაკებს, სპეციალური დადგენილებების

შესაბამისად, ეძლევათ უფასო სარგებლობის ბინები კომუნალური მომსახურებით, ან

— უფასოდ ფორმის ტანსაცმელი და ნატურალური კმაყოფა (ან მათი ფულადი კომპენსაცია). ამ სახის ღირებულებიდან ალიმენტის დაკავება არ ხდება.

სამხედრო მოსამსახურეებს, აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების რიგით და მეთაურთა შემადგენლობის პირებს ალიმენტები არ უკავდებათ სამსახურიდან დათხოვნისას გაცემული გასასვლელი და ერთდროული დახმარებებიდან, აგრეთვე ფულადი კმაყოფის იმ თანხებიდან, რაც მუდმივ ხასიათს არ ატარებს.

ალიმენტების დაკავება ხდება ხელფასის (შემოსავლის) იმ თანხებიდან, რაც უწევს ალიმენტის გადამხდელს გადასახადების დაკავების შემდეგ.

საქართველოს მთავრობის

1. განრიგის შეცვლა არ იწვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი მატერიალური პასუხისმგებლობისაგან მიმწოდებლის ავტომატურ გათავისუფლებას

„საქვალანტერეია“ აღძრა სარჩელი წულუკიძის სინთეზური მასალების ნაკეთობათა ქარხნის მიმართ 1970 წლის პირველ კვარტალში ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის უკმარისწოდებისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე. მხარეების ანგარიშსწორების დაუსტების შემდეგ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. ზედამხედველობის წესით საჩივარში ფაბრიკა სხვა მოსაზრების გარდა უთითებდა, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ მისმა ზემდგომმა ორგანომ შეცვალა წინათ დაშვებული განრიგები და ამის შესაბამისად შემცირდა მისი ვალდებულება მაძიებლის წინაშე. ადრე გამოყოფილი საქონლის ნაწილი გადაეცა სხვა სავაჭრო ორგანიზაციას. საჩივარი დატოვებული იქნა უშედეგოდ.

ფაბრიკის განმარტა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის 1969 წლის 29 ივლისის № 0-1-28 ინსტრუქციის მე-8 მუხლის თანახმად განრიგის შეცვლა ავტომატურად არ ცვლის ხელშეკრულებების პირობებს და არ იწვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის დადგენილი მატერიალური პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას. ასეთ შემთხვევაში დაინტერესებულმა მხარემ, სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 22-ე მუხლის შესაბამისად, უნდა დასვას საკითხი ხელშეკრულების შეცვლის შესახებ.

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა უნდა გადაიჭრას არბიტრაჟში.

2. ხელშეკრულება წილობრივად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წილობრივ მონაწილედ დასახელებულმა ორგანიზაციებმა უშუალო მონაწილეობა მიიღეს ხელშეკრულების ყველა პირობის შემუშავებაში და ხელი მოაწერეს მას

სოსუმის თამბაქოს კომბინატმა სარჩელი აღძრა საქბაკალიას სოსუმის ბაზის მიმართ 1970 წლის პირველ ნახევარში თამბაქოს ნაწარმის აუთვისებლობისათვის პირგასამტეხლოს გადახდევინებაზე. სარჩელის თანხა აღემატებოდა 120.000 მანეთს. სარჩელს საფუძვლად ედო მიწოდების ხელშეკრულება დადებული ტრესტ საქთამბაქოსა და საქბაკალიას რესპუბლიკური ბაზას შორის. ხელშეკრულებაში ნაწილობრივ მონაწილედ ორივე მხრიდან დასახელებული იყვნენ მთელი რიგი ორგანიზაციები — მათ შორის ამ საქმეზე მოდავე სოსუმის ბაზა. ძიება დაკმაყოფილდა 72.500 მანეთის ფარგლებში.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილება აღიარებულ იქნა არასწორად და საქმე დაუბრუნდა სახარბიტროს განმეორებით განხილვისათვის.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების მე-12 მუხლის თანახმად, მყიდველსა და მიმწოდებელს უფლება აქვთ ხელშეკრულებაში წილობრივი მონაწილეობისათვის ჩააბან სხვა საწარმოები და ორგანიზაციები. ამ შემთხვევაში წილობრივი მონაწილე საწარმოები და ორგანიზაციები უშუალო მონაწილეობას იღებენ ხელშეკრულების ყველა პირობის შემუშავებაში, ხელს აწერენ მას და პასუხს აგებენ ვალდებულებათა შესრულებაზე თავისი წილის ფარგლებში. ამ უფლების გადანდობა სხვაზე, თუნდაც ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელზე დებულებით გათვალისწინებული არ არის. ამ დავის განმეორებით გარჩევაზე შედეგად ხელშეკრულების პირობის დარღვევისათვის კუთვნილი პირგასამტეხლოს თანხა გადახდა საქბაკალიას რესპუბლიკურ ბაზას.

საქმის ზედამხედველობის წესით გარჩევას დროს ხელშეკრულების ღეღნით დადგინდა, რომ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მხოლოდ ტრესტ საქთამბაქოსა და საქბაკალიას ხელმძღვანელებმა, ხოლო წილობრივ მონაწილედ დასახელებულ ორგანიზაციების მკვიერ ორმა მინდობილმა პირმა თითოეული მხრიდან, ამ შემთხვევაში ტრესტისა და ბაზის მმართველების მოადგილეებმა.

**3. მატერიალური პასუხისმგებელი პირი არ შეიძლება გამოყოფილ იქნას სა-
ზოგადოებრიობის წარმომადგენლად პროდუქციის რაოდენობრივად მიღების
დროს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი თავის სამსახურებრივი მდგომარეობით
არ ექვემდებარება საწყობს, რომელიც ახდენს პროდუქციის მიღებას**

აზერბაიჯანის ნავთობის მომარაგება-გასაღე-
ბის სამმართველომ აღძრა სარჩელი თბილისის
ლაქსაღებავების ქარხნის მიმართ მიღებული აა-
ღებავის დანაკლისის ღირებულების ანაზღაურე-
ბაზე. ძიების დასამტკიცებლად წარდგენილი
იქნა ტვირთის რაოდენობრივად მიღების აქტი
შედგენილი ამავე სამმართველოს ადგილკომის
მიერ გამოყოფილი საზოგადოებრიობის წარმო-
მადგენლის მონაწილეობით. სახარბიტრმა არ
დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ სა-
ზოგადოებრიობის წარმომადგენლად გამოყოფი-
ლი იყო უფროსი მეკუჭნავე, რომელიც თანამ-
ღებობით მატერიალურად პასუხისმგებელი პი-
რია, რაც ეწინააღმდეგება მოქმედი ინსტრუქცი-
ის მე-20 მუხლს.

იმ საწყობში, რომელმაც მიიღო სადავო პრო-
დუქცია, აგრეთვე არ ექვემდებარება მას. საჩი-
ვარი დატოვებული იქნა უშედეგოდ, მომჩივანს
განემართა, რომ პროდუქციისა და საქონლის
რაოდენობრივად მიღების შესახებ ინსტრუქცი-
ის მე-20 მუხლის ძალით, საზოგადოებრიობას
წარმომადგენლად არ შეიძლება გამოყოფილი
იქნას მიმღები ორგანიზაციის ისეთი მუშაკი,
რომელიც ან თვით არის მატერიალურად პასუ-
ხისმგებელი, ან ექვემდებარება ასეთ პირებს,
აგრეთვე ის ვინც დაკავშირებულია მატერიალუ-
რი ფასეულობათა აღრიცხვასა, შენახვასა, მი-
ღებასა და გაცემასთან. ამ შემთხვევაში უფრო-
სი მეკუჭნავე იყო მაძიებელი ორგანიზაციის
მატერიალურად პასუხისმგებელი პირი და ამი-
ტომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, მაძიებლის რო-
მელ საწყობში მუშაობდა იგი.

**4. როდესაც ტვირთი გაცემულია რკინიგზის წესდების 65-ე მუხლის შესა-
ბამისად ვაგონის ან კონტეინერის პლომბის წარმოდგენა სავალდებულო არ არის**

სამმართველო „სტაროგროზნეფთის“ მუშათა
მომარაგების განყოფილებამ აღძრა სარჩელი
თბილისის გრამფირფიტების სახლის მიმართ,
რკინიგზით მიღებული გრამფირფიტის დანაკლი-
სის ღირებულების ანაზღაურებაზე. დანიშნუ-
ლების სადგურში ტვირთი ჩავიდა წესიერულ
მდგომარეობაში მყოფი კონტეინერით, რომელ-
საც ედო გამგზავნის ხელუხლებელი პლომბი.
ეს დადასტურებული იყო რკინიგზის ზედნაღე-
ბის მეორე გვერდზე მოხდენილი შტემპელით
რკინიგზის წესდების 65 მუხლის წესით ტვირ-
თის გაცემის შესახებ და მიღების აქტით. სა-
ხელმწიფო არბიტრაჟმა მაძიებელს უარი უთხ-
რა ძიებაში იმ საფუძვლით, რომ მიღების აქ-

ტზე არ იყო დართული კონტეინერის პლომბი.
საქმის ზედამხედველობის წესით განხილვის შე-
დეგად არბიტრაჟის გადაწყვეტილება გაუქმდა,
ხოლო მუშათა მომარაგების განყოფილების სა-
რჩელი დაკმაყოფილდა სრულად. დადგენილებას
საფუძვლად დაედო სსრ კავშირის სახელმწიფო
არბიტრაჟის 1968 წლის 29 მარტის № 0-1-9
ინსტრუქციის 31-ე მუხლი, რომლის თანახმად,
როდესაც ტვირთი გაცემულია რკინიგზის წეს-
დების 65 მუხლის შესაბამისად და ზედნაღე-
ბის მოხდენილია სათანადო აღნიშვნა. მაშინ ძი-
ების აღძვრის დროს ვაგონის ან კონტეინერის
პლომბის წარდგენა საჭირო არ არის.

**5. არასათანადო თანამდებობის პირის სახელზე გაგზავნილი პრეტენზია წარ-
დგენილად არ ჩაითვლება**

თბილისის № 2 კვებავტრობამ აღძრა სარჩელი
ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მი-
მართ ვაგონების მოცდენისათვის ჩამოწერილი
ჯარიმის თანხის დაბრუნების შესახებ. თანხის
ჩამოწერა მოხდა 1969 წლის 19 ნოემბერს; საბ-

რეტენზიო ვადა (ექვსთვიანი) გრძელდებოდა
1970 წლის 19 მაისამდე. მაძიებელმა 1969 წლის
17 დეკემბერს პრეტენზიით მიმართა თბილისის
სატვირთო სადგურის უფროსს, ხოლო 1970
წლის 26 ივნისს ამიერკავკასიის რკინიგზის სამ-

მართველს. სახელმწიფო არბიტრაჟმა საქმე წარმოებით მოსპო საპრეტენზიო ვადის დარღვევის გამო. ზედამხედველობის წესით შეტანილ საჩივარში მოსარჩელე აცხადებდა, რომ საპრეტენზიო წესი მას დაცული აქვს, რამდენადაც სატვირთო სადგურის უფროსის სახელზე გაგზავნილი პრეტენზია წარდგენილი იყო ექვსთვიანი ვადის ფარგლებში. საჩივარი დატოვებულია უშედეგოდ. მომჩივანს განემარტა, რომ გადაზიდვის წესების II კარის § 1 მეხუთე აბზაცის თანახმად, პრეტენზია ჩამოწერილი ჯარი-

მის თანხის დაბრუნებაზე მას უნდა წარედგინა რკინიგზის სამმართველოს საფინანსო სამსახურში.

პრეტენზია წარდგენილად ჩაითვლება თუ იგი გაგზავნილია სათანადო მისამართით, თავის დროზე და ყველა საჭირო საბუთის დართვით. მოსარჩელემ ეს წესი დაარღვია, რამდენადაც სათანადოდ გაფორმებული პრეტენზია მან გაგზავნა მხოლოდ 1970 წლის 26 ივნისს და მასთანადე ვერ მოიპოვა უფლება სარჩელზე.

ინფორმაცია

საგანგებო-პრაქტიკული კონფერენცია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოსთან ერთად მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც სკკპ XXIV ყრილობის შედეგებს მიეძღვნა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის სექტორის გამგემ, მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. თ. წერეთელმა.

— ფრად სასიამოვნო ფაქტია, — აღნიშნა პროფ. თ. წერეთელმა, — რომ კონფერენცია ეწყობა თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა გაერთიანებული ძალებით. ასეთი შეხვედრა ჩვენს პრაქტიკაში პირველია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც უდალეს სარგებლობას მოუტანს როგორც მართლმსაჯულების საქმეს, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, ისე იურიდიული მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას. სასამართლოს განაჩენი თუ გადაწყვეტილება მით უფრო ქმედითაა, რაც უფრო ღრმად არის იგი დასაბუთებული მეცნიერულად. მეორე მხრივ, ესა თუ ის მეცნიერული დებულება, თეორიული კონცეფცია თავის გამართლებას პრაქტიკაზე დაყრდნობით პოულობს. პრაქტიკა შეშინებების კრიტერიუმი, მხოლოდ პრაქტიკაში შეიძლება შემოწმდეს ამა თუ იმ მეცნიერული დებულების სიცოცხლისუნარიანობა.

პროფ. თ. წერეთელმა სიტყვა მისცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატს თ. შავგულიძეს, რომელიც გამოვიდა მოხსენებით — „საქართველოს სსრ სსკ 106 მუხლით გათვალისწინებული მკვლელობის შედგენილობის ფსიქოლოგიური კრიტერიუმი“.

მოხსენებელი ვრცლად შეჩერდა აფექტში ჩადენილი მკვლელობის ფსიქოლოგიურ მხარეზე. მან ხაზი გაუსვა იმას, თუ რა იგულისხმება „უეცარი სულიერი აღევების“ ცნებაში. დაახასიათა ამ საკითხზე ლიტერატურაში გამოთქმული სხვადასხვა თეორიული პოზიციები. 106 მუხლის შემადგენლობაში სიტყვა „უეცარი“ შეტანით კანონმდებელი არ იძლევა პირდაპირ პასუხს იმაზე, აფექტი უეცრად უნდა მოპყვეს თუ არა

დაზარალებულის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას. აფექტი ჩვეულებრივ უშუალო რეაქციაა დაზარალებულის არამართლზომიერ მოქმედებაზე, მაგრამ გამოიჩეხული არ არის, რომ იგი გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც აღმოცენდეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ სპეციალურად უნდა დაასაბუთოს, რომ მკვლეელი მოქმედებდა უეცარი ძლიერი სულიერი აღევების მდგომარეობაში, რომ სწორედ აფექტმა შეუწყო ხელი დანაშაულებრივი განზრახვის წარმოშობას და განზრახვა სისრულეში იქნა მოყვანილი აფექტის მდგომარეობაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ტყეშელაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „განგრძობადი დანაშაულის საკითხი სასამართლო პრაქტიკაში“.

მოხსენებელმა ვრცლად მიმოიხილა განგრძობადი დანაშაულის იურიდიული ნიშან-თვისებები. მისი აზრით, განგრძობადი დანაშაული აუცილებლად ქმედობათა სიმრავლეს გულისხმობს. მიუხედავად ქმედობათა სიმრავლისა, განგრძობადი დანაშაულის დროს მაინც ერთ დანაშაულთან გვაქვს საქმე. რამდენიმე ქმედობის ერთ დანაშაულად განხილვა განპირობებულია როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მომენტებით. განგრძობადი დანაშაულის შემადგენელ ქმედობათა ობიექტური კავშირი, უპირველეს ყოვლისა, პირობადებულია ხელყოფის ობიექტით. ხელყოფის ობიექტის იგივეობა რამდენიმე ქმედობით გამოწვეულ შედეგებს კომპლექსურ შედეგად აქცევს. გარდა ხელყოფის ობიექტის იგივეობისა, აუცილებელია ერთი და იგივე შემადგენლობით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ხერხების ერთგვაროვნობა. ქმედობათა სუბიექტური კავშირის მაჩვენებელია საერთო და განუწყვეტელი ბრალის არსებობა. სუბიექტი იღებს ერთ საერთო გადაწყვეტილებას, რომელიც წინ უსწრებს და ასაზრდოებს განგრძობად დანაშაულში შემავალ ცალკეულ ქმედობათა ჩადენის კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. გ. ტყეშელაძემ გააკრიტიკა ის ავტორები, რომლებიც უარყოფენ განგრძობადი დანაშაულის ცნებას დანაშაულის განმეორების ცნების ხარჯზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის გ. შორდანას მოხსენების თემა იყო:



„დანაშაულის ანალოგიური ხერხით ჩადენის ფაქტის მტკიცებულებითი მნიშვნელობა“. მომსხენებელმა აღნიშნა ის დიდი როლი, რომელიც ენიჭება ბრალდებულის პიროვნების შესწავლას სოციალისტური კანონიერების შემდგომი განმტკიცებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის. მან ილაპარაკა ჯერ პიროვნების შესწავლის სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობაზე, შემდეგ კი მის პროცესუალურ, სახელდობრ, ბრალდებულის პიროვნების დამახასიათებელი მონაცემების მტკიცებულებით მნიშვნელობაზე. ბრალდებულის პიროვნების შესახებ ყველა მონაცემებს როდი აქვს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. მტკიცებულებად შეიძლება გამოდგეს მხოლოდ ის მონაცემები, რომლებიც ბრალდებულის პიროვნების მყარ თვისებებზე მიუთითებენ. ბრალდებულის პიროვნების თვისობრივად დამახასიათებელ ერთ-ერთ მონაცემს წარმოადგენს მისი წარსულში გასამართლების ფაქტი, რაც შეიძლება სამ ვარიანტად შეგვხვდეს:

- ა) წარსულში ნასამართლობა სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენისათვის;
- ბ) ნასამართლობა ანალოგიური დანაშაულისათვის, როცა ის ჩადენილი არ არის ბრალდებულისათვის დამახასიათებელი ხერხით;
- გ) ნასამართლობა ანალოგიურ დანაშაულთა ჩადენისათვის, როცა ეს დანაშაული ჩადენილია ბრალდებულისათვის დამახასიათებელი ხერხით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში დანაშაულის ჩადენის ხერხს ზოგჯერ შეიძლება მიეცეს მტკიცებულებითი მნიშვნელობა. თან არ უნდა დავივიწყოთ, რომ მტკიცებულებით მნიშვნელობას იძენს არა ის ფაქტი, რომ ბრალდებული წარსულში გასამართლებული იყო, არამედ ის მონაცემები, რომლებიც ადასტურებენ, რომ წინა დანაშაული ანალოგიური ხერხით იყო ჩადენილი. წარსულში ანალოგიური ხერხით დანაშაულის ჩადენის ფაქტი შეიძლება გამოდგეს არაპირდაპირ მტკიცებულებად. წარსულში ანალოგიური ხერხით დანაშაულის ჩადენისათვის ბრალდებულის გასამართლების ფაქტის არაპირდაპირ მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა ემყარება მოვლენათა ობიექტურ კავშირს. განსაზღვრული საქმის გარემოებებსა და ბრალდებულის მიერ წარსულში ანალოგიური ხერხით დანაშაულის ჩადენის ფაქტს შორის შეიძლება არსებობდეს ისეთი სახის ობიექტური კავშირი, როგორც არის პირობისა და განპირობებულობის კავშირი. ამ სახის ობიექტური კავშირის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთ მოვლენას ან ურთიერთმოქმედ მოვლენათა ჯგუფს შეუძლია გამოიწვიოს სხვა განსაზღვრული მოვლენა არა ყველგან და ყოველ-

თვის, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირობების არსებობისას.

ამ მტკიცებულებას არასოდეს არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ბრალეულობის საკითხის გადასაწყვეტად. იგი მხოლოდ ერთ-ერთი მტკიცებულებაა და განხილულ უნდა იქნას სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობაში.


„წინდახედულების ნორმის დარღვევა და შედეგი გაუფრთხილებლობით დელიქტებში“ — ასეთი იყო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ თანამშრომლის **მ. უგრეხელიძის** მოხსენების თემა.

მ. უგრეხელიძის მოხსენების ძირითადი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ გაუფრთხილებლობის პასუხისმგებლობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს წინდახედულების საგანგებო ან საყოველთაოდ-სავალდებულო ნორმის დარღვევა. მომხსენებელმა პრობლემა კიდევ უფრო დააკონკრეტა და განიხილა წინდახედულების ნორმის დარღვევის საკითხი ე. წ. „ფორმალურ“ და „მატერიალურ შემადგენლობებში“. „ფორმალურ შემადგენლობებში“, მისი აზრით, წინდახედულების ნორმის დარღვევა დანაშაულის ობიექტურ მხარეს მთლიანად მოიცავს, ხოლო „მატერიალურ შემადგენლობებში“ მან შედეგი (ან მისი დადგომის კონკრეტული საფრთხე) შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია. ეს შედეგი მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს წინდახედულობის ნორმის დარღვევასთან, ე. ი. ქცევის მართლსაწინააღმდეგო მხარესთან და არა ქცევასთან მთლიანად.

გაუფრთხილებლობით დელიქტებში მიზეზობრივი კავშირის დასაბუთებისათვის საკმარისი არ არის დადგენა რეალური შესაძლებლობისა (დიდი ალბათობისა), რომ სათანადო წინდახედულების შემთხვევაში მან შედეგი თავიდან იქნება აცილებული.

მაგრამ მართო მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება წინდახედულების ნორმის დარღვევასა და დანაშაულებრივ შედეგს შორის როდია საკმარისი იმისათვის, რომ პირმა პასუხი აგოს გაუფრთხილებლობისათვის. ამავე დროს, აუცილებელია, რომ ეს შედეგი წარმოადგენდეს გარესინამდვილეში მომხდარ ისეთ ცვლილებებს, რომელთა თავიდან ასაცილებლად არის გამოიწვნილი დარღვეული წინდახედულების ნორმა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრის **გ. დევიდარიანის** მოხსენების თემა იყო: „კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების, განჩინების და დადგენილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო“. მომხსენებელმა ილაპარაკა ახლად აღმოჩენილ გარემოე-



ზათა მნიშვნელობაზე სამოქალაქო პროცესში. ახლადღმობიებული გარემოება ისეთი გარემოებაა, რომელიც თუმცა არსებობდა საქმის განხილვის მომენტისათვის, მაგრამ ცნობილი არ იყო და არც შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო პროცესში მონაწილე პირებისათვის. ასეთ შემთხვევაში პროცესუალური კანონმდებლობა ადგენს ახლადღმობიებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გადასინჯვის განსაკუთრებულ წესს, რომელიც არსებითად განსხვავდება საქმის საკასაციო და სახელამხედველო ინსტანციაში განხილვის წესისაგან.

მომხსენებელმა გააკრიტიკა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 348 მუხლი, რომლის ძალითაც განცხადება და წარდგინება ახლადღმობიებულ გარემოებათა გამო სასამართლოს გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ უნდა იქნას ზემდგომ სასამართლოში. ეს წესი არ შეესაბამება ახლადღმობიებულ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის ინსტიტუტის იურიდიულ ბუნებას და უნდა ინციკლოლოს იხე, როგორც ეს დადგენილია სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებით: განცხადება ახლადღმობიებულ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების, განჩინებისა და დადგენილების გადასინჯვის შესახებ შეტანილ უნდა იქნას არა ზემდგომ სასამართლოში, არამედ იმ სასამართლოში, რომელმაც ეს გადაწყვეტილება გამოიტანა.

მომხსენებელმა ილაპარაკა აგრეთვე იმ შეუსაბამობაზე, რომელიც ახასიათებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კანონმდებლობას ამ საკითხთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა ნ. უგრეხელიძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სიტუაციის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ხარისხის განსაზღვრისათვის“.

მომხსენებელი ჯერ შეეხო სკვპ XXIV ყრილობის მიერ სამართლის მეცნიერების წინაშე დასმულ ამოცანებს დანაშაულის თავიდან აცილების საქმეში. განსაკუთრებით ხაზი გაუსვა სასჯელის ღონისძიებებთან ერთად დანაშაულის პროფილაქტიკის მნიშვნელობას.

შემდეგ ნ. უგრეხელიძემ ილაპარაკა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ ობიექტურ გარემოებებზე, რომლებიც კრიმინოლოგიური თვალსაზრისით ზოგჯერ დანაშაულის ერთ-ერთ მიზეზსაც წარმოადგენენ.

იგი შეჩერდა პიროვნებისა და სიტუაციის ურთიერთობაზე. სიტუაცია გულისხმობს გარემოება-

თა ერთობლიობას, რომელთაგან ერთი ხელს უწყობენ დანაშაულებრივი ქმედობის განხორციელებას, ხოლო მეორენი ხელს უშლიან მას. ადამიანი იძულებულია იმოქმედოს იმ შესაძლებლობათა ფარგლებში, რაც მას გააჩნია. ჩვეულებრივ შესაძლებლობათა ეს წრე შეიძლება მეტ-ნაკლებად ფართო ან ვიწრო იყოს; თანაც შესაძლებელი მოქმედების ფარგლები ადამიანს წარმოუდგენია თავისებურად მისი თვალთახედვის, ინტელექტის და სხვ. შესაბამისად. შეუძლებელია კანონით ყველა სახის სიტუაციის გათვალისწინება, რომელსაც სისხლის სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა გამოიძებნოს ზოგადი კრიტერიუმი იმის დასადგენად, თუ როგორ გავლენას ახდენს ესა თუ ის სიტუაცია პასუხისმგებლობის ხარისხზე.

შემდეგ მომხსენებელმა განსაზღვრა ამ კრიტერიუმის ობიექტური და სუბიექტური საფუძვლები. ობიექტურ საფუძვლად მას მიაჩნია ის გარეგანი ძალები, ის გარემოებანი, რომლებიც ბოჭვენ ადამიანის ნებას. ხოლო სუბიექტურად მნიშვნელობა აქვს იმას, შეცნობილი ჰქონდა თუ არა დამნაშავეს ეს სიტუაცია. ამიტომ ბრალის ხარისხიც საბოლოოდ ამის მიხედვით გადაწყდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს განყოფილების უფროსის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. მოსესიანის მოხსენების თემა იყო: „მოსამართლის წარდგინება საბჭოური სისხლის სამართლის პროცესის თეორიასა და პრაქტიკაში“.

მოსამართლის წარდგინება, მომხსენებლის აზრით, გამომძებლისა და პროკურორის წარდგინებისაგან განსხვავებით კანონით რეგლამენტირებული არ არის. მოსამართლის წარდგინების გამოყენება პრაქტიკაში ბევრ შემთხვევაში ამართლებს თავის დანიშნულებას, მაგრამ ზოგჯერ იგი მოქალაქეთა უფლებების დარღვევის სერიოზულ წყაროდ იქცევა ხოლმე. მაგალითად, საქმის საკასაციო საჩივრის განხილვისას ზემდგომი სასამართლოები ზოგჯერ ხდებიან ისეთ ფაქტს, როდესაც მსჯავრდებულს მისჯილი აქვს უსაფუძვლოდ მსუბუქი სასჯელი ან გამოყენებულია კანონი ნაკლებად მძიმე დანაშაულის შესახებ. როგორც ცნობილია, ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით ზემდგომ სასამართლოს არ შეუძლია შეცვალოს განაჩენი მსჯავრდებულის საზიანოდ ან გააუქმოს ვანაჩენი სასჯელის ლიბიერების გამო. ამიტომ სასამართლოები თვითონ განაჩენს არ ცვლიან, მაგრამ წარდგინების მეშვეობით ატყობინებენ შესაბამის სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც ჩვეულებრივ წერს სახელამხედველო პროტესტს. სასამართლოებს ასეთ ორიენტაციას აძლევს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის



1962 წლის 31 ივლისის დადგენილების მე-8 პუნქტის მე-4 ნაწილი.

მსჯავრდებულის კანონიერი უფლების დაცვის თვალსაზრისით არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მისს, გაუარესდება მისი მდგომარეობა ამაშივე, განაჩენის გაუქმებით საკასაციო განხილვის დროს, თუ ეს მოხდება სახედასხედველო წესით საკასაციო ინსტანციის მიერ განაჩენის ძალაში დატოვებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

მომხსენებელმა წარადგინა პრაქტიკული რეკომენდაციები, ერთი მხრივ, მოქმედი კანონმდებლობის გაუმჯობესების თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ საპროკურორო ზედამხედველობის გააქტიურებისათვის განაჩენების კანონიერებასა და დასაბუთებულობაზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა **ო. გამყრელიძემ** კონფერენციაზე წაიკითხა მოხსენება თემაზე: „პასუხისმგებლობა თანამსრულებლობისათვის“.

მან აღნიშნა, რომ საბჭოური სისტემის სამართლის თეორია და სასამართლო პრაქტიკა დანაშაულში თანამონაწილეობას განიხილავს ფართო და ვიწრო აზრით. თანამონაწილეობა ვიწრო აზრით გულისხმობს როლების განაწილებას. ცალკეულ მონაწილეთა შორის. ხოლო თანამონაწილეობა ფართო აზრით თანამსრულებლობასაც მოიცავს. შემდეგ მან განსაზღვრა თანამსრულებლობის ცნება, რომელიც გავრცელებულია სისტემის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში. სახელდობრ, თანამსრულებლობა არის ორი ან მეტი პირის უშუალო ერთობლივი მონაწილეობა განზრახი დანაშაულის ჩადენაში. თანამსრულებელი დამხმარისაგან განსხვავებით ასრულებს შემადგენლობის ობიექტურ მხარეს მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც, სპეციალური დელიქტების თანამსრულებლობა არ შეუძლია კერძო პირს; სუბიექტური მხრივ თანამსრულებლობა განზრახია. ამავე დროს ორი რამ უნდა იქნას გათვალისწინებული: 1) თვითეულ თანამსრულებელს უნდა ჰქონდეს განზრახვა დანაშაულებრივი შედეგისადმი და 2) ყოველ მათგანს უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ მოქმედებს არა ერთპიროვნულად, არამედ სხვასთან ერთად.

მოხსენებათა გამო გაიმართა კამათი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორმა, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა **ბ. ხარაზიშვილმა** დადებითად შეაფასა თ. შავგულიძის მოხსენება. ამავე დროს გამოთქვა აზრი, რომ სისტემის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ყოველთვის უნდა ეფუძნებოდეს ნებელობით მოქმედებას. აფექტის დროს საქმე გვაქვს არა ნებელობით,

არამედ იმპულსურ მოქმედებასთან. იმპულსური მოქმედების გამო პასუხისმგებლობა კი ნიშნავს ობიექტურ შერაცხვას. დადებით შეფასებასთან ერთად პროფ. ბ. ხარაზიშვილმა გამოთქვა ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრებაც. ტყეშელიძისა და ნ. უგრეხელიძის მოხსენებათა გამო.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის პირველმა მოადგილემ **გ. ბიწაძემ** მსმენელებს გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი კონფერენციის მუშაობის ირგვლივ. ილაპარაკა პრაქტიკისა და თეორიის კიდევ უფრო დაახლოების აუცილებლობაზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ **გ. იოსავამ** ილაპარაკა დამნაშავის პიროვნების შესწავლის მნიშვნელობაზე სოციალისტური კანონიერების კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. შავგულიძე არ დავთანხმა პროფ. ბ. ხარაზიშვილს, თითქოს სისტემისამართლებრივ პასუხისმგებლობას საფუძვლად უდევს მხოლოდ ნებელობითი ქცევა და რომ იმპულსური ქცევის დროს ადგილი აქვს ობიექტურ შერაცხვას. თ. შავგულიძის აზრით, სისტემისამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის საკმარისია ისეთი ქცევაც, რომელიც თუმცა იმპულსურია, მაგრამ არ არის გამორიცხული ქცევაში ნების ჩართვის შესაძლებლობა ისე რომ, ობიექტურ შერაცხვას აქ ადგილი არა აქვს. გარდა ამისა თ. შავგულიძემ გააკრიტიკა აფრიდიულ მეცნიერებათა კანდიდატ ნ. უგრეხელიძის მოხსენების ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია სიტუაციის შესახებ. სიტუაცია, თ. შავგულიძის აზრით, ფსიქოლოგიური ცნებაა და სისტემისამართლებრივი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებათა ნუსხასთან მის კავშირი არა აქვს.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა პროფ. თ. წერეთელმა. მან მაღალი შეფასება მისცა კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს და გამოთქვა რწმენა, რომ თეორეტიკოსთა და პრაქტიკოსთა ასეთი საქმიანი შეხვედრები კვლავ შედგება. თ. წერეთელმა, ამავე დროს, გამოთქვა ზოგიერთი კრიტიკული მოსაზრებაც ცალკეულ გამოსვლათა გამო. სახელდობრ, იგი არ დაეთანხმა პროფ. ბ. ხარაზიშვილს იმ საკითხში, თითქოს ჩვენი სისტემის სამართალი იცნობდეს ობიექტურ შერაცხვას. მეორე მხრივ, ნ. უგრეხელიძე, მისი აზრით, სიტუაციაზე რომ ლაპარაკობდა, მხედველობაში



ჰქონდა სიტუაცია არა ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, სახელდობრ დ. უზნაძის განწყობის თეორიის მიხედვით, არამედ სიტუაციის ობიექტური, საყოფაცხოვრებო გავება, რომელიც შე-

იძლება შექმნას პიროვნებისაგან დამოუკიდებლად და რომელიც შეიძლება გამოიყენოს ვინმემ დანაშაულის ჩასადენად.

დ. ნანოზაშვილი.

დანაშაულის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისთვის

საქართველოს სსრ პროკურატურაში სამ დღეს მიმდინარეობდა საქალაქო და რაიონული პროკურორების სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა დანაშაულის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილების საკითხებს.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილემ მ. ვვასალიამ.

მომხსენებით — სკკპ XXIV ყრილობა, საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობა და საქართველოს სსრ პროკურატურის ორგანოების ამოცანები სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისა და დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში — გამოვიდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ტაკაიძე. მომხსენებელი ფართოდ შეეხო კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის, თანამდებობის პირების მიერ კანონების განუხრელად გატარების აუცილებლობას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საჭიროა პროფილაქტიკური მუშაობის გაძლიერება. სოციალისტური ქონების გატაცების, მექრთამეობის, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ ბრძოლის გაუმჯობესება სამართლებრივი პროპაგანდის ღონის ამძღვლება.

ამხ. ა. ტაკაიძემ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება დანაშაულის თავიდან აცილების ღონისძიებებზე წინასწარი გამოძიებისა და მოკვლევის პროცესში. კანონი მოითხოვს გამოძიების პროცესში შესწავლილ იქნას დანაშაულის წარმოშობის მიზეზები, მისი ხელშემწყობი პირობები და განხორციელდეს ზომები მათ აღსაკვეთად. ეს ზომები გამოხატულებას პოულობს გამოძიებულების, მოკვლევის მუშაგებისა და პროკურორების წარდგინებებში. მომხსენებელმა ილაპარაკა არასრულწლოვანთა საქმეების წარდგინებათა ხარისხზე, მოზარდის მიერ დანაშაულის ჩადენის ყველა შემთხვევაში არის კონკრეტული მიზეზები, რომლებიც ამ დანაშაულს განაპირობებენ. ხარისხიან წარდგინებას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს დანაშაულის თავიდან აცილებას, პროფილაქტიკას.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სამართალდარღვევათა გამომწვევი ისეთი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე, როგორიც არის ლობობა, მუქთახობობა, საყოფაცხოვრებო უთანხმოებანი, ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის შენახვა, ტარება და სხვ. როგორც ამხ. ა. ტაკაიძემ აღნიშნა, საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს შემოწმებათა რიცხვი სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ კანონთა აღსრულებაზე, ეჭრძოდ იმ მიზეზებისა და პირობების გამოსავლინებლად, რომლებიც ხელს უწყობენ სახელმწიფო და საზოგადო ქონების გატაცებას, სპეკულაციას, უხარისხო პროდუქციის გამოშვებას, უყაირათობას მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, საჭიროა გაუმჯობესდეს შემოწმებების, აგრეთვე გამოვლინებულ დარღვევათა აღსაკვეთად შეტანილი წარდგინებების ხარისხი, დაწესდეს მკაცრი კონტროლი მათს განხორციელებაზე, მკვეთრად გაუმჯობესდეს საპროკურორო ზედამხედველობა სასამართლოების პროფილაქტიკურ მუშაობაზე. უნდა მიღწეულ იქნას სამართლებრივი პროპაგანდის მკვეთრი გაუმჯობესება, დაწყდეს ჯეროვანი კონტაქტი ამხანაურ სასამართლოებთან სახალხო რაზმეულებთან.

მხოლოდ სასამართლოსა და შინაგან საქმეთა ორგანოებთან ერთად, პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით, ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით შეიძლება საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის დაცვა ყოველგვარი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან.

„დანაშაულის თავიდან აცილებისათვის რაიონული (საქალაქო) პროკურატურის მუშაობის ორგანიზაცია“, „სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისათვის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის აქტუალური პრობლემები“ — აი თემები, რომელთაც კონფერენციაზე მოხსენებით გამოვიდნენ დამანაშაულებლის მიზეზების შესწავლისა და თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის სექტორის გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. მიხაილოვი და ამავდენსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ა. ბერენზონი.



საინტერესო იყო საქართველოს სსრ პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების უფროსის **მ. ქუჩუაძის**, საქართველოს სსრ პროკურატურის განყოფილებათა უფროსების იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის **ა. შუშუნაშვილისა** და **ვ. ასიევილის**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის **ბ. ფურცხვაინის** მოხსენებები.

„სოციალისტური საკუთრების გატაცების მიზეზების კრიმინოლოგიური კვლევის შედეგები და მათი თავიდან აცილების ღონისძიებანი“, „საპროკურორო ზედამხედველობა იმ ღონისძიებათა კანონიერებისადმი, რომლებსაც გამოძიება იყენებს დანაშაულის ხელშეწყობა გარემოებათა გამოვლინებისა და თავიდან აცილებისათვის“, „საქართველოს სსრ პროკურატურის საერთო ზედამხედველობის პრაქტიკა სამართალდარღვევათა თავიდან აცილების დარგში“, „დანაშაულის თავიდან აცილების ცნება და შინაარსი“ — ასეთი იყო მათი გამოსვლის თემები.

ქ. თბილისის პროკურორის უფროსმა თანაშემწემ **დ. ფოჩიანმა**, ქ. თბილისის პროკურორის თანაშემწემ **შ. ვაგუნაშვილმა**, ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის პროკურორმა **მ. მახაშვილმა**, ლენინის რაიონის პროკურორმა **ა. მთიულიშვილმა**, კალინინის რაიონის პროკურორმა **გ. ხურცილავამ**, ზუგდიდის რაიონის პროკურორმა **გ. გვასალიამ**, გორის რაიონის პროკურორმა **ნ. გოჩაშვილმა**, ქ. ჭიათურის პროკურორმა **შ. მიროტაძემ**, ქ. გორის პროკურორმა **ვ. ხირსელმა** კონფერენციის მონაწილეებს გაუზიარეს დანაშაულის პროფილაქტიკისათვის გაწეული მუშაობის გამოცდილება.

დანაშაულის თავიდან ასაცილებლად საპროკურორო მოღვაწეობის ფორმებსა და მეთოდებზე,

პირთვებისა და საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (მკვლელობა, ხულიგნობა) მიმართულ საშიშ დანაშაულთა გამოძიების შესახებ, აგრეთვე დამნაშაევობის შემცირების საქმეში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმის აუცილებლობაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში თეთრი წყაროს რაიონის პროკურორმა **გ. ნადარეიშვილმა**, გურჯაანის რაიონის პროკურორმა **ო. უღენტმა**, მხარაძის რაიონის პროკურორმა **ე. გოგუაძემ**, ქ. ფოთის პროკურორმა **ა. ჩხატარაშვილმა**, დუშეთის რაიონის პროკურორმა **მ. მამუჩაშვილმა**, ქ. თბილისის კიროვის რაიონის პროკურორმა **გ. კერესელიძემ**, გარდაბნის რაიონის პროკურორმა **გ. მდივნიშვილმა**, წალკის რაიონის პროკურორმა, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატმა **დ. ჩიტლოვამ**, ქ. ცხინვალის პროკურორმა **ი. ენაღლიევამ**.

კანონიერების განმტკიცებისათვის და სამართალდარღვევათა თავიდან აცილების საქმეში დიდი სამართლებრივ პროპაგანდის, პრესის, რადიოს, ტელევიზიის როლი.

ამ საკითხებზე ისაუბრეს აიღნაღის რაიონის პროკურორმა **გ. შორუოლაძემ**, სამტრედიის რაიონის პროკურორმა **ჯ. კიკაბიძემ**, ლავოდეხის რაიონის პროკურორმა **ალ. ვაიტაძემ**, საგარეჯოს რაიონის პროკურორმა **ტ. მეტრეველმა**, ცხაკაიას რაიონის პროკურორმა **რ. ფირცხალავამ**, ქობულეთის რაიონის პროკურორმა **გ. ცხვარაძემ**, ახალქალაქის რაიონის პროკურორმა **ი. აბრამიანმა**, ოჩამჩირის რაიონის პროკურორმა **ა. ემხუარმა**.

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობა შეჯამა საქართველოს სსრ პროკურორმა **ა. ტაკიძემ**.

დ. ნადირაძე

КОНТРОЛЬНЫЕ
ЭКЗЕМПЛЯРЫ

6004



ИНДЕКС 76185

ფაგონ 50 ჯჯ.

СОВЕТСКОЕ ПРАВО № 5

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР